საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№08 (526)
4 - 10 მარტი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



თურქული პარტია «ვატანი» აფხაზეთის აღიარების ლობირებას განაგრძობს 24

# ხელისუფლება 90 სინათლის წლით დაშორდა ხალხს 2




## სად და რატომ შეიძლება, ერთ წელიწადში გახდე მილიონერი 3

## ისტორიული უმადურობა დიდი ცოდვაა, რომელსაც ხელისუფალნი სჩადიან 4



მაგრამ რომლისთვისაც პასუხი ერს მოეკითხება



## ქურთისტანის გზაზე მდგარი უპერსპექტივო ქვეყანა 5

«როგორც ქურთებს არ აქვთ სამშობლო და მიმოფანტულნი არიან სხვადასხვა ქვეყანაში, ისე არ გვექნება ჩვენც»

## ე.წ. ევროატლანტიკურ სივრცეს: როდემდე, ბატონებო, როდემდე?! 6-7




## «ოცნების» შერჩენითი სამართალი და პოლიტიკური ბოლმების ვულკანი «ოპოზიციაში» 8



ადამიანები, რომლებიც მთავრობას შერჩევით სამართალს საყვედურობდნენ, ახლა თვითონ არიან დამნაშავე პოლიტიკოსთა პირველი დამცველები

## უამრავ მშობელს საკუთარ თავზე მოუწევს შვილის წართმევის სიმწარის გამოცდა 9



წართმეულ ბავშვებს ერთი და იმავე სქესის «მეუღლეებს» მიაშვილებენ

## რატომ გვახვევს თავს დასავლეთი ლგბტ იდეოლოგიას 10



## თურქეთი გააფრთხილეს: 15

«რუსეთის შანტაჟის მცდელობას ანკარისთვის ძალიან სამწუხარო შედეგები მოჰყვება!»





ხალხი და ხელისუფლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანებო, რეალობის აღქმა კი არა, ილუზიაში ცხოვრება ისწავლეთ, ვარდისფერი სათვალე მოირგეთ და ისე შეხედეთ მოვლენებს, როგორც ბატონი უყურებს. ერთი ეგაა, შინ მისულთ მაგ სათვალის მოხსნა მოგიწევთ და... ერთი კაცის წლიური ხელფასი პენსიონერს 90 წელს რომ ჰყოფნის, კატასტროფაც აღარაა, ამას სხვა სახელი ჰქვია.**

# ხელისუფლება 90 სინათლის წლით დაშორდა ხალხს

**გასულ კვირას ეროვნული ვალუტა გამყარდა. ჰო, გამყარდა — რამდენიმე თეთრით დაიკლო და ერთი დოლარის ყიდვა 2,80 ლარად შეიძლებოდა. პირველ რიგში, ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ ლარი საგანგაშო 3 ლარიან ნიშნულს 0,20 პუნქტით დაშორდა და, როგორც ხელისუფლებამ, ისე ეროვნულმა ბანკმა შვებით ამოისუნთქეს. სიმართლე გითხრათ, გვეგონა, რომ ამ კლების გამო არც ეროვნული ბანკი და არც ხელისუფლება აჟიოტაჟს არ ატეხდნენ და არ იტყოდნენ: ხალხო, შეხედეთ, რა მაგრები ვართო! მაგრამ, ნურას უკაცრავად. ერთი დღე ითმინეს, მეორე და მესამე დღესაც რომ იგივე დარჩა ლარის კურსი, გამოვიდა ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტი პაპუნა ლეჟავა და ამ ახალგაზრდა კაცმა (33 წლისაა) შთაგონებული სახით გვამცნო: ლარის სიმყარე ნუ გიკვირთ, ის უფრო საკვირველია, აქამდე რატომ უფასურდებოდაო.**




**პაპუნა ლეჟავას წლიური ხელფასი გამყარებული ლარის პირობებშიც კი პენსიონერს... 90 წელიწადს უნდა ეყოს. არ ვხუმრობთ, მართლა ასეა. რასაც ის კაცი ერთ წელიწადში ხარჯავს, პენსიონერმა 90 წლის განმავლობაში უნდა იმყოფინოს. ეს არის ის პროპორცია და უფსკრული, რომელიც მაღალჩინოსნებსა და მოსახლეობას შორის არის**

„ბოლო 5-6 თვის განმავლობაში ყოველთვის ვიძახდით, რომ ლარი ზედმეტად იყო გაუფასურებული. ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი, ასევე ბევრი ეკონომისტის მოლოდინიც იყო, რომ ლარი უნდა გამყარებულიყო და ასეც ხდება — მოლოდინი მართლდება, ეს გასაკვირი არაა. პირიქით, ლარი გაუფასურებული რომ იყო ამდენ ხანს, ეს უფრო საინტერესო და გასაკვირი იყო ჩვენთვის“, — განაცხადა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა.

სანამ ბატონ პაპუნაზე საუბარს განვაგრძობთ, გეტყვით, რომ იგი ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტობამდე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ფინანსური ოფიცერი იყო და 2018 წელს ხელფასად 215 ათას დოლარზე მეტი მიიღო. მისი მეუღლე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში მეორე მდივანია და წლიურად 69 ათას დოლარს იღებს, ასე რომ, ცოლ-ქმარს წლიურად მეოთხედ მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი აქვს. შესაბამისად, ისინი და ჩვენ სხვადასხვა რეალობაში ვცხოვრობთ, სხვადასხვა პრობლემა გვაწუხებს და, საზოგადოდ, მოვლენებსაც სხვაგვარად ვუყურებთ. **როცა წლიური შემოსავალი მეოთხედ მილიონ დოლარზე მეტი გაქვს, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ლარი რამდენიმე თეთრით მოიმატებს თუ დაიკლებს; არ აქვს მნიშვნელობა, წიწიბურა 20 თეთრით გაიაფდება თუ გაძვირდება. აქ საინტერესო სხვა რამ არის.**

გასულ კვირაში ერთი დღე რომ გამყარდა ლარი, მეორე დღეს ისევ გაუფასურდა, მერე ისევ გამყარდა და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ისევ გაუფასურდეს. ჰოდა, როგორც ირკვევა, ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტი და კიდევ რამდენიმე ექსპერტი, უბრალოდ, გაოცდნენ: ნეტავ, რატომ გაუფასურდაო?! ეროვნული ბანკის მალალჩინოსანმა აღიარა, რომ გაუფასურების მიზეზი არ იცის, უბრალოდ, უკვირს ვალუტა რომ უფასურდება. ჰოდა, **ლეჟავას ამჟამინდელი ხელფასი თვეში 20 ათას ლარზე მეტია. ის ამ თანხას იღებს იმაში, რომ... გაუკვირდეს ლარის გაუფასურება. მოსახლეობას კი არ უკვირს, რადგან ხედავს, რომ სამუშაო ადგილები არ არის, ინვესტიციები არ შემოდის, პროდუქტი ძვირდება, ემიგრაციაში წასული ხალხის ოდენობა იზრდება და... როგორ უნდა გაუკვირდეს?! თურმე ნიჭი სჭირდება იმასაც, რომ გაიკვირვო.**

საზოგადოდ, მიმდინარე მოვლენებს თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ორი საქართველო არსებობს: ერთი — რომელშიც ჩვენ, რიგითი ადამიანები, ვცხოვრობთ, და მეორე — რომელშიც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ცხოვრობენ. მაგალითად, იმავე **პაპუნა ლეჟავას წლიური ხელფასი გამყარებული ლარის პირობებშიც კი პენსიონერს... 90 წელიწადს უნდა ეყოს. არ ვხუმრობთ, მართლა ასეა. რასაც ის კაცი ერთ წელიწადში ხარჯავს, პენსიონერმა 90 წლის განმავლობაში უნდა იმყოფინოს. ეს არის ის პროპორცია და უფსკრული, რომელიც მაღალჩინოსნებსა და მოსახლეობას შორის არის. 90 სინათლის წელიწადით დაშორდა ხელისუფლება ხალხს და ამიტომ ვერ ხვდება, რეალურად რა ხდება; ამიტომ უკვირთ მოშიმშილე ბავშვების არსებობა პარლამენტარებს, ამიტომ ხედავენ ოფიციანტები რესტორნებში სულ ერთსა და იმავე სახეებს.**

აბა, გაიხსენეთ, ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიცია, რომელიც გასულ წელს საქართველოში განხორციელდა. ვერ გაიხსენებთ, იმიტომ, რომ არაფერი ყოფილა ისეთი, რომელიც აღნიშვნა-ჩანიშვნის ღირსი იქნებოდა. სამაგიეროდ, **ის გვახსოვს კარგად, ქვეყანაში შემოსასვლელად გამზადებული მილიარდი დოლარი საზღვრიდან უკან რომ გავაბრუნეთ. რუს ტურისტებს და მეზობელთან საჰაერო მიმოსვლის ჩაკეტვას ვგულისხმობთ, რომელიც ძალიან კარგად მოვახერხეთ და მერე რა, თუ ეს მილიარდი პატარა სასტუმროების მფლობელებზე უნდა გადანაწილებულიყო, ე.ი. მოსახლეობაში გასულიყო. ხელისუფლებამ ხომ მისალები მაინც მიიღო და რა მნიშვნელობა აქვს, რიგითი ადამიანები როგორ იცხოვრებენ?! მით უმეტეს, მოწოდება „გაატარე ზაფხული საქართველოში“ სწორედ მაღალჩინოსნებმა არ იღეს ყურად და ეგზოტიკური კურორტები მოიარეს ოჯახებთან ერთად.**

ისე არ გაიგოთ, თითქოს ვინმეს ჯიბეში ფულს ვითვლიდეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ, ვისაც ხელფასი ათასობით ლარი აქვს, სხვა ადამიანები შეურაცხყონ. ჰო, **შეურაცხყოფაა ის, როცა ვერ ხვდები, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს პურის ფულის, ყოველდღიური საკვების პრობლემა აქვს და ამის გამო შიმშილობს; როცა ვერ ხვდები, რომ შიმშილით ადამიანები კვდებიან, რომ სიცივეში უსახლკარობის გამო იყინებიან და ვერ ყიდულობენ ასიათასობით დოლარიან ფეშენებელურ საცხოვრებლებს, არ ჰყავთ შინამოსამსახურეები, ვერ დაჰყავთ ბავშვები იმ სკოლაში, რომელშიც ყოველთვიური გადასახდელი 500 ლარზე მეტია, რადგან ეს 500 ლარი სწავლისთვის კი არა, საკვების საყიდლად არ აქვთ. ჰოდა, ეს ადამიანები ხვდებიან, რომ მომავალში მათ შვილებსაც ზუსტად ისე გაუჭირდება, როგორც თავად უჭირთ და ეს ერთგვარი ჯაჭვი გაგრძელდება.**

გასულ კვირას არ იყო, შვილის სამკურნალოდ კაცმა 50 ათასი ლარი რომ ვერ იშოვა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა?! დაასრულა მხოლოდ იმიტომ, რომ შვილს თვალებში ვერ ჩახედავდა, ვერ ეტყოდა: უფულობის გამო გიმეტებ სასიკვდილოდო, და შვილის სიკვდილის ყურებას სიკვდილი არჩია. გესმით ეს ტრაგედიები? არ გესმით! და იცით, რატომ? 90 სინათლის წელიწადით ხართ დაშორებული ამ ადამიანებისგან.

**ფინანსთა მინისტრი ცალკე ფენომენი გვყავს. მან დაბეჯითებით გვითხრა, რომ მალე სიგარეტის ფასი 15 ლარიდან დაიწყება, ანუ პირდაპირ განაცხადა: პენსიონერებმა მოწევას თავი უნდა დაანებონ და არ მაინტერესებს, ამას მოახერხებენ თუ არაო. პენსიონერი სიგარეტს ვეღარ მოწევს (და ამ ამბავს მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვით გაამართლებენ), რიგითი ადამიანების უმრავლესობაც ვერ შესწვდება გაძვირებულ თამბაქოს და მივალთ იქამდე, რომ სიგარეტი ფუფუნების საგანი გახდება.** შემდეგ სხვა რამეს გააძვირებენ ისე, რომ მხოლოდ მაღალხელფასიანები შეძლებენ მის ყიდვას და ასე ნელ-ნელა დავემსგავსებით ინდოეთს, სადაც ღარიბებს მდიდრების უბანში შესვლის უფლებაც კი არ აქვთ. პრინციპში, ეს პროცესი საქართველოშიც წარმატებით არის დაწყებული. ჩვენთანაც ათეულობით ადამიანს პრესტიჟულ უბანში მდებარე საკუთარი ბინა გაქირავებული აქვთ, არცთუ პრესტიჟულ უბანში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და ამ სხვაობით თვიდან თვემდე გააქვს თავი.

სისულელე იქნება იმის მტკიცება, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მდგომარეობა შეიცვლება და უკეთესობისკენ წავალთ. არაფერი არ შეიცვლება უკეთესობისკენ, აი, უარესობისკენ კი შეიძლება ნამდვილად შეიცვალოს, რადგან ხელისუფლებაში მოსულთ ზუსტად ეცოდინებათ, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იმდენი უნდა იშოვონ, რომ მოსახლეობას 90 წლით დაშორდნენ და მათ შორის სხვაობა თვალსაჩინო გახდეს. **ხელისუფლებაში ხომ სწორედ იმისთვის მოდიან, რაც შეიძლება მეტი მოიპარონ, მეტი მოიხვეჭონ და შემდეგ შვილებსა და შვილიშვილებს ისეთი ცხოვრება მოუწყონ, თითი თითზე არ ჰქონდეთ დასადები. დანარჩენ საქართველოში კი ისევ მოიკლავენ მშობლები თავს, რადგან ვერ გადაიხდიან შვილების მკურნალობის ფულს და ზუსტად ეცოდინება, რომ ისინიც ისეთივე უბედური იქნებიან, როგორც თავად არიან.**




ამიტომ, ადამიანებო, რეალობის აღქმა კი არა, ილუზიაში ცხოვრება ისწავლეთ, ვარდისფერი სათვალე მოირგეთ და ისე შეხედეთ მოვლენებს, როგორც ბატონი უყურებს. ერთი ეგაა, შინ მისულთ მაგ სათვალის მოხსნა მოგიწევთ და... ერთი კაცის წლიური ხელფასი პენსიონერს 90 წელს რომ ჰყოფნის, კატასტროფაც აღარაა, ამას სხვა სახელი ჰქვია.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.** ქუჩაში ასი კაცი გააჩერეთ და ჰკითხეთ: რა ფუნქცია აქვს ან რას აკეთებს ეროვნული ბანკი? მათი ათი პროცენტი თუ სწორად გიპასუხებთ, ხმასაც არ ამოვიღებთ. ის, რომ ლარის კურსის დაჭერის გამო ხანდახან მილიონობით დოლარს ყიდის, გავიგეთ და სხვა? ამდენი ხალხი რომ არ ვარჩინოთ, მაგას საქართველოში არაერთი ბიზნესმენი და... ყველა მინისტრი იზამს.

**გადახედეთ ტენდერებს და ნახავთ, რომ, სულ ცოტა, 80%-ში საქმეს, საბოლოო ჯამში, გამარჯვებული კომპანია კი არა, მეორე-მესამე ადგილზე გასული იგებს. ხომ საინტერესოა? ადამიანს ტენდერში გამარჯვება სურს, მონაწილეობს და შემდეგ მოგებულ ტენდერზე საკუთარი ნებით ამბობს უარს. ამას გამოძიებაც არ უნდა, მაგრამ შიშით ხმას ვერავინ იღებს. ცალკე თემაა, რამდენიმემილიონიანი ტენდერების მფლობელები შემდეგ მმართველ გუნდს ფულს რომ სწირავენ და ნებაყოფლობით ეხმარებიან.**

როგორ მოვიპაროთ მილიონი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად და რატომ შეიძლება, ერთ წელიწადში გახდე მილიონერი

**პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: საქართველოში მინისტრისა თუ პარლამენტარის თანამდებობები ავტომატურად არის გაიგივებული მილიონების შოვნასთან. წესითა და რიგით, ასე არ უნდა იყოს, ჩვენთან არსებული მაღალი ხელფასების პირობებშიც კი, მინისტრმა მილიონიანი ქონება მაშინ უნდა დააგროვოს, თუ თანამდებობაზე 20 წლის განმავლობაში იქნება და თანაც აღებულ ხელფასს არ დახარჯავს. არადა, რამდენჯერ მოგვისმენია, მოსულა პირი თანამდებობაზე, უმუშავია ნახევარი წელი, შემდეგ წასულა და უთქვამს, — ბიზნესში ვბრუნდებიო. მანამდე ბიზნესი არ ჰქონია და მერე გამოვლენია ბიზნესმენის ნიჭი მასაც, მისი ოჯახის წევრებსაც, ნათესავებსაც და ასე გამხდარა ერთ წელიწადში მილიონერი...**


გიგი უგულავა


ალექსანდრე ჭიკაიძე


დავით კეზერაშვილი

**ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსული დავით კეზერაშვილი, გიგი უგულავა და სხვები ოფიციალური მილიონერები გახდნენ. კეზერაშვილი საფრანგეთში ცხოვრობს, იქ საკუთარი ვილა, პირადი დაცვა და ბიზნესი აქვს. მისი ქონება ას მილიონს აჭარბებს და, თუ ვინმე იტყვის, რომ მან ასი მილიონი ხელისუფლებაში ყოფნის 9-წლიან პერიოდში პატიოსანი შრომით იშოვა, გავატარებთ**

ჰო, მხოლოდ საქართველოში შეიძლება, ადამიანები ერთ წელიწადში გახდნენ მილიონერები და ამას თანამდებობაზე ყოფნისას ასწრებენ. აგერ, გასულ კვირას, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე 200 ათასი ლარი ქრთამის აღების გამო დააკავეს და, თანამდებობის მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ადვილი მისახვედრია, რა ღირს საქმის კეთება გუბერნატორთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, მინისტრთან... ახლა არ დაიწყოთ, არ კეთდებაო. **თუ არ კეთდება, როგორ ხდებიან მინისტრები მილიონერები, როგორ?!**

გასულ კვირას ხმაური ატყდა **ალექსანდრე ჭიკაიძეზეც.** ეს კაცი თანამდებობაზე ძალიან ცოტა ხანს იყო, საბანკო ანგარიშზე დანაზოგი არ ერიცხებოდა, მაგრამ უცებ რამდენიმემილიონიანი ქონება „გააიმასქნა“ და არავინ ეკითხება, საიდან. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ხელისუფლება ჭიკაიძის ამბავს არ მოიკითხავს, არც საქმეს აღძრავს, უბრალოდ, ერთ ყურში შეუშვებს და მეორეში გაატარებს. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ჭიკაიძეს თუ დასჯის, უნდა დასაჯოს სხვაც და ეს ისეთი გრძელი ჯაჭვი იქნება, მისი ბოლო დამსჯელებამდეც მივა და საკუთარ თავს კი არავინ გაიმეტებს. ჭიკაიძეს თავი დავანებოთ და **გიორგი ქობულია** ავიღოთ, **კაცი, რომელსაც საკუთარი ბიზნესი და მილიონები მართლა ჰქონდა, შემდეგ ეს ყველაფერი დატოვა და საქართველოში ეკონომიკის მინისტრად წამოვიდა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ შანსი გაუჩნდა, უფრო მეტი ეშოვა, მაგრამ აქაურობას ვერ მოერგო, რაღაცები არ გაითვალისწინა და, როგორც არსაიდან მოიყვანეს, ისე არსაიით გაუშვეს — არავინ იცის, სად არის ახლა ყოფილი მინისტრი, რას აკეთებს. სამაგიეროდ, ის ვიცით, რომ იმ მილიონებს, რომლებიც ჰქონდა, არავინ წაართმევდა და, აქ რომ მილიონების შოვნა არ დასცალდა, სხვა საკითხია.**

ამის პარალელურად, რამდენი ხანია, გვესმის, რომ ტენდერებს იგებენ მინისტრების ნათესავები — სიმამრი, ცოლისძმა, ცოლისდა... ხელისუფალნი კი თავს იმართლებენ: ეს ტენდერები ელექტრონულია, ჩაწყობა გამორიცხულია, მიიღეთ მონაწილეობა და თქვენც მოიგეთო. რეალურად კი, იცით, როგორ ხდება? ტენდერში გამარჯვებული, საბოლოო ჯამში, მესამე - მეოთხე ადგილზე გასული კომპანიები ხდებიან... ვინც მართლა გაიმარჯვა, იმას იბარებენ, უხსნიან, რომ უარი უნდა თქვას, შემდეგ მეორეს ათქმევინებენ უარს, მესამეს და ასე, სანამ იმ კომპანიამდე არ მივლენ, რომლის უკანაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი დგანან. ახლა არ თქვათ, ეს სქემა არ ვიცითო, **გადახედეთ ტენდერებს და ნახავთ, რომ, სულ ცოტა, 80%-ში გამარჯვებული პირველ ადგილზე გასული კი არა, მეორე-მესამე ადგილზე გასული კომპანია ხდება. ხომ საინტერესოა? ადამიანს ტენდერში გამარჯვება სურს, მონაწილეობს და შემდეგ მოგებულ ტენდერზე საკუთარი ნებით ამბობს უარს. ამას გამოძიებაც არ უნდა, მაგრამ შიშით ხმას ვერავინ იღებს. ცალკე თემაა, რამდენიმემილიონიანი ტენდერების მფლობელები შემდეგ მმართველ გუნდს ფულს რომ სწირავენ და ნებაყოფლობით ეხმარებიან.**

ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს მხოლოდ ამ ხელისუფლების წარმომადგენლებზე ვწერთ ამ ყველაფერს. წინა ხელისუფლების პირობებში უფრო დიდი განუკითხაობა იყო. **ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით,** ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, **მოსული დავით კეზერაშვილი, გიგი უგულავა, გივი თარგამაძე და სხვები ოფიციალური მილიონერები გახდნენ. კეზერაშვილი საფრანგეთში ცხოვრობს, იქ საკუთარი ვილა, პირადი დაცვა და ბიზნესი აქვს. მისი ქონება ას მილიონს აჭარბებს და, თუ ვინმე იტყვის, რომ მან ასი მილიონი ხელისუფლებაში ყოფნის 9-წლიან პერიოდში პატიოსანი შრომით იშოვა, გავატარებთ.** ამ ხელისუფლების უნიათობა კი ის არის, რომ კეზერაშვილის დადასტურებულ მილიონებს ვერაფერი მოუხერხა, მას ბრალი ვერ წაუყენა და... ჩნდება ეჭვი, რომ ბრალი არ წაუყენეს, რადგან კეზერაშვილის გაჭრილ „კანალზე“ ახლა სხვა ზის და სხვის ჯიბეში მიედინება მილიონები, მერე სხვა მოვა და ასე დაუსრულებლად. **2003 წლიდან დღემდე რომ ვიანგარიშოთ, რამდენმა ადამიანმა იშოვა მილიონი ასე გაურკვეველ ვითარებაში, საქართველოს ბიუჯეტის ორმაგ ოდენობას მივიღებთ და, ეს ფული ქვეყანას რომ მოხმარებოდა, არც საგარეო ვალი გვექნებოდა და ეკონომიკაც არ იქნებოდა წელში გაწყვეტილი. მაგრამ არა, ბიუჯეტის ფული ხომ ცალკე მიდის მაღალჩინოსნების ჯიბეში და ის გრანტები, რომელსაც უცხოელები გვირიცხავენ, ცალკე მიედინება მათ ანგარიშებზე.** აგვისტოს ომი ხელისუფლებას სწორედ იმიტომ აძლევდა ხელს, რომ ამ ომის შემდეგ სამი მილიარდი დოლარი, უბრალოდ, გაქრა, ის თანხა, რომელიც, წესით, საქართველოს მოსახლეობას უნდა მოხმარებოდა. და **ვინ აგო პასუხი?** — არავინ და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არც არავინ აგებს. იმიტომ კი არა, რომ დამნაშავეები არ იციან, არამედ იმიტომ, რომ საკუთარ თავსა და ტყავს უფრთხილდებიან და მომავალ ხელისუფალთ პირდაპირ მიანიშნებენ: ჩვენ ჩუმად ვართ და თქვენც ჩუმად იყავითო.

ჰო, ხელისუფალნი წურბელებივით აზიან ქვეყნის ბიუჯეტს, ხალხის ფულს კი არ იპარავენ, თქვლეფენ დიდი კოვზით და დარწმუნებულნი არიან, პასუხს არავინ მოსთხოვს. ქრთამის აღების გამო დააკავეს **ზუგდიდის მერი,** ციხეც მიუსაჯეს, მაგრამ მერე რა? ეს ციხეში გაშვებული კაცი ერთი თვის წინათ რესტორანში გამოგვექცა, — კარგი ქცევისთვის უქმეებზე შინ ვუშვებთო. როგორ დავიჯერო, რომ მხოლოდ ზუგდიდის ყოფილი მერი იქცევა კარგად და სხვა პატიმრებს არ ეკუთვნით შინ გაშვება?! მაგრამ არა, მან იმაზე მეტი იცის, ვიდრე სასამართლოზე თქვა და ამიტომ, პირი რომ არ დააღოს, რესტორნის საკვებით უვსებენ. სერიოზული ეჭვი გვაქვს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის პირველ პირებსაც ასე მოექცევიან და რეალურ სასჯელს არავინ მიიღებს. შორს წასვლა რად გვინდა, აგერ, გიგი უგულავას 48 მილიონის მოპარვას ედავებიან და პირველ ჯერზე სამი წელი მოახდევინეს, მეორე ჯერზეც იმდენივე დაუმატეს და... კი გამოუვა წელიწადი რვა მილიონი. ეს — რაც იპოვეს და, რაც ვერ იპოვეს, კიდევ ცალკეა...

**აგვისტოს ომი ხელისუფლებას სწორედ იმიტომ აძლევდა ხელს, რომ ამ ომის შემდეგ სამი მილიარდი დოლარი, უბრალოდ, გაქრა, ის თანხა, რომელიც, წესით, საქართველოს მოსახლეობას უნდა მოხმარებოდა.**
**და ვინ აგო პასუხი? — არავინ**

ერთი არანაკლებ **საინტერესო ჩანაწერი ჩნდება ხოლმე პარლამენტარებისა თუ მინისტრების დეკლარაციებში: საკმარისია, ისინი თანამდებობებზე დაინიშნონ და სხვა ადამიანებს მაშინვე უჩნდებათ სურვილი, რამე აჩუქონ. ეს რამე კი ხშირად არის მიწის ნაკვეთი, ფერწერული ტილო ან საცხოვრებელი სახლი — სანამ თანამდებობაზე არ დაინიშნებიან, არავინ არაფერს ჩუქნის, შემდეგ კი რიგი დგება მჩუქებელთა. ვინმე კითხულობს, ამ ადამიანებს რის სანაცვლოდ ჩუქნიან აურაცხელ ქონებას?**

ხომ არ არის ეს საჩუქარი არაპირდაპირი ქრთამი, მფარველობის სანაცვლოდ მიღებული?

ეს ყველაფერი ხდება იმის ფონზე, რომ დანარჩენი მოსახლეობა, უბრალოდ, შიმშილის ზღვარზეა. **წინა ხელისუფლებამ დაიწყო და ამჟამინდელმა წარმატებით გააგრძელა ის, რომ საქართველოში საშუალო ფენა პრაქტიკულად აღარ არსებობს; არიან ან ძალიან მდიდრები, ან ღარიბლატაკები. საშუალო ფენა კი, რომელზეც დგას ნებისმიერი სახელმწიფო, ნელ-ნელა ქრება. ეს იმის ბრალია, რომ საშუალო ფენა ვეღარ ახერხებს თითო-ოროლა თეთრის გადადებას, რათა სამომავლოდ რაიმე შექმნას ან თუნდაც ოჯახთან ერთად სადმე დაისვენოს და ეს დანაზოგი დახარჯოს. ფული მთლიანად ყოველდღიური პრობლემების მოსაგვარებლად მიდის და საკმარისია, ამ ყოველდღიური რეჟიმიდან ერთხელ მაინც ამოვარდე, მაშინვე ღატაკთა ფენას უერთდები,** რადგან საბჭოთა კავშირის პერიოდში დაგროვებული დოვლათი მოსახლეობამ 90-იანი წლების გაჭირვებისას გაყიდა. შედეგად, გასაყიდიც არაფერი დარჩა და, ვისაც რამე დარჩა, ბანკებმა შეუჭამა.

ჰოდა, სანამ საქართველოში კანონი ერთი არ იქნება ჩინიანისთვის თუ უჩინოსთვის, მანამდე ასე ვიქნებით — ერთეულები მილიონებს რამდენიმე თვეში იშოვიან და, დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილნი, თამამადაც დახარჯავენ. საქართველოში ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი კანონი მოქმედებს — ის, რომ კანონი არ არსებობს.

**2003 წლიდან დღემდე რომ ვიანგარიშოთ, რამდენმა ადამიანმა იშოვა მილიონი ასე გაურკვეველ ვითარებაში, საქართველოს ბიუჯეტის ორმაგ ოდენობას მივიღებთ. ეს ფული ქვეყანას რომ მოხმარებოდა, არც საგარეო ვალი გვექნებოდა და ეკონომიკაც არ იქნებოდა წელში გაწყვეტილი. მაგრამ არა, ბიუჯეტის ფული ხომ ცალკე მიდის მაღალჩინოსნების ჯიბეში და ის გრანტები, რომლებსაც უცხოელები გვირიცხავენ, ცალკე მიედინება მათ ანგარიშებზე**

**ბესო ბარბაქაძე**

ავი მესაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თურქეთის სტრატეგიულ მოკავშირედ და მეგობრად შერაცხვა, ხოლო მართლმადიდებელი რუსეთის ისტორიულ და მარადიულ მტრად გამოცხდება უმადურობაა. უმადურობა კი, მით უმეტეს, ისტორიული უმადურობა დიდი ცოდვაა, რომლისთვისაც პასუხი ერს მოეკითხება.**

# ისტორიული უმადურობა დიდი ცოდვაა, რომელსაც ხელისუფალნი სჩადიან, მაგრამ რომლისთვისაც პასუხი ერს მოეკითხება

**მიუხედავად მიმდინარე თუ მოსალოდნელი საბედისწერო გლობალური პროცესებისა, ჩვენი უსახური ხელისუფლებაც და „ნათელაშვილის ქარვასლის“ ოპოზიციაც ისე იქცევიან, თითქოს დანარჩენი მსოფლიოს ერთადერთი „თავის ტკივილი“ ის არის, როგორი სისტემით ჩატარდება საქართველოში 2020 წლის არჩევნები. რაც შეეხება „ოცნების“ ფარჩაკ ხელისუფლებას, რომელიც ქართველი საზოგადოების სახელით ბედავს ლაპარაკს, მისი ერთადერთი დამსახურება ისაა, რომ ადრინდელივით (დღევანდელი „პოლიტპატიმრების“ ხელისუფლებაში ზეობის ჟამს) ქუჩაში ახალგაზრდებს აღარ ხვრეტენ და ციხეებში პატიმრებს წამებაში აღარ ხდიან სულს. ამ უდავო ფაქტის პასუხად მავანმა ტუტუცმა მიშარასტმა თავისი უტვინო ჭკუით შეიძლება ნიშნი მომიგოს — „სულ ეგ არის „ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებებს შორის განსხვავება?!“**

რაზეც იმ მავანსაც და ქართველ საზოგადოებასაც შევახსენებ, რომ, ვისაც ამნეზია არ დაგვმართნია, კარგად გვახსოვს 9-წლიანი სისხლიან-ცრემლიანი კოშმარი და სწორედ ამიტომ ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ: მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“, რბილად რომ ვთქვათ, არ აღმოჩნდა ქართველთა ოცნება, **ვერავინ და ვერაფერი ვერ მათქმევინებს იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სჯობდა და, აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილს მიშა სააკაშვილი სჯობია.**

ეს, უწინარესად, იმ ახალგაზრდების საყურადღებოდ, რომლებიც ნაცების 9-წლიანი ტერორის პერიოდში ბავშვები იყვნენ და ამიტომ მათთვის შორეული და ხშირად დაუჯერებელი ამბებია, რომლებზეც მათი მშობლები, ბებიები და ბაბუები ვსაუბრობთ ხოლმე. სწორედ ასეთ ახალგაზრდებს ვუწოდე თავის დროზე თქვენმა მონა-მორჩილმა სააკაშვილის ბუჩქებში გაზრდილი და შესაბამისი ფილოსოფიით აღზრდილი ახალგაზრდობა. ფილოსოფიით, რომლისთვისაც უცხოა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: სამშობლო, პატრიოტიზმი, უფროს-უმცროსობა, წინაპართა ხსოვნა, საქართველოს ისტორია და, აქედან გამომდინარე, ქართველობით ჯანსაღი სიამაყე და სხვა მრავალი ღირებულება-ფასეულობა, რომლებზეც ჩვენ, მათი მშობლები, ბებია-ბაბუები აღვიზარდეთ...

**რაც შეეხება „ნათელაშვილის ქარვასლას“, იქ თავმოყრილი თუ შეყრილია პოლიტიკური პარტიები, რომელთა ხელისუფლებაში ხილვა ქართველ საზოგადოებას არ სურს, ამიტომ, ბაქიბუქის მიუხედავად, მათი შანსები პარლამენტში მოხვედრისა ნებისმიერი საარჩევნო სისტემის პირობებში, პრაქტიკულად, „პლინტუსს ქვემოთაა“...**

მეორე მხრივ, „ქართული ოცნებაც“ (ყოველ შემთხვევაში დღეს მოცემული შემადგენლობით) ხელისუფლებიდან გასაშვებია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმიტომ, რომ ნაცები დაბრუნდნენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საზოგადოებას ჭირივით ეზიზღება გაერთიანებულ ოპოზიციად წოდებული, პრაქტიკულად, ნაცები და, მეორე მხრივ, არც „ქართულ ოცნებაზე“ ამოსდის მზე და მთვარე, მაგრამ მოგვწონს თუ არა, გვინდა თუ არა, არჩევნების შედეგად **ვიღაც ხომ ჩაბრძანდება დეპუტატის სავარძელში?**

აი, კითხვა, რომელსაც, უკვე დროა, პასუხი გაეცეს. წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს თუ დავუბრუნდებით — **ვიცით, რა არ გვინდა და არ ვიცით, რა გვინდა. ვინ და რა გვინდა? — ამ კითხვაზე პასუხის არ არსებობა, არც მეტი, არც ნაკლები, რევოლუციას ნიშნავს.** აგერ ლამის წერილის ფინიშის სწორზე გავედი და, რაც დავწერე, იმის მიხედვით მკითხველი, ვეჭვობ, მიხვდეს, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს დაწერილს წერილის სათაურთან...

წერილის დასაწყისში საქართველოში გლობალური მასშტაბის ტრაგიკულ-საბედისწერო პროცესებზე საუბრისას არც ყბადაღებული კორონავირუსი მქონია მხედველობაში, რადგან ეპიდემიასა თუ უკვე პანდემიას დიდი შოთას სიბრძნის თვალით ვუყურებ — „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“, ყველაფერი უფლის განგებით ხდება და იმიტომ...

სრულიად მსოფლიოა (მათ შორის ზესახელმწიფოები) შეშფოთებული სირიის იდლიბის პროვინციაში რუსეთ-თურქეთს შორის უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობების გამო, რომელიც შეიძლება სრულმასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდოს და რას აკეთებს ამ დროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო?

იმის მაგივრად, რომ „ერთი ადგილი დააყენოს“ (თუმცა, რაც არ აქვს, რას დააყენებს?!), როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, **„ამა წლის 28 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილსა და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებულის — ონურ სევინის შორის. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სირიის პროვინცია იდლიბში არსებული ვითარება. თურქეთის მხარემ მიაწოდა მინისტრის მოადგილეს ინფორმაცია განვითარებულ მოვლენებზე — იერიში იქნა მიტანილი რეგიონში განლაგებული თურქეთის შეიარაღებული ძალების სამონიტორინგო პუნქტზე. ალექსანდრე ხვთისიაშვილმა დაუდასტურა თურქეთის წარმომადგენელს საქართველოს მხარდაჭერა სტრატეგიული პარტნიორის — თურქეთის რესპუბლიკის მიმართ, დაგმო ძალადობრივი იერიში თურქეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ... და განაცხადა, რომ თავდასხმები ასადის რეჟიმისა და მისი მოკავშირეების მხრიდან უნდა შეწყდეს“.** აი, ამონარიდი ამ შეხვედრის სტენოგრამიდან და წერტილიც შეიძლებოდა აქ დაგვესვა, მაგრამ მაინც გავაგრძელებ ბატონი ხვთისიაშვილისთვის დასმული კითხვით:

**ბატონო ალექსანდრე! რომელ სტრატეგიულ მოკავშირეზე და, მით უმეტეს, მეგობარზე ლაპარაკობთ? იმ თურქეთზე ხომ არა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 1/3 აქვს მიტაცებული? ან ვის წინააღმდეგ „ეძმაკაცებით“ თურქეთს? იმ ერთმორწმუნე რუსეთის წინააღმდეგ ხომ არა, რომელმაც თავის დროზე აჭარა დაუბრუნა საქართველოს რუსული იარაღითა და რუსი ჯარისკაცების სისხლით?**

წერა-კითხვასთან თუ მწყრალად ხართ და **კონდრატე თათარაშვილის** (უიარაღო) შესანიშნავი მოთხრობა „მამლუქი“ არ წაგიკითხავთ, ამავე სახელწოდების ქართული მხატვრული ფილმი მაინც არ გინახავთ? ფილმი, რომელიც საუკეთესო ნიმუშია ოსმალოებისა და ქართველთა საუკუნო „მეგობრობისა“ და „სტრატეგიული მოკავშირეობის“...

და, საერთოდ, მინდა, იცოდეთ:

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან ისტორიამ რუსეთ—თურქეთს შორის სულ 11 ომი იცის, რომელთაგან, სამის გარდა, ყველა რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ეს ომები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იმ თვალსაზრისით არის, რა სარგებელი ნახა ან პირიქით — რა ზიანი მიადგა საქართველოს ამ ომებით.



ალექსანდრე ხვთისიაშვილი

* ათვლა დავიწყოთ 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომიდან, რომელიც რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებითა და **ქუჩუკ-კაინარჯის** ზავით დასრულდა; ზავით, რომლის 23-ე მუხლი საქართველოს ეხებოდა — **ოსმალეთი „საზეიმოდ“ აცხადებდა, რომ იგი ამიერიდან „სამუდამოდ“ იღებდა ხელს ხარკის მოთხოვნაზე იმერეთისგან და საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შევიწროებაზე. ხელშეკრულებაში იყო სადავო ადგილებიც — იმერეთის ციხესიმაგრეებს, რომლებიც რუსეთის ჯარმა გაათავისუფლა (ბაღდათი, შორაპანი, ქუთაისი), რუსეთი იმის საკუთრებად ცნობდა, „ვისაც იგი ძველთაგან ეკუთვნოდა“, ხოლო ოსმალეთს უკრძალავდა საქართველოში ახალი რაიონების (ის, რაც „ძველთაგან არ ეკუთვნოდა“) მითვისებას. დამარცხებულ ოსმალეთს მეფე სოლომონმა არ მისცა ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების სადავო მუხლების სათავისოდ გამოყენების საშუალება — ქვეყანა დამშვიდდა და მოსახლეობამაც მნიშვნელოვნად იმატა.**

* ზავი ხანმოკლე აღმოჩნდა და ოსმალეთმა 1787-91 წლების ომში რევანშის აღება სცადა, მაგრამ ამჯერადაც სასტიკი მარცხი იწვნია. იასის საზავო ხელშეკრულების პირობებით რუსეთმა სამუდამოდ დაისაკუთრა ყირიმი, ტამანის ნახევარკუნძული, ყუბანი და ა.შ. ამასთანავე, თურქეთმა აღიარა 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის პროტექტორატი საქართველოზე და ივალდებულა, რომ მის მიმართ არავითარ მტრულ მოქმედებებს არ განახორციელებდა.

* რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის შემდეგ კი ქართველები ერთმორწმუნე რუსებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ ჯერ 1806-1812 წლების რუსეთ—თურქეთის ომში, რომელიც ბუქარესტის ზავით დასრულდა და რომლის მიხედვითაც თურქეთმა აღიარა დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლა; შემდეგ 1828-1829 წლების ომმა ახალციხე დაგვიბრუნა, ხოლო 1877-78 წლების ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა დედასაქართველოს.

ზემოთქმული, ვფიქრობ, ნათელი დასტურია იმისა, რომ **რუსეთ-ოსმალეთის ყველა დაპირისპირებაში საქართველო მეტ-ნაკლებად ყოველთვის მოგებული რჩებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოხსენებულ ომებში რუსეთი მარტო იბრძოდა, მეტიც, იმჟამინდელი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიების დიპლომატია და არა მხოლოდ დიპლომატია, ოსმალეთს უჭერდა მხარს.**

ასეთი ფაქტების სიმრავლემ ათქმევინა მოგვიანებით რუსეთის იმპერატორ **ალექსანდრე მესამეს: რუსეთის მოკავშირეები მხოლოდ მისი არმია და ფლოტიაო.** სწორედ საფრანგეთისა და ინგლისის პირდაპირი მონაწილეობის შედეგად განიცადა რუსეთმა დროებითი მარცხი 1854-56 წლებში ოსმალეთთან ომში.

აღარაფერს ვამბობ პირველ მსოფლიო ომზე, რომელში გამარჯვებაც რუსეთს სწორედ ანტანტელმა „მოკავშირეებმა“ — საფრანგეთმა და ბრიტანეთმა — „მოჰპარეს“. 1917 წელს ბრიტანეთმა თავის ელჩს 3 მილიონი მისცა რუსეთში არეულობების მოსაწყობად და აკი მოაწყვეს კიდეც ჯერ თებერვლის რევოლუციის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალების სახით, რომლის შედეგადაც რუსეთის მართლმადიდებელი მონარქია დაემხო, რუსეთის არსებობა კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. რომ არა ეს მუხანათობა, დღეს შეიძლებოდა, თურქთაგან მიტაცებული ტაო-კლარჯეთიც საქართველოსი ყოფილიყო, ფორმალურად თუნდაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში...

ვფიქრობ, ზემოთქმული ნათელი დასტურია იმისა, რომ **თურქეთის სტრატეგიულ მოკავშირედ და მეგობრად შერაცხვა, ხოლო მართლმადიდებელი რუსეთის ისტორიულ და მარადიულ მტრად გამოცხდება უმადურობაა. უმადურობა კი, მითუმეტეს, ისტორიული უმადურობა დიდი ცოდვაა, რომლისთვისაც პასუხი ერს მოეკითხება.**

**დავით მხეიძე**

**რუსეთ-ოსმალეთის ყველა დაპირისპირებაში საქართველო მეტ-ნაკლებად ყოველთვის მოგებული რჩებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოხსენებულ ომებში რუსეთი მარტო იბრძოდა, მეტიც, იმჟამინდელი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიების დიპლომატია და არა მხოლოდ დიპლომატია, ოსმალეთს უჭერდა მხარს**

**ბატონო ალექსანდრე! რომელ სტრატეგიულ მოკავშირეზე და, მით უმეტეს, მეგობარზე ლაპარაკობთ? იმ თურქეთზე ხომ არა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 1/3 აქვს მიტაცებული? ან ვის წინააღმდეგ «ეძმაკაცებით» თურქეთს? იმ ერთმორწმუნე რუსეთის წინააღმდეგ ხომ არა, რომელმაც თავის დროზე აჭარა დაუბრუნა საქართველოს რუსული იარაღითა და რუსი ჯარისკაცების სისხლით?**

**„რაც შეეხება კონკრეტულად მინისტერიალის სტრასბურგში გადატანას: ეს ამ ხელისუფლების კიდევ ერთი კრახია. ამით ჩვენ, საზოგადოება, ფაქტობრივად, დავრწმუნდით საბოლოოდ, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების თუნდაც მცირედ გაუმჯობესებას ან რამე პერსპექტივების გაჩენას ამ მიმართულებით დასავლეთი და განსაკუთრებით ოკეანის გაღმა არსებული ჩვენი „დიდი სამეგობრო“, უბრალოდ, არ დაუშვებს. მათ არათუ არ სურთ დიალოგი თბილისსა და მოსკოვს შორის, ნებისმიერი მსგავსი, თუნდაც თეორიული, შესაძლებლობის გაჩენისას იწყებენ აქტიურ მოქმედებას და მათ მიერ მართულ მეხუთე კოლონას აწყებინებენ ისტერიკულ განგაშს “.**

თვალსაჩინო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**27 თებერვალს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ერთხმად მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმადაც, 14-15 მაისს დაგეგმილი ევროპის საბჭოს მინისტერიალი თბილისის ნაცვლად სტრასბურგში ჩატარდება, ხანგრძლივი „ნაც-ქოცური“ მასკარადით აქოთებულ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ატეხილ ისტერიკას წერტილი დაუსვა. ამიერიდან ქვეყანაში რუსული დელეგაციის შემოშვება-არშემოშვების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია, „გავრილოვის საფრთხეც“, ასე თუ ისე, აღარ არსებობს და აჯანყებითა თუ გადატრიალების მოწყობითაც არავინ იმუქრება.**

# ქურთისტანის გზაზე მდგარი უპერსპექტივო ქვეყანა

## «როგორც ქურთებს არ აქვთ სამშობლო და მიმოფანტულნი არიან სხვადასხვა ქვეყანაში, ისე არ გვექნება ჩვენც; ჩვენს ტერიტორიებს კი მეზობელი ქვეყნები გაინაწილებენ»

მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ოფიციალურად შეიქნა ცნობილი და საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმაც განაცხადა, გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, საფრთხეები აგვეცილებინაო, მშვენებარე ქართულ დემოკრატიაზე გულდათუთქულმა ნაცებმა თუ ევრონაცებმა სოციალურ ქსელებში ტრაბახს მოუმატეს. მათი თქმით, ხელისუფლება მიხვდა, ქვეყანაში რუსი დიპლომატების შემოშვებით აჯანყებას მიიღებდა, თორემ სინამდვილეში, რომ არა „ნაცმოძრაობა“ და მისი აგრესიული პარტაქტივი, რომლის რაოდენობაც დღითიდღე მცირდება, თბილისის თავზე უკვე რუსული დროშა იფრიალებდა... მოკლედ, მინისტერიალის თბილისიდან სტრასბურგში გადატანამ ხელისუფლებაზე აღრენილი ნაცები მეტად კმაყოფილი დატოვა. ამაყი „ოპოზიცია“ „მეოცნებეებზე“ ნიშნისმოგებით ალაპარაკდა... რაც შეეხება ხელისუფლებას, ამ დღეებში სტრასბურგში მყოფმა ზალკალიანმა მედიასთან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით მინისტრთა კომიტეტმა საქართველოს საფრთხეები ააცილა; იქვე დასძინა, რომ ეს საფრთხეები არა მხოლოდ შიდა ძალებისგან, გარედანაც მომდინარეობს...

რომელმა ძალებმა ჩაშალეს ევროსაბჭოს მინისტერიალის ჩატარება თბილისში, რა საფრთხეებს შეიცავდა ჩვენთვის ეს ყველაფერი და რატომ წავიდა ხელისუფლება ამხელა დათმობაზე ურეიტინგო, საზოგადოებრივი მხარდაჭერის არმქონე პოლიტიკურ სუბიექტებთან — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, რას ფიქრობთ ევროსაბჭოს მინისტერიალის თბილისის ნაცვლად სტრასბურგში ჩატარებაზე? ხელისუფლება საფრთხეების თავიდან აცილებაზე საუბრობს, ნაცები და ევრონაცები კი ტრაბახობენ: თუ შემოუშვებდნენ რუს დიპლომატებს, ხელისუფლებას დავამხობდითო... რას ნიშნავს ეს ყველაფერი?**

— ეს არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი და დადასტურება იმისა, რომ ამ პოლიტიკური დღის წესრიგის პირობებში ჩვენ არ გვაქვს თუნდაც თეორიული შანსი, დავიბრუნოთ აფხაზეთი, დავიბრუნოთ სამაჩაბლო და გავაერთიანოთ ქვეყანა. ესენი არიან იაფფასიანი პოლიტიკური მარიონეტები და მათი დღის წესრიგი, მათი სამოქმედო გეგმა, იქნება ეს რუსეთთან ურთიერთობის მიმართულებით თუ სხვა რამ, პირდაპირ გაწერილია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ. ალბათ, გასაგებია, რომელ სპეცსამსახურებსაც ვგულისხმობ. ცხადია, აქ, პირველ რიგში, საუბარია ამერიკის საელჩოზე, რომელიც, პრაქტიკულად, არის ჩვენი უმაღლესი ხელისუფლება. **რაც შეეხება კონკრეტულად მინისტერიალის სტრასბურგში გადატანას: ეს ამ ხელისუფლების კიდევ ერთი კრახია. ამით ჩვენ, საზოგადოება, ფაქტობრივად, დავრწმუნდით საბოლოოდ, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების თუნდაც მცირედ გაუმჯობესებას ან რამე პერსპექტივების გაჩენას ამ მიმართულებით დასავლეთი და განსაკუთრებით ოკეანის გაღმა არსებული ჩვენი „დიდი სამეგობრო“, უბრალოდ, არ დაუშვებს. მათ არათუ არ სურთ დიალოგი თბილისსა და მოსკოვს შორის, ნებისმიერი მსგავსი, თუნდაც თეორიული, შესაძლებლობის გაჩენისას იწყებენ აქტიურ მოქმედებას და მათ მიერ მართულ მეხუთე კოლონას აწყებინებენ ისტერიკულ განგაშს.** აი, ეს არის ის მთავარი გარემოება, რომელიც პირდაპირი მოლაპარაკებების შესაძლებლობას გვაკარგვინებს. ჯამში, ეს არის ამ ხელისუფლების უნიათობა. ხელისუფლების სისუსტე და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა რომ არა, ამერიკის საელჩო ასე ღიად ვერ შეძლებდა ჩვენი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრას...

**— თქვენი აზრით, საით მივყავართ პოლიტიკას? რა მომავალი აქვს ამ მიდგომებით საქართველოს?**

— საქართველო ამ პოლიტიკით სულ მალე ნაწილ-ნაწილ დაიშლება და ჩვენ ამ პროცესის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, უძლური ვიქნებით. იმიტომ, რომ, როდესაც წლების განმავლობაში ღია კონფლიქტი გაქვს შენს რეგიონში გეოპოლიტიკური დღის წესრიგის განმსაზღვრელ ზესახელმწიფოსთან, ბუნებრივია, უსაფრთხოების თვალსაზრისით მუდმივად ხარ უკუსვლის რეჟიმში — ეს ერთი; მეორე: ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთი საქართველოსთვის არის უალტერნატივო დასაყრდენი, რომელსაც, რა პოლიტიკური ნებაც არ უნდა არსებობდეს, ევროპა და მით უფრო ამერიკის შეერთებული შტატები ვერ ჩაანაცვლებს, თუმცა ფაქტია: მსგავსი ნება არ არსებობს. კიდევ ვიმეორებ: სულ მალე საქართველოს ეს პოლიტიკა დაშლის და ჩვენ ვიქნებით მეორე ქურთისტანი — **როგორც ქურთებს არ აქვთ სამშობლო და მიმოფანტულნი არიან სხვადასხვა ქვეყანაში, ისე არ გვექნება ჩვენც სამშობლო და ჩვენს ტერიტორიებს გაინაწილებენ მეზობელი ქვეყნები. ვიღაცას თუ ჰგონია, ეს არ მოხდება და, თუ მოხდება, „დემოკრატიული“ დასავლეთი შეშფოთებით ზეცას ჩამოამხობს, შეუძლია ამ ილუზიებში იცხოვროს, მაგრამ რეალობა არის ასეთი: ჩვენ ვართ სამხრეთ კავკასიის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც რუსეთთან ძიძგილაობისა და ჭიდაობის გამო მუდმივად არის საფრთხის ქვეშ, ოღონდ არა მხოლოდ რუსეთისგან, არამედ სომხეთის, აზერბაიჯანისა და, პირველ რიგში, თურქეთისგან.**



> **«საქართველოში სრულიად პოლიტიკური სპექტრია გაყიდული და ყველა, მათ შორის ისინიც, ვინც, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად საღ ძალად აჩვენებდეს თავს საზოგადოებას, ეკუთვნის ერთ პოლიტიკურ დღის წესრიგს. აი, ეს არის რეალურად ჩვენი პრობლემა და უბედურება, მაგრამ ყველაზე დიდ უიმედობას მაინც რა აჩენს, იცით? ის, რომ მოტივაციაც აღარ არსებობს. აღარ არის პატრიოტული სულისკვეთება და თავგანწირვა ქვეყანაში»**

**— ვთქვათ, დაიწყო გარკვეული დიპლომატიური ურთიერთობა თბილისსა და მოსკოვს შორის, შეიქმნა წინაპირობები პირდაპირი დიალოგისთვის, რა პერსპექტივებს აჩენს ეს ჩვენთვის?**

— შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პირველივე შეხვედრების შემდეგ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, მაგრამ აგერ არის მოლდოვის მაგალითი. მოლდოვამ, მოგეხსენებათ, გადაჭრა ტერიტორიული პრობლემა — პრეზიდენტმა **იგორ დოდონმა** მოსკოვში ხშირი ვიზიტებით შეძლო ის, რომ დნესტრისპირეთს რუსები უკვე აღიარებენ მოლდოვის შემადგენლობაში. რაც შეეხება იმას, რომ თურმე ნატო არის ჩვენი მომავალი და რუსეთს ეს აღიზიანებს, **სომხეთის მაგალითი ავიღოთ: ნატოს წვრთნებშიც მონაწილეობს, სხვადასხვა მისიაშიც არის და რუსეთთანაც ინარჩუნებს ნორმალურ, ჯანსაღ პოლიტიკურ ურთიერთობას. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთს საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივა კი არ აღიზიანებს (ძალიან კარგად იციან, რომ იქ არასოდეს მიგვიღებენ), აღიზიანებს დაუფარავი და უკვე ერთგვარ პოლიტიკურ თვითმიზნად ქცეული ანტირუსული ორიენტაცია.** რუსეთში, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად აქვთ გააზრებულ-გაანალიზებული ის, რომ აღნიშნული კურსი საქართველოსი არ არის საქართველოს მოსახლეობის ნებით ნაკარნახევი. მათ იციან, რომ ქართველი საზოგადოების უმრავლესობა არის სულ სხვაგვარად განწყობილი და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს ნათლად ჩანს „ენ-დი-აი“-ს კვლევებშიც...

**— კი მაგრამ, თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვაგვარადაა განწყობილი, რატომ არ აისახება ეს პოლიტიკურ რეალობაზე, მაგალითად, არჩევნებზე?**

— არჩევნებზე ეს ჩანს ძალიან ნათლად იმ ფორმით, რომ ხალხი, პრაქტიკულად, ბოიკოტს უცხადებს ყველა არჩევნებს. რაც შეეხება კონკრეტულ აქტივობას, **მაჩვენეთ ერთი ნორმალური პარტია, რომელსაც საზოგადოება შეიძლება ენდოს.** კი, არის რამდენიმე სუბიექტი, მაგრამ ეს რეალურად ვერაფერს ცვლის. მე რისი თქმა მინდა: **საქართველოში სრულიად პოლიტიკური სპექტრია გაყიდული და ყველა, მათ შორის ისინიც, ვინც, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად საღ ძალად აჩვენებდეს თავს საზოგადოებას, ეკუთვნის ერთ პოლიტიკურ დღის წესრიგს. აი, ეს არის რეალურად ჩვენი პრობლემა და უბედურება, მაგრამ ყველაზე დიდ უიმედობას მაინც რა აჩენს, იცით? ის, რომ მოტივაციაც აღარ არსებობს, აღარ არის პატრიოტული სულისკვეთება და თავგანწირვა ქვეყანაში,** რომელიც აუცილებელია ასეთ დროს. უბრალოდ, დაჯდებიან ვიღაცები ჩაის ჭიქით ხელში და ფეისბუქლაივებში გვმოძღვრავენ... იმის თავი თუ არ გაქვს, თვითონ რამე გააკეთო, სხვას მაინც დაეხმარე და შეუწყვე ხელი... **თავგანწირვა თუ არ იქნა და ყველა თავის მილიონებს გაუფრთხილდება, ასე შორიდან ლაპარაკით, რომ, დედა, რა ცუდია, ქვეყანა თავზე გვემხობა, არაფერი გამოვა. პირველ რიგში, აქ საჭიროა რისკზე წასვლა და გარკვეული მსხვერპლის გაღება, რომ პროცესი დაიძრას.** მერე თვითონ „ლიბერალური“ დიქტატისა და ტერორის ქვეშ მყოფი დასავლეთია ნათელი მაგალითი, რა სახის ჯაჭვური რეაქცია შეიძლება მოჰყვეს არსებული სისტემის მიერ დაჩაგრული საზოგადოების აფეთქებას ქვეყანაში... ისე, ერთი რამ მაინტერესებს: **სად არის ეს ჩვენი სახელოვანი, ძველი თუ ახალი ინტელიგენცია, რომელსაც პატრიოტობაზე აქვს პრეტენზია?! ქვეყანა თავზე გვენგრევა, ტერიტორიები დავკარგეთ, აგერ დავითგარეჯსაც გვართმევენ, ეკონომიკა მოიშალა, ხალხი მასობრივად გარბის საზღვარგარეთ... რატომ ხმას არ იღებენ?! რეგიონები გაუკაცრიელებულია უკვე, სადმე, რომელიმე ეთერში მოგისმენიათ ამაზე საუბარი?!**

**— პრობლემები მეტ-ნაკლებად, ალბათ, ყველასთვის გასაგებია, მაგრამ გამოსავალს ხედავთ? დღეს რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს ვითარება თუნდაც ნაწილობრივ გამოსწორდეს?**

— დღეს, უწინარესად, მოსაგვარებელია ერთი რამ და ეს თითოეული ჩვენგანის გასაკეთებელია: უნდა განიდევნოს და სამუდამოდ მოშორდეს პოლიტიკური ველიდან მავნე ძალები „ნაცმოძრაობისა“ თუ მათი შენაერთ-განაყოფების სახით; უნდა გაიწმინდოს ხელისუფლება უცხო ქვეყნის აგენტურისგან და ამ ძალებს აღარ უნდა მიეცეთ აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობა. აი, ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი სათავეში ისეთი ძალის ან ძალების მოყვანა, რომლებიც, ისევ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთთან პირდაპირ დიალოგს დაიწყებენ. სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ. პირიქით, **დღეს საქართველო, როგორც გითხარით, არის ქურთისტანის გზაზე მდგარი უპერსპექტივო ქვეყანა, რომელსაც ყველანაირი შესაძლებლობა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებისა წაართვეს; წაართვეს ქვეყნისა და ხალხის მოღალატე ძველი და ახალი ხელისუფლებების ხელით. დღეს საქართველოს, პრაქტიკულად, მომავალი არ აქვს. ჩვენ, სამწუხაროდ, მუდმივი რეგრესისა და წარუმატებლობის პირობებში ვართ.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო დიდი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა, ბოლო 30 წელია, ახალ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს აშენებს და ამ მშენებლობის პერიოდში მას მრავალი ბარიერის დაძლევა მოუწია. მხოლოდ სამოქალაქო ომები რად ღირს ან ცხინვალის სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული რუსული ოკუპაცია. თქვენ მიერ გამოზრდილმა და საქართველოს პრეზიდენტად მოვლენილმა სააკაშვილმა გვაზიარა უბედურებას. მან აშშ-ის გარკვეული წრეების წაქეზებით საქართველო საომარი მოქმედების თეატრად აქცია, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამასთანავე, ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის ტერიტორიის 20% დაგვაკარგვინა.**

# ე.წ. ევროატლანტიკურ სივრცეს: როდემდე, ბატონებო, როდემდე?!

**ქვეყანაში მიმდინარე ურთულესმა პროცესებმა, პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულმა ფარულმა თუ ღია ქიშპობამ, გაერთიანებული ოპოზიციური პარტიების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ ხელისუფლებასთან, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის უკიდურესმა გაუარესებამ და სხვა მრავალმა ნეგატიურმა ფაქტორმა მაიძულა, ევროატლანტიკური სივრცისთვის გამეცნო ჩემი, ერთი რიგითი ქართველის, განვლილი, მრავალწლიანი ცხოვრების ტვირთის მატარებლის, მოსაზრება საქართველოში არსებულ ვითარებაზე.**



**საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თითქმის 30 წელიწადი გავიდა. აშშ-მა პირველმა აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა 1991 წელს. მოგვიანებით კი თქვენი საელჩოს გახსნამ დიდი სიხარული მოგვგვარა. საქართველომ ევროატლანტიკური სივრცისკენ აიღო გეზი, მაგრამ თქვენი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო შეყოვნდა, დაფიქრდა, დაღონდა და იკითხა: რით სჯობს ახალი «სტრატეგიული პარტნიორი» ძველს? რა გაგვიკეთა, რით დაგვეხმარა? ხალხმა გაიხსენა ძველი, თქვენამდე არსებული ურთიერთობები რუსეთთან, ქვეყანასთან, რომელთანაც დიალოგს გვიკრძალავთ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად**

დარწმუნებული ვარ, საქართველოში აკრედიტებული თქვენი დიპლომატიური მისიების წყალობით ინფორმაციის ნაკლებობას არ განიცდით, თუმცა გულახდილად მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური ჩავარდნების უგულებელყოფა საწინააღმდეგო განცდას მიჩენს, რამეთუ ამდენი ხარვეზის შემყურე სტრატეგიული პარტნიორი, ჩემი აზრით, სხვაგვარად უნდა იქცეოდეს — გვასწავლიდეს, ხელს გვიწყობდეს, გვეხმარებოდეს ყოველგვარი დიქტატისა და მენტორული ტონის გარეშე.

რასაც გვიბედავთ და გვკადრებთ — ჭკუის დარიგება, დატუქსვა, თითის ქნევა, მუქარა, დამამცირნებელი და შეურაცხმყოფელი წერილები კონგრესმენებისგან, სენატორებისგან, ევროპის სახალხო პარტიისგან, სახელმწიფო და არასამთავრებო ორგანიზაციებისგან — ეს არის მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების გაუთავებელი კრიტიკა.

**საქართველო დიდი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა, ბოლო 30 წელია, ახალ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს აშენებს და ამ მშენებლობის პერიოდში მას მრავალი ბარიერის დაძლევა მოუწია. მხოლოდ სამოქალაქო ომები რად ღირს ან ცხინვალის სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ოკუპაცია. თქვენ მიერ გამოზრდილმა და საქართველოს პრეზიდენტად მოვლენილმა სააკაშვილმა გვაზიარა უბედურებას. მან აშშ-ის გარკვეული წრეების წაქეზებით საქართველო საომარი მოქმედების თეატრად აქცია, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამასთანავე, ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის ტერიტორიის 20% დაგვაკარგვინა.**

რაღაც ვერ ვიხსენებ შეურაცხადი სააკაშვილისა და ნაციონალური ხელისუფლების სახელზე გამოგზავნილ ისეთივე შინაარსის წერილებს, როგორსაც „ოცნების“ ხელისუფლებას უგზავნით.

სიტყვა არ დაგიძრავთ:

*სააკაშვილის 9-წლიანი აღვირახსნილი, სისხლიანი მმართველობის ბოროტებაზე, სისასტიკესა და საშინელებებზე;

*საქართველოს მოსახლეობისთვის უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის, ეკლესიის საკურთხეველში შევარდნები, სარწმუნოების შეურაცხყოფაზე;

*ხალხის ქუჩაში ცინიკურ დახვრეტებზე;

*გადავსებულ ციხეებში პატიმრების გაუგონარ წამებაზე;

*ციხეში მის მიერ ხელოვნური ამბოხის მოწყობასა და პატიმრების ჩახოცვაზე;

*ელიტურ კორუფციაზე;

*ყველა არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე;

*მშვიდობიანი მიტინგებისა და აქციების უსასტიკესი მეთოდით დარბევაზე;

*მოსახლეობის აბუჩად აგდებაზე;

*სააკაშვილის გარყვნილ ცხოვრებაზე, ლოთობაზე, მის მიერ ნარკოტიკებისა და ტრანკვილიზატორების მოხმარებაზე, უცხოეთიდან ვიზაჟისტებისა და მასაჟისტების ჩამოყვანაზე და მათთან ნებივრობაზე;

*საზღვარგარეთ გასართობად და დროის სატარებლად ჟურნალისტ-პრასტიტუტკებთან ერთად ვოიაჟებზე;

*საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა-მითვისებაზე;

*მის უგუნურ დანაშაულებრივ საკადრო პოლიტიკაზე — გენდერული წესით შერჩეული, ამურში დახელოვნებული ახალგაზრდა ქალების მინისტრებად დანიშვნასა და უმწიფარი გოგოების პარლამენტში შეყვანაზე (ეს ისეთი ნოვაცია შემოიღო, უკეთესს ვერც რომის იმპერატორი კალიგულა მოიფიქრებდა — მინისტრობა და პარლამენტარობა პრეზიდენტის საძინებლის გავლით);

*წარმატებულ ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და უსასტიკეს დარბევაზე;

*უმაღლესი თანამდებობის პირების უმოწყალო ცემასა და გაგუდვაზე;

*მისი დავალებით მისივე დაცვის წევრების მიერ სახელმწიფო მოხელეებისა და პარლამენტის წევრების სიკვდილამდე მიყვანაზე;

*საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გასხვისებაზე;

*ბიზნესის წართმევაზე და ქონების მისი უახლოესი გარემოცვის წევრებზე ერთ ღამეში გადაფორმებაზე მუქარით, დაშინებით, დაპატიმრებით და სხვა ამაზრზენი მეთოდებით.

სააკაშვილმა შექმნა ტოტალური ძალადობრივი სისტემა, სახელმწიფო მართვის ისეთი ფორმა, სადაც არაპროფესიონალიზმი, გაუნათლებლობა, არაკომპეტენტურობა ყვაოდა, მაგრამ ამერიკასა და ევროპას ერთხელაც არ ამოუღია ხმა მის ურიცხვ უმსგავსობაზე. პირიქით — სულ მისი ქება-დიდება გვესმოდა გაღმიდან, ხან წარმატებულ რეფორმატორს, ხან დემოკრატიის შუქურას უწოდებდით.

სააკაშვილი და მისი მმართველობა თქვენ მიმართ თქვენ მოსაწონ, მონურ მორჩილებას იჩენდა, თქვენს პოლიტიკოსებთან და მაღალი რანგის მოხელეებთან ძმაკაცური ურთიერთობებით გამოირჩეოდა. ისინი ხშირად სტუმრობდნენ მას გასართობად და დროის სატარებლად. მისი მმართველობის წასახალისებლად და გასამყარებლად არც ერთ მათგანს სააკაშვილზე არასდროს აუგი არ დასცდენია. რატომ? ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

დღესაც თვალწინ მიდგას საჯარო შეკრებაზე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** სიტყვით გამოსვლა, რომელმაც ქება-დიდება არ დაიშურა სააკაშვილის დედის — **გიული ალასანიას** მიმართ, რომელიც დარბაზში წინა რიგში იჯდა, ასეთი შესანიშნავი, ჭკვიანი, კარგად აღზრდილი, განათლებული, გამჭრიახი პოლიტიკოსის აღზრდისთვის; ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა **ბუშმა** თბილისში სტუმრობისას სააკაშვილს ენით აუწერელი ხოტბა შეასხა.

ხალხი კი გმინავდა ამ ჯალათის უსაქციელობაზე, თუმცა ყველაზე ამაზრზენია ის, რომ პირადად სააკაშვილის, მისი გარემოცვისა და მის მიერ დატოვებული თავხედი, უზრდელი, გაუნათლებელი და უსაქმური ნაციონალების, ურეიტინგო პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა ვითომ დამცველების მიმართ დასავლეთიდან დღესაც გრძელდება ლოიალური დამოკიდებულება, მათ შორის — დაფინანსებაც.

ამერიკისა და ევროპის სახელმწიფო სტრუქტურების მესვეურებო, ჩვენო „სტრატეგიულო პარტნიორებო“, თქვენ მოგმართავთ!

საქართველოს მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს თქვენ მიერ თავსმოხვეული შოკისმომგვრელი კოაბიტაცია, სააკაშვილისთვის ერთი წლით პრეზიდენტობის ვადის გაგრძელება...

სააკაშვილი საქართველოდან გაიქცა, მაგრამ მის მიერ შექმნილი კრიმინალური პარტია დღესაც განაგრძობს ქვეყნის დესტაბილიზაციას. დანაშაულებრივი „ნაციონალური მოძრაობის“ კანონგარეშედ გამოცხადების ნაცვლად, თქვენი წყალობით ის მთავარ ოპოზიციურ ძალად მოიაზრება და საქართველოს პარლამენტში თავხედური, დესტრუქციული საქციელით გამოირჩევა.

ამერიკული ორგანიზაციების „აი-არ-აი“-სა და „ენ-დი-აი“-ს მიერ ტენდენციური და მიკერძოებული გამოკითხვით, „ნაცმოძრაობა“ ლამის ყველაზე წარმატებულ და პოპულარულ პარტიად სახელდება. მას მხარს უჭერენ და ზურგს უმაგრებენ თქვენ მიერ დაფინანსებული ტელეარხები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა მიმართულია ქართული ტრადიციების, კულტურის, ოჯახის სიმტკიცის დასასამარებლად — ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დასაკანონებლად, გეიაღლუმების ჩასატარებლად, ხალხის მასებში (განსაკუთრებით — ახალგაზრდებში) ლგბტ იდეების გასაპიარებლად; არც ერთი სიტყვა — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოსწორებაზე. საყოველთაო უმუშევრობამ და მოსახლეობის უკიდურესმა გაჭირვებამ გამოიწვია შემაძრწუნებელი სუიციდის შემთხვევების ზრდა განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწა, თუნდაც მძიმე სამუშაოს შოვნის იმედით. მცირდება საქართველოს მოსახლეობა, ცარიელდება ქალაქები და სოფლები. წლევანდელი სასწავლო წელი 100-ზე მეტმა სკოლამ პირველი კლასის გარეშე დაიწყო. ეს უკვე კატასტროფაა.

საქართველოს მოსახლეობა, რომელიც დამოუკიდებლობის მიღებამდე 5,5 მილიონს შეადგენდა, 3 მილიონამდე დავიდა. ქვეყნიდან გადახვეწილი ქართველების ადგილს აზიელები და აფრიკელები იკავებენ. „დემოკრატიული და ტოლერანტული“ დასავლეთის მეცადინეობით, საქართველოდან 30 წელიწადში სახელიღა თუ დარჩება.

თქვენ წარმატებით განაგრძობთ ნაციონალი სახელმწიფო დამნაშავე-კრიმინალების მფარველობას, რომ არ გადასცენ ისინი პასუხისგებაში, 48 მილიონის გამფლანგველ **უგულავას** ექომაგებით. გასული წლის 1 იანვარს (ახალ წელს) **მაკეინი** ჩამოფრინდა თბილისში და ციხიდან გამოაშვებინა ეს ნაძირალა. **მერაბიშვილი** სახელმწიფო დამნაშავე და მკვლელია, მისი განთავისუფლება თქვენს ზეწოლაზე და ორივე შემთხვევა ჩვენი ხელისუფლების თქვენდამი მორჩილებაზე მეტყველებს. ამ გონებაშეზღუდულს ციხის ზღურბლიც არ ჰქონდა გადმოკვეთილი, ხელისუფლების დამხობით რომ დაგვემუქრა. ნუთუ ეს მიგაჩნიათ დემოკრატიად?!

სამწუხაროდ, **ვრწმუნდები პლატონის (სოკრატეს მოწაფისა და არისტოტელეს მასწავლებელი ბერძენი ფილოსოფოსის) და ალფრედ ნობელის შეფასებებში: „დემოკრატია ტირანიის დედაა“ და „ნებისმიერ დემოკრატიას ნაძირალების დიქტატურამდე მივყავართ“.**

ნუთუ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლების ყოველი კანონიერი, ობიექტური და სამართლიანი ნაბიჯი უნდა აკრიტიკოთ, ეჭვქვეშ დააყენოთ, აბუჩად აიგდოთ, დაემუქროთ სანქციებით, კომისიები და შემმოწმებლები მოავლინოთ ამერიკიდან და ევროპიდან?!

თქვენ იცით **საქართველოდან გაქცეული, საზღვარგარეთის ქვეყნებს შეფარებული სახელმწიფო დამნაშავე-კრიმინალებზე — სააკაშვილზე, ადეიშვილზე, ახალაიასა და სხვებზე გამოცხადებულია ძებნა წითელი ცირკულარით, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ არც მათ დაპატიმრება-ექსტრადიციაში გვეხმარებით.**

თქვენ გინდათ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დათრგუნვა-დაბეჩავება, მონური მორჩილება, უკვე მიაღწიეთ ამასაც — თქვენთან შეთანხმების გარეშე ჩვენი ხელისუფალნი გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ. იცოდეთ, არ გამოგივათ, ქართველი ხალხი ამის უფლებას არ მოგცემთ! მინდა, დაგარწმუნოთ, რომ სამართლიანი ხელისუფლება გვყავს, წინამორბედ ურჩხულთან შედარებით, ▶

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**250 წელს მოითვლის საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. ამ ხნის განმავლობაში იყო ბევრი უარყოფითი, მაგრამ დადებითი — გაცილებით მეტი. რუსეთმა გააერთიანა დაქუცმაცებული საქართველო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად, სამცხე-საათაბაგოს, გურიისა და ოდიშის სამთავროებად; თურქეთს გამოჰგლიჯა ბათუმი და აჭარა. ალკვეთა საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო მოვლენა — აღმოსავლეთის ბაზრებზე საჯიშე ქართველი გოგო-ბიჭების გაყიდვა.**

**თქვენ გინდათ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დათრგუნვა-დაბეჩავება, მონური მორჩილება, უკვე მიაღწიეთ ამასაც — თქვენთან შეთანხმების გარეშე ჩვენი ხელისუფალნი გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ. იცოდეთ, არ გამოგივათ, ქართველი ხალხი ამის უფლებას არ მოგცემთ! მინდა, დაგარწმუნოთ, რომ სამართლიანი ხელისუფლება გვყავს, წინამორბედ ურჩხულთან შედარებით, და არ შეიძლება ყოველი ნაბიჯი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ამერიკის ელჩს საქართველოში, კონგრესმენებს, სენატორებს, ევროკავშირს, ნატოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს შეუთანხმოს**




◀ და არ შეიძლება ყოველი ნაბიჯი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ამერიკის ელჩს საქართველოში, კონგრესმენებს, სენატორებს, ევროკავშირს, ნატოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს შეუთანხმოს!

თქვენს რჩევებს, მოსაზრებებსა და წინადადებებს სიამოვნებით მივიღებთ, დიქტატი კი კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის. თქვენ უდიდესი და უძლიერესი ზესახელმწიფო ხართ, უდიდესი სახელმწიფოებრივი მმართველობის გამოცდილებით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ბრძანდებით.

ჩემი აზრით, ამიტომაც გმართებთ ჩვენი პრობლემების გულისყურით მოსმენა, სიღრმისეული განხილვა და გადაწყვეტა. ეს თქვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება. ვიცით, რომ ყველაფერი რიგზე არ გვაქვს, ვცდილობთ, შეცდომები დროულად გამოვასწოროთ.

ჩვენი არჩეული ხელისუფლება ჩვენვე უნდა გავაკრიტიკოთ, მწვავედ ვაკრიტიკებთ კიდეც.

თქვენი ექსპერტები ნატოში გაწევრებას გვთავაზობენ, ცხადია, ყველა თქვენი დავალების შესრულების შემდეგ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე. განა ასეთ წინადადებას უნდა გვთავაზობდეს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი ან ქართველი ხალხი ასეთ წინადადებაზე ოდესმე დაგთანხმდებათ?!

ჩვენი ყველაზე მტკივნეული პრობლემა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სუსტი ეკონომიკაა. სამწუხაროდ, ვერც ერთ პრობლემას ვერ გვიგვარებთ.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თითქმის 30 წელიწადი გავიდა. აშშ-მა პირველმა აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა 1991 წელს. მოგვიანებით კი თქვენი საელჩოს გახსნამ დიდი სიხარული მოგვგვარა. საქართველომ ევროატლანტიკური სივრცისკენ აიღო გეზი, მაგრამ თქვენი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო შეყოვნდა, დაფიქრდა, დაღონდა და იკითხა: რით სჯობს ახალი „სტრატეგიული პარტნიორი" ძველს? რა გაგვიკეთა, რით დაგვეხმარა? ხალხმა გაიხსენა ძველი, თქვენამდე არსებული ურთიერთობები რუსეთთან, ქვეყანასთან, რომელთანაც დიალოგს გვიკრძალავთ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად.

250 წელს მოითვლის საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. ამ ხნის განმავლობაში იყო ბევრი უარყოფითი, მაგრამ დადებითი — გაცილებით მეტი. რუსეთმა გააერთიანა დაქუცმაცებული საქართველო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად, სამცხე-საათაბაგოს, გურიისა და ოდიშის სამთავროებად; თურქეთს გამოჰგლიჯა ბათუმი და აჭარა. აღკვეთა საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო მოვლენა — აღმოსავლეთის ბაზრებზე საჯიშე ქართველი გოგო-ბიჭების გაყიდვა.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არც ერთი სკოლა არ ფუნქციონირებდა.

რომელი ერთი გავიხსენო:

საბჭოთა საქართველოს აღმასვლა ხდებოდა 70 წლის განმავლობაში განვითარებული მძიმე და მსუბუქი მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, მეცნიერებით, სპორტით, კულტურით, განათლებით...

იყო უფასო განათლება, უფასო მკურნალობა, მიზერული ფასები მედიკამენტებზე, კომუნალურ მომსახურეობაზე, ბენზინზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე, ტრანსპორტზე;

უმუშევრობა რა იყო, არც კი ვიცოდით;

საცხოვრებელ ბინებს მოსახლეობა უფასოდ იღებდა;

აქვე მინდა გავიხსენო ერთი ისტორია, რომელიც მოსკოვში სახალხო მეურნეობის აკადემიაში ჩემს სასწავლებლად წასვლას უკავშირდება.

აკადემიის რექტორი, როგორც კი გაიგო, რომ ოჯახით უნდა ჩავსულიყავი მოსკოვში, ტელეფონით დაელაპარაკა მოსკოვის მაშინდელ აღმასკომის თავმჯდომარეს, წერილიც მისწერა და რამდენიმე დღეში ოროთახიანი ბინით დამაკმაყოფილეს აკადემიასთან ახლოს, ვერნადსკის პროსპექტზე.

ურიცხვი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო ობიექტები შენდებოდა საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე. მათი დაკომპლექტება ტექნოლოგიური დანადგარებით, მოწყობილობებით, საკაბელო და ელექტროპროდუქციით, ტექნიკით, მექანიზმებით, სამშენებლო მასალებით ხდებოდა საკავშირო საგეგმო და მომარაგების კომიტეტების მიერ **უსასყიდლოდ!**

ამ ჩამონათვალმა და კიდევ სხვა მრავალმა სიკეთემ უდავოდ ხელი შეუწყო დემოგრაფიული საკითხის მკვეთრად გაუმჯობესებას. რუსეთთან შეერთებისას საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 450 ათასს, 1991 წლის დეკემბერში კი — 5,5 მილიონს.

დღეს კი **გაუსაძლისი ცხოვრების პირობების გამო შრომისუნარიანი მოსახლეობა ქვეყნიდან უცხოეთში გარბის, 2,5 მილიონამდე ადამიანმა სამშობლო მიატოვა. მკვეთრად გაუარესდა დემოგრაფია და ქვეყნის ეკოლოგია, სამწუხაროდ, ხალხში მკვიდრდება ნიჰილიზმი და უიმედობა. მოსახლეობა დაიღალა და ყველაფერზე ხელი ჩაიქნია.**

მინდა, საბჭოეთის სიკეთეებს დავუბრუნდე, როგორიც იყო რესპუბლიკებს შორის უვიზო მიმოსვლა, მიმოქცევაში ერთიანი ფულის ერთეული, ერთიანი თავდაცვა, ელექტრო და გაზმომარაგება, ერთიანი საჰაერო სივრცე და სარკინიგზო სისტემა. საბჭოეთის ყველა რესპუბლიკა მშვიდად და წარმატებით ვითარდებოდა. მათ შორის კონფლიქტი არასდროს ყოფილა.

წესად იყო ქცეული კონსტიტუციის პატივისცემა და კანონმორჩილება.

თქვენს მონა-მორჩილს საკავშირო მასშტაბის მრავალ ობიექტზე მომიწია მუშაობა: მოსკოვში, ჩერნობილ-სლავუტიჩში, სპიტაკსა და ლენინაკანში, ბამზე... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მუშაობის პერიოდში საბჭოთა ხელმძღვანელობისგან არასდროს მსმენია დამამცირებელი სიტყვა.

25 წლისაც არ ვიყავი, გიგანტი სამრეწველო ობიექტის მშენებლობის ხელმძღვანელად რომ დამნიშნეს. ობიექტზე ჩამოდიოდნენ საკავშირო მინისტრები, მათი მოადგილეები, საკავშირო ცკ-ის მდივნები და მთავრობის წევრები. არ მახსოვს მათგან მბრძანებლური ტონი, საყვედური, იყო მხოლოდ ურთულესი საკითხების მოსმენა, განხილვა და გადაწყვეტა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება, რათა დროულად ჩაგვებარებინა სამთო გამამდიდრებელი კომბინატი და ქვეყნისთვის მიგვეცა მაღალხარისხიანი პროდუქცია — სპილენძის კონცენტრატი, რასაც წარმატებით გავართვით თავი.

ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ბევრი ქარხანა, კომბინატი, ფაბრიკა, შახტა, მაღარო, სარწყავი სისტემა, საბაგირო გზა, ნავთობბაზა, სარკინიგზო ჩიხი, საავტომობილო გზა, გვირაბი, წყალსადენი, საავადმყოფო, ინსტიტუტი, სასტუმრო, საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საბავშვო ბაღი აშენებია, რა თქმა უნდა, შედარებით პატარა ობიექტები — ადგილობრივი ბიუჯეტით.

ჩემი აზრით, სახალხო მოძრაობას მაშინ შეიძლება ეროვნული ეწოდოს, თუ ის აღმშენებლობისკენ და არა ნგრევისკენ არის მიმართული. სამწუხაროდ, სწორედ თქვენ მიერ ფარულად წაქეზებული „ეროვნული" მოძრაობით დაიწყო ცხოვრების პირობების გაუარესება — უმუშევრობა, ფასების ზრდა, უპურობა, უგაზობა, უშუქობა, სიდუხჭირე, შიმშილი, კრიმინალი, სამოქალაქო დაპირისპირება, ძმათამკვლელი ომები, პოლიტიკური დაძაბულობა, გაუთავებელი კონფლიქტები უაზროდ მომრავლებულ პარტიებს შორის, გაუარესდა დემოგრაფია, შობადობა კატასტროფულად შემცირდა, შეწყდა საბჭოეთის დრო არსებული ეკონომიკური, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, სამეცნიერო, კულტურული კავშირები; ჯართად გაიყიდა უამრავი სამრეწველო, საამშენებლო და სხვა დანიშნულების საწარმოები.

ქვეყნის სათავეში მოვიდნენ გამოუცდელი, არაპროფესიონალი კადრები. საქართველოს ხელისუფლებამ მათ მიერ დაშვებული უხეში შეცდომები მოსკოვს გადააბრალა და თქვენი აქტიური ზეწოლით რუსეთი ნომერ პირველ მტრად გამოაცხადა.

პრეზიდენტ ბუშის საზეიმო მიღებისას თავისუფლების მოედანზე აღმართული ტრიბუნიდან ამერიკელების გამოზრდილმა უმეცარმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, ფათერაკიანი ცხოვრების განმავლობაში უამრავ მომხვდურთან შედარებით რუსეთი ყველაზე მზაკვარი და სასტიკი იყოო.

სააკაშვილის ნაბოდვარმა მაღალ სტუმარს უდიდესი სიამოვნება მოჰგვარა, მაგრამ ნებისმიერ შეგნებულ, განათლებულ, ისტორიის მცოდნე ქართველს თვითშეურაცხყოფის განცდა გაუჩნდა.

ქართველი ოპოზიციონერები წარმატებითართმევენ თავს თქვენ მიერ მიცემულ დავალებას რუსეთის დაუსრულებელ ლანძღვა-გინებას.

როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?

საზოგადოებას ვთხოვ, წარსულის ნოსტალგიით შეპყრობილ პიროვნებად არ ჩამთვალოს. მე კარგად ვიცი დამოუკიდებლობის ფასი, მაგრამ თითქმის მესამედი საუკუნე ცოტა არ არის...

როდემდე, ბატონებო?!

**ომარ მარგველაშვილი,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი**

**ამერიკული ორგანიზაციების «აი-არ-აი»-სა და «ენ-დი-აი»-ს მიერ ტენდენციური და მიკერძოებული გამოკითხვით, «ნაცმოძრაობა» ლამის ყველაზე წარმატებულ და პოპულარულ პარტიად სახელდება. მას მხარს უჭერენ და ზურგს უმაგრებენ თქვენ მიერ დაფინანსებული ტელეარხები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა მიმართულია ქართული ტრადიციების, კულტურის, ოჯახის სიმტკიცის დასასამარებლად — ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინების დასაკანონებლად, გეიაღლუმების ჩასატარებლად, ხალხის მასებში (განსაკუთრებით — ახალგაზრდებში) ლგბტ იდეების გასაპიარებლად; არც ერთი სიტყვა — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოსწორებაზე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„აირია მონასტერი“ და, თუკი აქამდე „ქართული ოცნება“ ხელმძღვანელობდა ორმაგი სტანდარტებით, ანუ ყოფილი ნაცებიდან, ვინც მათ მიელაქუცებოდა, „სისტემის მსხვერპლი“ იყო, ხოლო, ვინც კვლავ წინააღმდეგობის რეჟიმში რჩებოდა, დამნაშავედ ცხადდებოდა, ახლა ზუსტად იმავეს აკეთებს ე.წ. ოპოზიცია. ოღონდ მათთვის პირიქით არის — ნაცები, რომლებიც „ოცნებას“ მიეკედლნენ, არიან დამნაშავეები და ისინი უნდა დაისაჯონ! ხოლო ნაცები, რომლებიც ამჯერად „ივანიშვილის რეჟიმს“ ებრძვიან, კარგი ნაცები, პოლიტპატიმრები და გმირები გამოდიან!**

# «ოცნების» შერჩენითი სამართალი და პოლიტიკური ბოლმების ვულკანი «ოპოზიციაში»

## ნაცების შერჩევითი სამართალი ქოცების შერჩენითმა სამართალმა ჩაანაცვლა

**ქართველ კომიკურ „რკინის ლედის“ უკვე აშკარად დაეტყო ფქვილის საფანელი. თუ აქამდე ნინო ბურჯანაძეს მხოლოდ ბოლმა ეწერა სახეზე საჯარო გამოსვლებისას, ახლა ბოლმასთან ერთად ისეთი ტყუილებისა და სისულელეების ბუღს აყენებს გარშემო, ადამიანს მართლაც ეგონება, ცარიელ ტომარაში ჩარჩენილ ფქვილს ბერტყავსო.**

არადა, გვახსოვს, 2007 წლის 7 ნოემბრის მომდევნო დღეებში ქალბატონ ნინოს ამბიციურ-ამპარტავნულ-ამაყი გამომეტყველება, როცა მიხეილ სააკაშვილმა მას „ქართველი რკინის ლედი“ უწოდა, რადგან ბურჯანაძემ 7 ნოემბრის სასტიკი და სრულიად უკანონო დარბევა „გააპრავა“ და განაცხადა, — „დღეს ქართული სახელმწიფო შედგა“-ო.

არ იფიქროთ, ეს სტატია მხოლოდ **ნინო ბურჯანაძეს** ეძღვნებოდეს, უბრალოდ, ეს ქალბატონი დღეს ყველაზე ნათელი მაგალითია იმისა, როგორი უთავმოყვარეო და უპრინციპო შეიძლება იყოს ადამიანი და როგორ შეიძლება პირად ბოლმას ანაცვალოს იმიჯიც, ხალხის ნდობაც და ადამიანობაც.

დღევანდელ საქართველოში ასეთები, სამწუხაროდ, ბევრნი არიან და არც ის გეგონოთ, თითქოს მხოლოდ იმ ე. წ. გაერთიანებული ოპოზიციის ქოლგის ქვეშ მდგომ პოლიტიკურ ლიდერებს ვგულისხმობდე. თვითონ ხელისუფლებაშიც, „ქართული ოცნების“ რიგებშიც არა ერთი და ორია ისეთი, ვინც ზვიად გამსახურდიას პერიოდში სხვა რამეს გვიმტკიცებდა, ედუარდის პერიოდში — სხვას, მიშას დროს — სულ სხვას და ახლა, ბიძინას დროს კი, საერთოდ, სხვა ტალღაზეა გადართული. აღარაფერს ვიტყვი კომუნისტურ, საბჭოთა ეპოქაზე, რომელშიც, რომ ჰკითხოთ, თურმე ყველა კომუნისტებს ებრძოდა და ეომებოდა, ხოლო თვითონ ეს კომუნისტები ვინღა იყვნენ და სად იყვნენ, გაუგებარია.

საოცარი ის არის, რომ ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ საკმაოდ ხმამაღლა საყვედურობდნენ მთავრობას და შერჩევით სამართალში ადანაშაულებდნენ მას, ახლა თავადვე არიან დაპატიმრებულ სისხლის სამართლის დამნაშავე პოლიტიკოსთა პირველი დამცველები.

მაგალითად, იგივე **ნინო ბურჯანაძე**, რომელიც თავის დროზე რიხიანად მოითხოვდა ნაციონალების ლამის მთელი „ლიდერშიფის“ დაჭერას და, ალბათ, გაციმბირებასაც, დღეს **გიგი უგულავას** პოლიტპატიმარს უწოდებს და ციხიდან მის გამოშვებას ითხოვს.

არგუმენტები მართლაც ტრაგიკომიკურია:

**„უგულავამ შეიძლება დააშავა კიდეც, მაგრამ, როდესაც ადამიანი პოლიტიკურად აქტიურია, აკეთებს ხმამაღალ პოლიტიკურ განცხადებებს და მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, მისი დაკავება არ შეიძლება, რადგან ეს უკვე პოლიტიკური დევნის ელფერს იძენს“,** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ სხვადასხვა ტელეკომპანიის ეთერებში.

ჰოი, საოცრებავ! თურმე, რაც გინდა დააშავე, რაც გინდა მოიპარე, რაც გინდა გააფუჭე, გამოდი მერე და პოლიტიკური განცხადებები აკეთე, რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს მიეტმასნე, გახდი „ლიდერი“ და მორჩა! არავის შენი დაკავების უფლება აღარ აქვს, რადგან ეს პოლიტიკურ დევნად ჩაითვლება უკვე. აი ამაზე იტყვიან: „იგულავე, ოქრო, სხვა რა შეგრჩებაო!“

სხვათა შორის, სიტყვა „შერჩენაზე“ გამახსენდა და მართლაც სათქმელია, რომ დღეს საქართველოში არა **„შერჩე-ვ-ითი სამართალი“**, არამედ სწორედ **„შერჩე-ნ-ითი სამართალი“** არის გამეფებული.

პირდაპირ ვთქვათ: ბრალდება, თითქოს „ქართული ოცნება“ აწარმოებს შერჩევით სამართალს — ზოგს სჯის ჩადენილი დანაშაულებისთვის, ზოგს კი — არა, ფაქტობრივად, არასწორია. სინამდვილეში, **ხელისუფლების წარმომადგენლები დაკავებულნი არიან იმით, ვის როგორ და რა შეარჩინონ და რამენაირად არ მოსთხოვონ პასუხი „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერებს.**

საპირისპირო არგუმენტად შეიძლება ვინმემ **გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილის, ბაჩო ახალაიას** გასამართლება და პატიმრობა მოიყვანოს, მაგრამ, ჯერ ერთი, ის სასჯელებიც კი, რომლებიც ამ მანიაკებმა მოიხადეს ან ახლა იხიდან, ისედაც შერჩენაა იმის ფონზე, რაც და რამდენიც დააშავეს.

და მთავარი — ეს ის ხალხია, რომელიც უკვე აღარ შედიოდა **ბიძინა ივანიშვილის** ინტერესის სფეროში. ივანიშვილმა თავის დროზე ყველა მათგანს შესთავაზა „მიშას ბოროტი საქმეების მიტოვება და მასთან გადასვლა“, მაგრამ ვიცით, რომ ამაზე უარი მიიღო.

როგორც ჩანს, ამან ივანიშვილი ძალიან გააღიზიანა მაშინ, ხოლო მოგვიანებით, როდესაც უკვე მილიარდერი ხელისუფლების სათავეში მოექცა და ბობოლა ნაცებთან კოაბიტაციის პროცესი დაიწყო, **მერაბიშვილ-უგულავა-ადეიშვილ-ახალაიასთან** მოლაპარაკებები უკვე ბიძინამ აღარ ისურვა ძველი ბოლმის გამო.

არსებობს დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ მერაბიშვილისგანაც, უგულავასგანაც, ადეიშვილისგანაც და ახალაიასგანაც ივანიშვილმა მიიღო მზადყოფნის სიგნალები თანამშრომლობაზე, მაგრამ თვითონ აღარ მოისურვა მათთან საუბარი და „ჭკუა ასწავლა“ ურჩ ნაცებს. მორჩილი და მოსყიდული ნაცები კი, ხედავთ კიდეც, აქტიურად რომ არიან ჩაბმული პოლიტიკურ პროცესებში „ქართული ოცნების“ მხარეს და ხშირად აქეთაც გვმოძღვრავენ ადამიანის უფლებების დაცვაზე, ომის მიზანშეუწონლობაზე და სხვ.

ეს — რაც ხელისუფლებას შეეხება, თუმცა, უფრო მეტად გასაკვირია, რომ ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც აქამდე „ოცნებას“ ნაცების დანდობაში, მათთვის სამართლებრივად ბევრ რამეზე პასუხის არმოთხოვნასა და კოაბიტაციაში ედავებოდნენ, ახლა, ფაქტობრივად, გამოვიდნენ კოაბიტაციის დამცველნი.




**ბრალდება, თითქოს «ქართული ოცნება» აწარმოებს შერჩევით სამართალს — ზოგს სჯის ჩადენილი დანაშაულებისთვის, ზოგს კი — არა, ფაქტობრივად, არასწორია. სინამდვილეში, ხელისუფლების წარმომადგენლები დაკავებული არიან იმით, ვის, როგორ და რა შეარჩინონ და რამენაირად არ მოსთხოვონ პასუხი «ნაციონალური მოძრაობის» დამნაშავე ლიდერებს**

**გუბაზ სანიკიძე, თაკო ჩარკვიანი** და კიდევ რამდენიმე მათგანი არიან ის ლიდერები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ „ქართული ოცნების“ ძირითადი დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე კოაბიტაცია და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერთა დაუსჯელობა იყო... ახლა კი, გარდა იმისა, რომ თურმე **„მიშა სააკაშვილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც ყველაზე მაგარი პოლიტიკოსია“**, გიგი უგულავა პოლიტპატიმარია, ხოლო ვანო მერაბიშვილი — გაუტეხელი გმირი.



მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ მართლაც „აირია მონასტერი“ და, თუკი აქამდე „ქართული ოცნება“ ხელმძღვანელობდა ორმაგი სტანდარტებით, ანუ ყოფილი ნაცებიდან, ვინც მათ მიელაქუცებოდა, „სისტემის მსხვერპლი“ იყო, ხოლო, ვინც კვლავ წინააღმდეგობის რეჟიმში რჩებოდა, დამნაშავედ ცხადდებოდა, ახლა ზუსტად იმავეს აკეთებს ე.წ. ოპოზიციაც.

ოღონდ მათთვის პირიქით არის — **ნაცები, რომლებიც „ოცნებას“ მიეკედლნენ, არიან დამნაშავეები და ისინი უნდა დაისაჯონ! ხოლო ნაცები, რომლებიც ამჯერად „ივანიშვილის რეჟიმს“ ებრძვიან, კარგი ნაცები, პოლიტპატიმრები და გმირები გამოდიან!**

ნუ დავუკარგავთ და, ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც საღად აფასებს ყოველივეს, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსია“. სამართლიანობისთვის აღვნიშნავ, რომ არის კიდევ ორიოდე სხვა პარტია, რომლებიც ნაცების მიმართ ანალოგიურ პოზიციებზე დგანან, მაგრამ ეს პარტიები სერიოზული ფინანსური ან ელექტორალური რესურსით არ გამოირჩევიან.

რაც შეეხება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“, უნდა ითქვას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ჯიუტი კოაბიტაციით და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამაც“ (არ ვმიჯნავ „ევრონაცებს“ და სხვებს ჩვეულებრივი ნაცებისგან და ერთად მოვიხსენიებ) თავისი სრულიად შტერული (თუ სულაც არაშტერული) ნაბიჯებით სწორედ „პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ იმუშავეს.

ყოველივე ეს უფრო ეფექტურად გამოჩნდა იმ ფონზე, როდესაც **ნინო ბურჯანაძემ, შალვა ნათელაშვილმა, გუბაზ სანიკიძემ** და სხვებმა საბოლოოდ და შეუქცევადად პოლიტიკურად დაიმარხეს თავი და, ვითომ „ოცნებაზე“ კოაბიტაციის გამო განაწყენებულებმა, უცებ თავადვე მოითხოვეს ნაციონალების დამნაშავე ლიდერებისთვის ჩადენილი დანაშაულების შერჩენა.

ფაქტია: ნაცების შერჩევითი სამართალი ქოცების შერჩენითმა სამართალმა ჩაანაცვლა. საბოლოო ვერდიქტს კი, როგორც იტყვიან, თითქმის კარს მომდგარ საარჩევნო შემოდგომაზე მისი უდიდებულესობა ხალხი გამოიტანს.

**ნინო ბურჯანაძემ, შალვა ნათელაშვილმა, გუბაზ სანიკიძემ და სხვებმა საბოლოოდ და შეუქცევადად პოლიტიკურად დაიმარხეს თავი და, ვითომ «ოცნებაზე» კოაბიტაციის გამო განაწყენებულებმა, უცებ თავადვე მოითხოვეს ნაციონალების დამნაშავე ლიდერებისთვის ჩადენილი დანაშაულების შერჩენა**

„იუნისეფი — ეს არის ორგანიზაცია, რომელმაც 1990-იან წლებში თბილისში, ერისთავის ქუჩაზე, მრგვალ ბაღთან, დაიკავა დედაქალაქის ერთ-ერთი ელიტური ბაღის შენობა — იქიდან გამოაძევეს პედაგოგები და, პრაქტიკულად ძალით, იძულების გზით მიითვისეს ეს ნაგებობა. აი, ეს ადამიანები გვეუბნებიან დღეს, რომ ჩვენი შვილების აღზრდა ჩვენი უმთავრესი და უპირველესი უფლება კი არაა, მათი პრიორიტეტია“

SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ტერორი, სახელწოდებით იუვენალური იუსტიცია

## უამრავ მშობელს საკუთარ თავზე მოუწევს შვილის წართმევის სიმწარის გამოცდა

**რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო კილაძემ ევროპელ „პარტნიორებთან“ ხანგრძლივი აუდიენციის შემდეგ ვიზიტის შედეგებზე მედიასთან ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში ადამიანის უფლებების გაუმჯობესების კუთხით განხორციელებულ რეფორმებს „დემოკრატიული“ დასავლეთი უმაღლეს შეფასებას აძლევს. მისი თქმით, განსაკუთრებულ მოწონებას პარლამენტის მიერ შარშან მიღებული ე.წ. ბავშვის უფლებათა კოდექსი იმსახურებს, რომელიც თურმე ბოლო პერიოდში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს შორის ყველაზე პროგრესულია. იმავე კომენტარში კილაძემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა მთავარია, სახელმწიფომ ამ კოდექსის ეფექტიანად აღსრულება უზრუნველყოს, რათა უახლოეს პერიოდში მის ამოქმედებას ყველა შესაბამისი უწყება და დაწესებულება სათანადოდ მომზადებული შეხვდეს: „ჩვენი ევროპელი პარტნიორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საქართველოს პარლამენტმა „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ სახით მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი და პროგრესული დოკუმენტი. ახლა მთავარია, ევროპული გამოცდილების გაზიარებით მისი ჯეროვანი იმპლემენტაცია განვახორციელოთ და მაქსიმალურად გავეცნოთ სახელმწიფოს მხრიდან ბავშვზე ზრუნვის ევროპულ მოდელს, რათა 1 ივნისს კოდექსის ამოქმედებას ყველა შესაბამისი უწყება მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს...“**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა **კილაძის** მიერ ყველაზე პროგრესულ საკანონმდებლო ცვლილებად შეფასებული „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გასული წლის 20 სექტემბერს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ მიიღო. მაშინ ამ ცვლილებას საკანონმდებლო ორგანოსთან ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები და დაპირისპირებაც მოჰყვა, თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოს „მეოცნებე“ ხელისუფლება აღებულ კურსს მაინც განუხრელად განაგრძობს და ევროკავშირთან ასოცირებით ნაკისრი რიგი ვალდებულებების კვალდაკვალ ახლა უკვე სისრულეში მისი (კოდექსის) ეფექტიანად მოყვანის რეპრესიულ მექანიზმებზე მუშაობს.

**რას ნიშნავს ამ კოდექსის „ეფექტიანი“ აღსრულება და რას შეიძლება გულისხმობდეს ქალბატონი კილაძე „ყველა შესაბამისი უწყების მაქსიმალურ მომზადებაში“, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ამასწინათ საფრანგეთში ვიზიტით მყოფმა სოფიო კილაძემ მედიასთან განაცხადა, რომ „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებაა, რომელსაც ყველა აღიარებს. მისი თქმით, ახლა მთავარია, მისი ეფექტიანად აღსრულება და 1 ივნისს, როცა ეს კანონი ოფიციალურად ამოქმედდება, ყველა შესაბამისი უწყება მაქსიმალურად მომზადებული იყოს... რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რა მექანიზმები შეიძლება მათ შეიმუშაონ „კანონის ეფექტიანი აღსრულებისთვის?“**

— ამ „კანონის“ წინააღმდეგ პროტესტი და მღელვარება საზოგადოებაში მას შემდეგ დაიწყო, რაც ჩვენმა ჯგუფმა და არა მხოლოდ ჩვენმა, ამხილა კანონპროექტის ავტორები. ეს ეხებოდა იმ შინაარსს ცვლილებისა, რომელიც დაკავშირებულია იუვენალურ იუსტიციასთან. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში დღემდე არ არსებობს ალტერნატიული საინფორმაციო ველი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოების დეტალური ინფორმირება, სამწუხაროდ, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე არ აქვს ბოლომდე გაცნობიერებული, ამ „კანონის“ სახით რასთან გვაქვს საქმე.

ახლა რაც შეეხება მის **„ეფექტიან იმპლემენტაციას“**, რომელიც, ქალბატონ კილაძის განმარტებით, თურმე ერთგვარი ტესტია მშვენიერი ქართული დემოკრატიისთვის. ნამდვილად არ მინდა, ზედმეტად გავაბუქო ეს თემა და გადავაჭარბო შეფასებებში, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის დაუფარავი მცდელობა, მოხდეს ბავშვის სეპარაცია ოჯახისგან და ამით პრაქტიკულად განხორციელდეს ერთგვარი დიფერენცირება, დაყოფა-დახარისხება მშობლებისა კატეგორიებად. მარტივად რომ ვთქვათ, იქნებიან „ურჩი მშობლები“, რომლებიც, ვთქვათ, შემჩნეულნი არიან შვილებისთვის მკაცრი შენიშვნების მიცემაში, მაგალითად, ჩაცმულობის გამო ან მავნე ჩვევებისთვის; და იქნებიან მშობლები, რომლებიც, უბრალოდ, ზედმიწევნით დაიცავენ ამ ე.წ. კოდექსის მოთხოვნებს. **აი, იმ „ურჩი მშობლების“ მიმართ გატარდება უმკაცრესი საკანონმდებლო ღონისძიებები და ქალბატონი კილაძე ამას გულისხმობს ზუსტად, როცა კანონის ეფექტიანობაზე საუბრისას ხაზს უსვამს „ყველა შესაბამისი უწყების მაქსიმალურ მზადყოფნას“ 1 ივნისისთვის...**

**— იქნებ დააკონკრეტოთ, რა შეიცვლება 1 ივნისიდან, როცა ეს კანონი ამოქმედდება? გინდათ, თქვათ, რომ თითოეული ოჯახი, თითოეული მშობელი საკუთარ თავზე იგრძნობს „კოდექსის“ სიმკაცრეს?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე მოიმატებს შვილისადმი „სიმკაცრის“ გამო სამართლებრივ პასუხისმგებლობადაკისრებული მშობლების რაოდენობა. იმიტომ, რომ ამ „კანონით“ სიმკაცრედ შეიძლება შეფასებული იყოს ელემენტარული შენიშვნაც კი ან რამის დაშლა ბავშვისთვის...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, ჩაცმულობაზე შენიშვნის მიცემა ან რამე მავნე ჩვევის, ვთქვათ, თამბაქოს მოხმარების აკრძალვა. ახლა ზოგს ამაზე შეიძლება გაეცინოს და გაუჭირდეს დაჯერება, მაგრამ, ვისაც ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს ამ ყველაფრისადმი, მინდა, შევახსენო გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ კოდექსის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნებული ანგარიშის შინაარსი. იუნისეფმა 2018 წლის დეკემბერში ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ საქართველოში მშობლების უმრავლესობა აღზრდის ავტორიტარულ სტილს მიმართავს. არ გაინტერესებთ, ეს ავტორიტარული სტილი რას გულისხმობს?

**— რას?**

— **ანგარიშში პირდაპირ წერია, რომ თურმე ბავშვები მოზარდობის ასაკში მიდრეკილნი არიან უცნაური ქცევებისადმი, მათ შორის მავნე ჩვევებისადმი, როგორიცაა ალკოჰოლის, ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის, თამბაქოს მოხმარება და მშობელი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს. ანუ, პრაქტიკულად საუბარია იმაზე, რომ, თუ ხედავ, შვილი გეღუპება და ხელიდან გეცლება, შენ ხმა არ უნდა ამოიღო. ამოიღებ და მოძალადე ხარ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, თურმე, მოზარდებს სექსუალური თავისუფლება უნდა ჰქონდეთ და ტიპური ქართველი მშობელი ამ მხრივაც ზედმეტად მკაცრი ყოფილა, განსაკუთრებით გოგონების მიმართ...**

რაც შეეხება კოდექსის ეფექტიან იმპლემენტაციას, სამწუხაროდ, **დღეს ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, გასაგები მიზეზების გამო, საერთოდ არ არის ინფორმირებული ამ „კანონის“ რეპრესიულ მექანიზმებზე.** არადა, თვით საკანონმდებლო ცვლილების მთავარი ორიენტირი არის ადამიანების იძულება, ანუ **მასობრივი შიშისა და ტერორის ფონზე მათი ნების საწინააღმდეგოდ გარკვეული იდეოლოგიური დღის წესრიგის დამყარება.** ეს, პრაქტიკულად, დეკლარირებულია მათ მიერ და ამ ყველაფრის უკან დგას იუნისეფი. სხვათა შორის, ამ იუნისეფზე შეიძლება ბევრმა არ იცის და მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას, რომ **იუნისეფი — ეს არის ორგანიზაცია, რომელმაც 1990-იან წლებში თბილისში, ერისთავის ქუჩაზე, მრგვალ ბაღთან, დაიკავა დედაქალაქის ერთ-ერთი ელიტური ბაღის შენობა — იქიდან გამოაძევეს პედაგოგები და, პრაქტიკულად ძალით, იძულების გზით მიითვისა ეს ნაგებობა. აი, ეს ადამიანები გვეუბნებიან დღეს, რომ ჩვენი შვილების აღზრდა ჩვენი უმთავრესი და უპირველესი უფლება კი არაა, მათი პრიორიტეტია.** ვფიქრობ, რომ ეს არის შორს მიმავალი კონკრეტული გეგმა, რომელიც უახლოეს პერიოდში დაგვაყენებს სავალალო რეალობის წინაშე. მხედველობაში მაქვს ის, რომ **მასობრივი ტერორი, სახელწოდებით იუვენალური იუსტიცია, შეაბიჯებს ყველა ოჯახში და უამრავ მშობელს საკუთარ თავზე მოუწევს შვილის წართმევის სიმწარის გამოცდა.**

**— დასავლეთში „სოციალური მუშაკების“ მიერ ოჯახებისთვის წართმეული ბავშვები ხშირად ერთი და იმავე სქესის პირების ოჯახებზე შვილდება. ჩვენს შემთხვევაში შესაძლებელია ეს?**

— **ის, რომ ხელისუფლების ერთმნიშვნელოვანი, დეკლარირებული პოლიტიკაა ევროპასთან სრული იდეოლოგიურ-პოლიტიკური ინტეგრაცია, ხოლო, თავის მხრივ, ევროპა ამის სანაცვლოდ ფუნდამენტური ცვლილებების პირობას გიყენებს, მათ შორის ჩვენს ეთნო-კულტურულ იდენტობასთან აბსოლუტურად შეუსაბამოსაც, უკვე ყველაფერს ცხადყოფს.** ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ იქით, რომ სულ მალე აქაც დაკანონდება ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება. ეს შეიძლება მოსალოდნელზე მალე მოხდეს და, მერწმუნეთ, უამრავ ბავშვს, რომლებსაც არსებულ ლიბერალურ დიქტატურასთან კონფლიქტში მყოფ ოჯახებს წაართმევენ, სწორედ მათ მიაშვილებენ. სხვათა შორის, **ბოლო წლებში უკვე უმაღლეს სასწავლებლებში ღიად დაიწყეს „ლიბერალური“ პროპაგანდა და სტუდენტებში იმ აზრის დამკვიდრება, რომ თურმე ადამიანის მიერ ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი კონსერვატიულობა სიბნელეა და სირცხვილია.** კონკრეტული ფაქტიც შემიძლია გითხრათ. მაგალითად, ჩემმა შვილმა, **გიორგი ლორთქიფანიძემ უარი თქვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე იმის გამო, რომ მისი ერთ-ერთი ლექტორი, გიორგი მელაძე, ლექციებზე ლანძღავდა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა კათოლიკოს-პატრიარქს.** და ეს შემთხვევა არ არის გამონაკლისი. ასეთი ფაქტები ხდება ყოველდღე. კიდევ ვიმეორებ: მიდის ახალგაზრდების მასობრივი დამუშავება ფსიქოლოგიურად, რათა უახლოეს მომავალში, როცა დღის წესრიგში დადგება დასავლეთიდან ნაკარნახევი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საკითხი, საზოგადოების ყველაზე მძლავრი, ყველაზე აქტიური ნაწილისგან, სტუდენტებისგან, აღარ იყოს წინააღმდეგობა.

**— როგორ ფიქრობთ, მიაღწევენ ამ მიზანს?**

— ამ ეტაპზე ერთ რამეს ვხედავ: ეს ყველაფერი არის მიჩუმათებული ან გადაფარული სხვა რამით და ყველაფერი კეთდება უხმაუროდ. ზუსტად ასეა „ბავშვის უფლებათა“ კოდექსიც და არა მხოლოდ. სხვათა შორის, **საზოგადოებას ძალიან ეშმაკურად მიავიწყეს დავითგარეჯის თემაც. არადა, უკვე კულუარებიდან მოდის ინფორმაცია, რომ იქ რაღაც პროცესები მიდის...** მაგრამ ეს მზაკვრულად მიჩქმალულ-მიჩუმათებული პროცესები ადრე თუ გვიან მაინც აფეთქდება. განსაკუთრებით ეს ეხება დავითგარეჯას და მერწმუნეთ, მალე სწორედ დავითგარეჯის საკითხი იქნება უმთავრესი მოვლენა, რომელიც გადაფარავს ქვეყანაში ბინძურ პოლიტიკურ თამაშებს. ყოველ შემთხვევაში, მჯერა, რომ საზოგადოება რაღაც ეტაპზე გამოვა პასიურობის რეჟიმიდან და ამით სამოქალაქო აქტიურობის სხვა ეტაპი დაიწყება. კიდევ ვიმეორებ: დავითგარეჯა იქნება ქართული ფუკუსიმა, რომელიც წალეკავს პოლიტიკურ სისტემას და ამ ისტორიულ ღალატში მონაწილე ყველა დამნაშავეს სათანადო ადგილს მიუჩენს.

> **«ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ იქით, რომ სულ მალე აქაც დაკანონდება ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება. ეს შეიძლება მოსალოდნელზე მალე მოხდეს და მერწმუნეთ, უამრავ ბავშვს, რომლებსაც არსებულ ლიბერალურ დიქტატურასთან კონფლიქტში მყოფ ოჯახებს წაართმევენ, სწორედ მათ მიაშვილებენ»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

იდეოლოგია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის, რომ ამ გარყვნილი და დამანგრეველი ტოტალიტარული იდეოლოგიას ემიჯნება პრეზიდენტი პუტინი, ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთისთვის და სრულიად მსოფლიოსთვისაც. შესაძლოა, ამ სიგიჟის ტალღა მალე მინავლდეს დასავლეთში ან შეიძლება, არა და დასავლეთი, როგორც ვიცოდით, დასრულდება, მაგრამ რუსეთში და, იმედია, საქართველოშიც, საღ აზრს შევინარჩუნებთ.**

# რატომ გვახვევს თავს დასავლეთი ლგბტ იდეოლოგიას



**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ცოტა ხნის წინათ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მომხრეა ქორწინების ტრადიციული გაგების: „ქორწინება — ეს არის ქალისა და მამაკაცის კავშირი... რაც შეეხება „მშობელი №1“-სა და „მშობელი №2“-ს, უკვე ვთქვი საჯაროდ, რომ, სანამ მე ვარ პრეზიდენტი, ჩვენთან არ იქნება „მშობელი №1“ და „მშობელი №2“, ჩვენთან იქნება დედა და მამა“.**

პუტინის ამ განცხადებამ, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია მსოფლიოში. ლიბერალური მედია რუსეთის პრეზიდენტს გამოეხმაურა დაახლოებით ასეთი კომენტარებით: „პუტინმა ხაზი გაუსვა სიმტკიცეს თავისი გადაწყვეტილებისა, რომ არ მისცეს ქორწინების უფლება რუსების ნაწილს“. კონსერვატიულად განწყობილმა პოლიტიკოსებმა კი პირიქით — მოიწონეს.

**რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის ადგილს ერთ-ერთ მხარეს მსოფლმხედველობის ფრონტზე, რომელმაც გაყო მსოფლიო, განსაკუთრებით — დასავლეთი. როგორც წერს, მაგალითად, პორტალი NBCNEWS.COM-ი, „ხელისუფლების სათავეში 2 ათეული წლის განმავლობაში პუტინი მართლმადიდებელი ეკლესიის მოკავშირედ იქცა და ცდილობს, დააშოროს რუსეთი იმ დასავლურ ლიბერალურ ფასეულობებს, რომლებიც გულისხმობს ჰომოსექსუალიზმისა და გენდერული ცვლილებისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებას“. ამასთანავე, თვით დასავლეთში ბევრი ადამიანი დასავლური იდენტობის საფუძვლად სქესობრივ გარყვნილებას კი არა, ქრისტიანულ რწმენას მიიჩნევს. სწორედ მათთვის არის პუტინის სიტყვები გამამხნევებლი.**

ჩვენ კი ეს კონფლიქტი ფართო კონტექსტში განვიხილოთ.

**რატომ არის ასე მნიშვნელოვანი გლობალისტური ელიტებისთვის მათ მიერ წამოწყებული სექსუალური რეფორმების გატარება სრულიად მსოფლიოში?** — რამდენიმე მიზეზის გამო, მაგრამ ჩვენ ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ **ლგბტ იდეოლოგია — ეს არ არის იდეოლოგია სექსისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ეს არის გარკვეული იდეოლოგიური ჯგუფის იდეოლოგია ძალაუფლების შესახებ, მსოფლიო მასშტაბით გადაწყვიტოს, რა უნდა სწამდეს ყველა დანარჩენს. ამასთანავე, ამ ჯგუფის წევრების უმრავლესობა სულაც არ არის ჰომოსექსუალი.** აქ ინსტრუმენტის როლს თამაშობენ ღარიბი ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან სქესობრივი ლტოლვის მოშლა-დარღვევითა და იდენტიფიკაციით.

ეს თავიდანვე უნდა ვთქვათ: **გლობალისტური ელიტები (მაგალითად, აშშ-ის დემოკრატიული პარტია, თუმცა არა მხოლოდ ის) ლგბტ დღის წესრიგის წინა პლანზე წამოწევით არიან დაკავებული არა იმიტომ, რომ ისინი გულწრფელად ზრუნავენ გადახრების მქონე ადამიანებზე, ისინი, უბრალოდ, იყენებენ გარკვეულ ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ მექანიზმს ძალაუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. შევეცადოთ, გავერკვეთ, როგორ მუშაობს ეს მექანიზმი.**



წარმოიდგინეთ, რომ წარმატებული კარიერის გასაკეთებლად საჭიროა, საჯაროდ დაეთანხმდეთ აშკარად ყალბ და შეურაცხმყოფელ უაზრობას.

მაგალითად, თქვენ **ვალდებული ხართ, აღიაროთ, რომ მთვარე შექმნილია მწვანე ყველისგან.**

და, თუ შეეცდებით, არ დაეთანხმოთ, მაშინ თქვენ ხართ ძალიან, ძალიან ცუდი ადამიანი, რომლის ადგილიც არ არის წარმატებულ კამპანიაში და, საერთოდ, ცივილიზებულ საზოგადოებაში.

**ლგბტ იდეოლოგია — ეს არ არის იდეოლოგია სექსისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ეს არის გარკვეული ჯგუფის იდეოლოგია ძალაუფლების შესახებ, მსოფლიო მასშტაბით გადაწყვიტოს, რა უნდა სწამდეს ყველა დანარჩენს. ამასთანავე, ამ ჯგუფის წევრების უმრავლესობა სულაც არ არის ჰომოსექსუალი**

თქვენ (ისევე, როგორც ადამიანების უმრავლესობა), ალბათ, ხელს ჩაიქნევთ და დათანხმდებით — რა გაეწყობა, დაე, იყოს მთვარე მწვანე ყველისგან შექმნილი, თუკი ასეა საჭირო საქმისთვის. ამასთანავე, თქვენ დიდხანს ვერ იცხოვრებთ შინაგანი კონფლიქტის პირობებში: **„მე ამას სრულ სისულელედ მივიჩნევ, მაგრამ ადამიანებთან ყოფნისას ისეთ სახეს ვიღებ, თითქოს მჯერა“.**

ადამიანის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ ვიწყებთ გულწრფელად მიღებას იმ თვალსაზრისისა, რომელიც უნდა წარმოვაჩინოთ ხალხში. **რაღაც დროის შემდეგ თქვენ გულწრფელად აღშფოთდებით სასკოლო ასტრონომიის იმ ბნელ ფანატიკოსებზე, რომლებიც უარყოფენ ყველისგან მთვარის შექმნის ჭეშმარიტებას,** მიღებულს ცივილიზებულ სამყაროში.



„ტვინების გამორეცხვის“, ე.ი. „ხელახალი აღზრდის ტექნიკა“ ეყრდნობა იმას, რომ ადამიანი მიდრეკილია, ძალისმიერი თანხმობიდან გადავიდეს გულწრფელ ენთუზიაზმზე.

რისთვის არის საჭირო თქვენი იძულება ასეთი რწმენისადმი? იმისთვის, რომ მისი მიღებითა და მით უმეტეს დაჯერებით თქვენ უხმოდ აღიაროთ ყველის მთვარის კულტის ადეპტების უფლება, გაერკვნენ თქვენი ტვინის შიგთავსში. როცა მოვა შემდეგი განკარგულება (და ის აუცილებლად მოვა, თანაც არაერთი), თქვენ მზად იქნებით მის შესასრულებლად.

**მსგავს ფსიქოლოგიურ მანიპულაციას ოპონენტების დემონიზაცია სჭირდება. ძნელია ყველას გამოცხადება ბოროტ ადამიანად, ვისაც არ სჯერა, რომ მთვარე მწვანე ყველისგან არის შექმნილი. აი მათი შერაცხვა ბოროტად კი, ვისაც არ სურს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის კავშირის აღიარება, იოლია. ისინი ჰგვანან ნაცისტებს, რომლებიც დევნიდნენ ჰომოსექსუალებს, რასისტებს, რომლებიც გამოდიოდნენ შერეული ქორწინებების წინააღმდეგ და, რა თქმა უნდა, თანამედროვე ეპოქაში ჩადენილი ყველა დანაშაული „სექსუალური უმცირესობების“ წინააღმდეგ მათ სინდისზეა. შენ ხომ არ გსურს, ჩაგწერონ ასეთი უკეთურების სიაში? მაშინ მიიღე და დათანხმდი იმას, რასაც გეუბნებიან**

ამ მექანიზმმა შეიძლება იმუშაოს, რაზეც გნებავთ — კომუნიზმის უკვდავ იდეებზე, თავმჯდომარე მაოს ციტატებზე, მწვანე ყველზე, მაგრამ ლგბტ იდეოლოგია აქ განსაკუთრებით კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს.

**პირველ რიგში**, თანხმობა ფსიქოლოგიურად არ უნდა იყოს ძალიან იოლი. **ადამიანების უმრავლესობა სტიქიურ ზიზღს განიცდის ერთი და იმავე სქესის პირთა შორის კონტაქტებზე და კონჩიტა ვურსტი მათში სასიხარულო ოცნებებს არ იწვევს.**

საკუთარი აღფრთოვანებისა და მოწონების გამოხატვის დაწყება ნიშნავს, გავლას გარკვეული შიგა ტეხილისა, რომელიც უზრუნველყოფს ადეპტის სამომავლო მომხრეობას. **მტკივნეულია აღქმა იმისა, რომ: „დავთანხმდი, მერწმუნა საზიზღარი სისულელე სოციალური წნეხის ქვეშ“, ამიტომ ადამიანი საკუთარ თავს დაარწმუნებს სხვა რამეში: „მე ვარ ბედნიერი და ამაყი, დავიცვა სიკეთე და ადამიანურობა ბოროტი ჰომოფობებისგან“.**

მეორე — მსგავს ფსიქოლოგიურ მანიპულაციას ოპონენტების დემონიზაცია სჭირდება. ძნელია ყველას გამოცხადება ბოროტ ადამიანად, რომელთაც არ სჯერათ, რომ მთვარე მწვანე ყველისგან არის შექმნილი. აი მათი შერაცხვა ბოროტად კი, ვისაც არ სურს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის კავშირის აღიარება, იოლია. ისინი ჰგვანან ნაცისტებს, რომლებიც სდევნიდნენ ჰომოსექსუალებს, რასისტებს, რომლებიც გამოდიოდნენ შერეული ქორწინებების წინააღმდეგ და, რა თქმა უნდა, თანამედროვე ეპოქაში ჩადენილი ყველა დანაშაული „სექსუალური უმცირესობების“ წინააღმდეგ მათ სინდისზეა. შენ ხომ არ გსურს, ჩაგწერონ ასეთი უკეთურების სიაში? მაშინ მიიღე და დათანხმდი იმას, რასაც გეუბნებიან.

**მესამე** — ადამიანები ახალ ავტორიტეტებს რომ დაუმორჩილონ, ფასეულობებისა და რწმუნებულებების ძველი სისტემა უნდა დაინგრეს. სანამ ადამიანები ინარჩუნებენ თავიანთი რელიგიებისადმი ან ეროვნული კულტურებისადმი ერთგულებას, მათი ლოიალურობა ნებისმიერი გლობალური პროექტის (მათ შორის, ლიბერალიზმის) მიმართ საეჭვოა; ამასთანავე, ყველა ტრადიციული კულტურები და რელიგიები სქესობრივი გარყვნილების წინააღმდეგ გამოდიან; ლგბტ იდეოლოგიის მიღება ნიშნავს, გაწყვიტო მათთან კავშირი. აშშ-ის 47-ე ვიცეპრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** თქვა: „მე არ მაინტერესებს, როგორი კულტურა გაქვთ თქვენ. არაადამიანურობა რჩება არაადამიანურობად, ცრურწმენა — ცრურწმენად“. ადამიანმა თავისი რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობა „არაადამიანურ ცრურწმენად“ უნდა აღიაროს, მაშინ ის იოლად შეძლებს ახალი გლობალური მოძღვრებისა და მასწავლებლების მიღებას.

**მეოთხე** — ლგბტ იდეოლოგია შესაძლებლობას იძლევა, საკმაოდ ადვილად ასწიოს სიგიჟის გრადუსი და ადამიანების ფსიქოლოგიური დამორჩილების ხარისხი. ეს კარგად ჩანს ზემოაღნიშნ- ▶

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის 47-ე ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თქვა: „არ მაინტერესებს, როგორი კულტურა გაქვთ თქვენ. არაადამიანურობა რჩება არაადამიანურობად, ცრურწმენა — ცრურწმენად“. ადამიანმა თავისი რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობა „არაადამიანურ ცრურწმენად“ უნდა აღიაროს და მაშინ ის იოლად შეძლებს ახალი გლობალური მოძღვრებისა და მასწავლებლების მიღებას.**

◀ ული აბრევიატურის ბოლო ასო „ტ“-დან — ტრანსგენდერიდან.

ამჟამად იმისთვის, რომ იყო კეთილი ლიბერალი, უნდა გჯეროდეს არა მხოლოდ „ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების“, არამედ სხვა რაღაცებისაც. მაგალითად, იმის, რომ ადამიანების ნაწილი იბადება „სხვა სქესის ტვინით“ — ბიჭის სხეულში შეიძლება იყოს გოგოს ტვინი და პირიქით. ეს არის მხოლოდ რწმენა, ისევე, როგორც მწვანე ყველისგან შექმნილი მთვარე. ყველა კვლევის მიხედვით, ის იქნება ფიზიკურად ჯანმრთელი ბიჭი, ოღონდ ქალის სახელით, შემდეგ ის უნდა კვებონ ჰორმონებით, რომლებიც თრგუნავს სქესობრივ მომწიფებას, ბოლოს კი მას მოჰკვეთენ გენიტალიებს „სქესის შეცვლის ოპერაციის“ შედეგად.

მკითხველმა, რომელიც არ ეცნობა ინგლისურენოვან ახალ ამბებს, ეს ყველაფერი შეიძლება პირქუშ ფანტაზიად ჩათვალოს, მაგრამ ეს რეალური შემთხვევებია, რომლებიც რეალურ ადამიანებს გადახდათ თავს. აქ იდეოლოგიური რწმენა არა მხოლოდ აშკარა სიცრუეა, არამედ აშკარად დამანგრეველიც — ბავშვი, რომელიც თავისი სხეულით სხვა იდეოლოგიურ გარემოში მშვიდად გაიზრდებოდა, დაქორწინდებოდა და ეყოლებოდა შვილები, ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად დამახინჯებულია.

შედეგის სიმძიმე უზრუნველყოფს ადეპტების ერთგულებას. თუ ადამიანმა უფლება მისცა, თავისი შვილისთვის მოეკვეთათ გენიტალიები, მისთვის აუტანელი იქნება იმის აღიარება, რომ ეს მან უმძიმესი შეცდომის შედეგად გააკეთა. თუკი ადამიანი ამ ამბავში ისე მონაწილეობდა, როგორც ექიმი, მაინც ვერ იგრძნობს შვებას. **ადამიანს ამ იდეოლოგიაზე უარის თქმა უფრო იოლად იმ შემთხვევაში შეუძლია, როცა მას ამ იდეოლოგიის გავლენით ჯერ კიდევ არ ჩაუდენია რაღაც განსაკუთრებით საშინელი, მაგრამ, როცა იდეოლოგიაზე უარის თქმა იქნება აღიარება იმისა, რომ შენ იყავი არა უბრალოდ სულელი, არამედ დამნაშავეც, ადამიანების უმრავლესობა უფრო თავს მოიკლავს, ვიდრე ამას გააკეთებს. ასე მუშაობს ადამიანის ფსიქოლოგია და ამის შესახებ კარგად იციან მანიპულატორებმა.**

**მეხუთე** — ეს იდეოლოგია ითვალისწინებს ლიბერალური ელიტისთვის აბსოლუტური ძალაუფლების გადაცემას, ძალაუფლებას, გადახედოს ადამიანის ბუნების ფუნდამენტურ რეალიებს. თავდაპირველად ლაპარაკი იყო **ქორწინებაზე** — ინსტიტუტზე, რომელიც ერთნაირია სხვადასხვა ხალხში, რომლებიც აღიარებენ სხვადასხვა რელიგიას და ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ წყობილებაში. **მამაკაცი და ქალი ერთად ცხოვრობდნენ, აჩენდნენ ბავშვებს, სახელმწიფოები არ განსაზღვრავდნენ ამ რეალობას. სახელმწიფოები ამ რეალობას ღმერთის მიერ შექმნილად აღიარებდნენ. მხოლოდ ცოტა ხნის წინათ მიითვისა ზოგიერთმა მთავრობამ იმის გადახედვის უფლება, რაც ადრე საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ ეს არ შედიოდა სახელმწიფოს უფლებამოსილებაში. ამაზე იდეოლოგია არ შეჩერებულა — მან მიითვისა უფლება, შეცვალოს ისეთი რეალობა, როგორიც არის სქესი.** სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არსებობს რაღაც-რაღაცები, რომელთა შეცვლაც არ შეიძლება. ერთი და იმავე სქესის ორი პირისგან შეუძლებელია შედგეს ქორწინება. მამაკაცს ვერ გადააკეთებ ქალად და პირიქით. მაგრამ შეიძლება, აიძულო ადამიანები, იცხოვრონ საშინელ ტყუილში, რომელიც უარყოფს შექმნის საფუძვლებს.

და **ის, რომ ამ გარყვნილ და დამანგრეველ ტოტალიტარულ იდეოლოგიას ემიჯნება პრეზიდენტი პუტინი, ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთისთვის და სრულიად მსოფლიოსთვისაც. შესაძლოა, ამ სიგიჟის ტალღა მალე მინავლდეს თვით დასავლეთში ან შეიძლება — არა, და დასავლეთი, როგორიც ვიცოდით, დასრულდება, მაგრამ რუსეთში და, იმედია, საქართველოშიც, საღ აზრს შევინარჩუნებთ.**

**VZ.RU-ზე გამოქვეყნებული სერგეი ხუდიევის მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ადამიანები ახალ ავტორიტეტებს რომ დაუმორჩილონ, ფასეულობებისა და რწმუნებულებების ძველი სისტემა უნდა დაინგრეს. სანამ ადამიანები ინარჩუნებენ თავიანთი რელიგიებისადმი ან ეროვნული კულტურებისადმი ერთგულებას, მათი ლოიალურობა ნებისმიერი გლობალური პროექტის (მათ შორის, ლიბერალიზმისა მიმართ საეჭვოა; ამასთანავე, ყველა ტრადიციული კულტურები და რელიგიები სქესობრივი გარყვნილების წინააღმდეგ გამოდიან; ლგბტ იდეოლოგიის მიღება ნიშნავს, გაწყვიტო მათთან კავშირი**



**მამაკაცი და ქალი ერთად ცხოვრობდნენ, აჩენდნენ ბავშვებს სახელმწიფოები არ განსაზღვრავდნენ ამ რეალობას. სახელმწიფოები ამ რეალობას ღმერთის მიერ შექმნილად აღიარებდნენ. მხოლოდ ცოტა ხნის წინათ მიითვისა ზოგიერთმა მთავრობამ იმის გადახედვის უფლება, რაც ადრე საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ ეს არ შედიოდა სახელმწიფოს უფლებამოსილებაში. ამაზე იდეოლოგია არ შეჩერებულა — მან მიითვისა უფლება, გადაწეროს ისეთი რეალობა, როგორიც არის სქესი**

# როგორ ექცერნენ ქართველი ჟურნალისტები რუსეთის დელეგაციას



## «გავლა შეუძლებელი იყო, მინისტრთან მიღწევის მცდელობისას ყვიროდნენ, ხელს გკრავდნენ, გეჯახებოდნენ»

**„ღირსებადაკარგული“ ქართველი ჟურნალისტები ეძგერნენ რუსეთის დელეგაციას გაეროს ჟენევის განყოფილებაში კითხვით — ჩავა თუ არა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თბილისში?“ — დაწერა სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ.**





„გავლა შეუძლებელი იყო, მინისტრთან მიღწევის მცდელობისას ყვიროდნენ, ხელს გიბიძგებდნენ, გეჯახებოდნენ.

იმისთვის, რომ წინ წავსულიყავით, ღირსებადაკარგული ქალების განზე გაწევა მოგვიწია. და იცით, რისი გაგება სურდათ? ვერ დაიჯერებთ! ერთადერთ კითხვაზე პასუხის გაცემა: ჩავა თუ არა ლავროვი თბილისში? ეს უკვე გონების დაბინდვაა, როცა თავს ასეთ მდგომარეობაში იყენებ უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ჩასვლაზე ან არჩასვლაზე. საცოდავი სანახაობა იყო“, — დაწერა ზახაროვამ.

რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მის კოლეგას ხელი შეუშალეს გადაადგილებისას. მინისტრი კი ჟურნალისტების შეტევისას არ დაზარალებულა.

ზახაროვამ თავის წერილს დაურთო ფოტო, რომელზეც ჩანს ნაკაწრები მის სხეულზე.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიტყვით გამოვიდა განიარაღების კონფერენციაზე და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სესიაზე ჟენევაში.

**შეგახსენებთ:** თბილისში 14-15 მაისს უნდა გამართულიყო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თათბირი. ასეთ ღონისძიებაზე რუსეთის დელეგაციას ტრადიციულად ლავროვი ხელმძღვანელობს.

როგორც რამდენიმე დღის წინათ გაირკვა, აღნიშნული თათბირი თბილისში აღარ გაიმართება.

**Vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**«ღირსებადაკარგული ქალების განზე გაწევა მოგვიწია. და იცით, რისი გაგება სურდათ? ვერ დაიჯერებთ! ერთადერთ კითხვაზე პასუხის გაცემა: ჩავა თუ არა ლავროვი თბილისში? ეს უკვე გონების დაბინდვაა, როცა თავს ასეთ მდგომარეობაში იყენებ უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ჩასვლაზე ან არჩასვლაზე. საცოდავი სანახაობა იყო»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინმა ჯადოსნური სვლები და წინასწარმეტყველური ნაბიჯები გადადგა. სხვადასხვა არხითა და საშუალებით დაადგინა, რომ იაპონია ვერ რისკავდა მეორე ფრონტის გახსნას აღმოსავლეთით. სტალინმა ბრძანება გასცა, მოსკოვის ავანსცენაზე გამოეყვანა გამობრძმედილი და გაკაჟებული ციმბირელები და ყაზახები. არანაირ ნიჭსა და კალამს არ ძალუძს აღწერა იმ უზარმაზარი ნდობისა და ბრძოლისა, რომელიც ცეცხლმოკიდებულ მოსკოვში სტალინის ყოფნამ და მის მიერ მოხმობილმა დამხმარე ძალებმა შეძლეს.**

# სტალინი და მოსკოვის დაცვა

**დროის ატორტმანებული ოკეანის ტალღებმა არათუ დედაქალაქები, თვით უზარმაზარი იმპერიებიც კი შთანთქა. გულანთებული ადამიანების ყველა გზა რომისკენ მიემართებოდა აღსადგენად, სადაც ნანგრევებად იყო ქცეული კოლიზიუმი...**

თანდათან წარსულს ბარდებოდა ჰეროიკა და ლეგენდები, მის ადგილს ცხოველმყოფელი სინამდვილე იკავებდა. რეალობიდან გამომდინარე, გზების მიმართულებაც იცვლებოდა და მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან რომზე მორგებული ფრთიანი ფრაზა რეალური გამოთქმით შეიცვალა: „ყველა გზა მოსკოვში მიდის!“

მოსკოვი — სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის მზის ქალაქი;

მოსკოვი — მსოფლიოს ჩაგრული ხალხების მფარველი და პატრონი;

მოსკოვი — ევროპისა და მსოფლიოს მომავალი ცივილიზაციის ცენტრი;

მოსკოვი — მართლმადიდებლური სამართლიანობისა და სახარების 10 მცნების ცხოვრებაში რეალურად დამკვიდრებისთვის საფუძვლის ჩამყრელი და მშრომელი ადამიანებისთვის ფორმითა და შინაარსით ახალი ქვეყნის მშენებელი;

მოსკოვი — მიწიერი ღმერთის ადგილსამყოფელი;

მოსკოვი — ვის არ აღუმართავს მასზე მტარვალი ხელი;

მოსკოვი — მის უძველეს საძირკვლებში რამდენი ჩარჩენილი თუ ახალთავშეფარებული გველი არ სისინებდა ქვეყნისა და რუსი ხალხის წინააღმდეგ;

მოსკოვი — რომელიც არასოდეს დაინგრევა, აშენებით კი აშენდება და კვლავაც დადგება დრო შენებისა.

მოსკოვისკენ მიემართებოდა ინვალიდის ეტლში ჩამჯდარი აშშ-ის პრეზიდენტი **ფრანკლინ რუზველტი** თუ პირში სიგარაგაყრილი მსოფლიო პოლიტიკის პატრიარქი **უინსტონ ჩერჩილი**, ჩინეთის პირველი პირი **მაო-ძედუნი,** სტალინის მიღების თვეობით მომლოდინე ინდოეთის პრეზიდენტი **ჯავაჰარლალ ნერუ,** საფრანგეთის სიამაყე **შარლ დე გოლი** თუ მსოფლიო დრამატურგიისა და ლიტერატურის მშვენება **ბერნარდ შოუ**, გერმანელი **ლიონ ფოიხტვანგერი** და მსოფლიოს ცნობილი სხვა მოღვაწეები.

რამდენიმე მცდელობის შემდეგ დარწმუნდნენ ნობელის პრემიის მიმნიჭებელნი, რომ სტალინს ბრჭყვიალა სათამაშოთი ვერ მოხიბლავდნენ და პრემიის მინიჭების მცდელობას თავი დაანებეს, რომლის მიღებითაც ესოდენ ამაყობდა ინგლისის ლორდი, სტალინის „მეგობარი“ უინსტონ ჩერჩილი.

აი ასეთი ქართველი გვყავდა, რომელიც დღეს მიუღებელია ქართველი ლიბერასტებისთვის, თუმცა, მათთვის სტალინი რომ მისაღები იყოს, მაშინ საქართველოს უმრავლესობაც ლესბოსელი და პიდარასტი უნდა იყოს.

* თურმე **ნიკო ბური,** ბურებს რომ ებრძოდა, ამით ქართულ საქმეს აკეთებდა.

* თუ **მაჩაბელი** საფრანგეთის არმიაში ერთი ჩვეულებრივი მაიორი იყო, ამით თურმე უდიდეს ქართულ საქმეს აკეთებდა.

* თუ **აბრაამ სინჯიკაშვილი** სპარსეთში სპარსულ საქმეს აკეთებდა, მან საუკუნეებს შემოუნახა ქართველის მიერ გაკეთებული საგმირო საქმეები;

* თუ **თორნიკე ერისთავი** ბარდა სკლიაროსს ებრძოდა, ამისთვის ანაფორა გაიხადა და უკვდავებას ეზიარა, ჩვენი ანაფორიანი მღვდელი „ტაბურეტკამომარჯვებული“ ქრისტეს სჯულის შემარცხვენლებს რომ მისდევდა — ეს სტრასბურგის სასამართლოს გასარჩევი რატომ უნდა იყოს?!

მართალია, თემას გადავუხვიე, მაგრამ, სანამ ბედაურს მარათონზე გამოვიყვან, უნდა გავახურო, ოფლი მოვადინო, ფაშვზე მოულოდნელად მუშტი შემოვკრა, ჰაერისგან რომ დავცალო.

1912 წელს პარიზში ერთ-ერთ წვეულებაზე **ნაპოლეონ ბონაპარტემ** რუსეთის სამხედრო ატაშეს მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა: „რომელია უმოკლესი გზა პარიზიდან მოსკოვამდე?“ ატაშემაც მარავალმნიშვნელოვნად უპასუხა: „მოსკოვში ბევრი გზა მიდის. მაგალითად, კარლ XII პოლტავის მხრიდან მიადგა მოსკოვს“.

ჰიტლერმა ზუსტად კი იცოდა მოსკოვში მისასვლელი გზა და შეკითხვის დასმა არ დასჭირდებოდა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, არ იკითხა, როგორ ბრუნდებოდნენ მოსკოვში „ჩასულები“ უკან.

*** 1941 წელს ჰიტლერმა თავის დირექტივაში ჩაწერა: „გრანდიოზული ნაგებობის შემწეობით იქ, სადაც დღეს ქალაქი მოსკოვია, ჩვენ უნდა შევქმნათ ზღვა, რომლითაც სამუდამოდ მოვწყვეტთ ცივილიზაციას რუსი ხალხის დედაქალაქს“** (ამონარიდი ნიურნბერგის პრეცესის მასალებიდან. ტ.1. გვ. 495);

*1941 წლის 3 ოქტომბერს სვასტიკიანმა ტანკებმა შეანგრიეს საბჭოეთის ქალაქ ორიოლის ზღუდეები, 6 ოქტომბერს დაეცა ბრიანსკი, 12 ოქტომბერს — კალუგა, ვიაზმასთან ოთხი არმია ე.წ. ტომარაში მოექცა. მოსკოვი დაუცველი დარჩა;

* დაიწყო კატასტროფული დღეები არა მხოლოდ მოსკოვისთვის, არამედ მსოფლიოსთვის. ბერლინი ზეიმობდა აღმოსავლეთში მიღწეულ უდიდეს გამარჯვებას.

* მოსკოვში გაჩერდა ტრანსპორტი, არ მუშაობდა მაღაზიები — პროდუქტები უფასოდ დაურიგეს მოსახლეობას. საბჭოეთის დედაქალაქს მიადგა გერმანელთა რჩეული 80 დივიზია, მათ შორის: 14 სატანკო და 9 მოტორიზებული.

1941 წლის 15 ოქტომბერი. სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცა ბრძანება №1, რომელშიც აღნიშნული იყო:

„მოჟაისკის თავდაცვის ხაზზე შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის გამო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:

**1.** დაევალოს **ვ. მოლოტოვს,** გამოუცხადოს უცხო ქვეყნების დიპლომატიურ მისიებს მათი ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ ქალაქ კუიბიშევში. ამხ. **ლ. კაგანოვიჩმა** უზრუნველყოს მისიებისთვის სარკინიგზო შემადგენლობების დროული მიწოდება, ამხ. **ლ. ბერიამ** უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება;

**2.** დღესვე ევაკუირებული იქნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აგრეთვე, მთელი მთავრობის შემადგენლობა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მოლოტოვის** მეთაურობით (ამხანაგი სტალინი ევაკუირებული იქნება ხვალ ან ცოტა მოგვიანებით, მდგომარეობიდან გამომდინარე);

**3.** დაუყოვნებლივ ევაკუირებული იქნას თავდაცვის სახალხო კომისარიატი და საზღვაო სამინისტრო ქალაქ კუიბიშევში. გენერალური შტაბის ჯგუფი გადაყვანილ იქნას არზამასში;

**4**. იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგემ შემოაღწია ქალაქის კარიბჭეში, დაევალოს ამხანგ **ლ. ბერიასა** და ამხანაგ **ა.შჩერბაკოვს,** განახორციელონ საწყობებისა და დაწესებულებების აფეთქება, რომელთა ევაკუაციაც მტრის ხელში ჩავარდნამდე ვერ მოესწრება. აგრეთვე, გაანადგურონ მთელი ელექტრომოწყობილობა მეტროპოლიტენში და საკანალიზაციო სისტემები.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე
**ი.სტალინი“.**

**1941 წლის 16 ოქტომბერს სტალინმა განაცხადა: არავითარი ჩემი ევაკუაცია. ვრჩები მოსკოვში გამარჯვებამდე“** (ა. რიბინი, „სტალინთან ერთად“, 1992წ., გვ.25).

სტალინი უშუაhლოდ ჩაერთო მოსკოვის დაცვაში. 16 ოქტომბერს, საღამოს, ის გაემართა წინა ხაზზე მებრძოლ **ა. ბელობოროდოვის** დივიზიაში, რათა ჯარისკაცებთან ერთად გაცნობოდა საბრძოლო პოზოციებს, გასაუბრებოდა და გაემხნევებინა მეომრები. მივიდა სოფელ ლენინოში, მოინახულა დაჭრილები და მათგან მოისმინა, რომ ისინი მოსკოვისთვის სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებდნენ.

გამთენიისას უკან დაბრუნებული სტალინი კიდევ დიდხანს დაჰყურებდა მოსკოვის სტრატეგიულ რუკას და აღნიშვნებს აკეთებდა.

ათას ვარიანტში საუკეთესოს არჩევდა:

**„მოსკოვის დაცემა, არა იმიტომ, რომ უკან დასახევი არ გვაქვს, საერთოდ მიუღებელია, — ჯიუტად ამტკიცებდა სტალინი, — მოსკოვის დაცემა ნიშნავს, ფრთები შეისხას იაპონიის მილიტარიზმმა და მეორე ფრონტი გაგვიხსნას აღმოსავლეთში. ეს კი მეტისმეტად სახიფათო და დამღუპველია. ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ ორ ფრონტზე, რესურსი არ გვეყოფა. გაცილებით ადვილია, დავიცვათ მოსკოვი, ვიდრე ვიბრძოლოთ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“.**

**სტალინმა ჯადოსნური სვლები და წინასწარმეტყველური ნაბიჯები გადადგა. სხვადასხვა არხითა და საშუალებით დაადგინა, რომ იაპონია ვერ რისკავდა მეორე ფრონტის გახსნას აღმოსავლეთით. სტალინმა ბრძანება გასცა, მოსკოვის ავანსცენაზე გამოეყვანა გამობრძმედილი და გაკაჟებული ციმბირელები და ყაზახები. არანაირ ნიჭსა და კალამს არ ძალუძს აღწერა იმ უზარმაზარი ნდობისა და ბრძოლისა, რომელიც ცეცხლმოკიდებულ მოსკოვში სტალინის ყოფნამ და მის მიერ მოხმობილმა დამხმარე ძალებმა შეძლეს.**

20 ოქტომბრისთვის მოსკოვი გადაიქცა სამხედრო ქალაქად. ქუჩები გადაკეტილი იყო ტანკსაწინააღმდეგო ღობურებითა და მასალებით. ქუჩაში გამოჩნდნენ პანიკიორები, დივერსანტები და პროვოკატორები, რომლებიც ხალხში ხმას ავრცელებდნენ, რომ მოსკოვი დაეცა, რომ სტალინი ქალაქიდან გაიქცა. გაიცა განკარგულება ყველა რჯულის ქვეყნის მოღალატე ადგილზე ყოფილიყო ლიკვიდირებული. მხოლოდ რამდენიმე საათი დასჭირდა ქალაქში წესრიგის აღდგენას. მოსკოვის დიდი თეატრის ცნობილი ტენორი **ლემეშევი**, როდესაც სხვა მსახიობებთან ერთად კუიბიშევში გასამგზავრებლად ვაგონში ადიოდა, უცბად თავის ამხანაგებს მოსწყდა და ქუჩაში ყვირილით გამოვარდა: — **„რატომ უნდა წავიდე მე კუიბიშევში, როდესაც სტალინი მოსკოვშია და რატომ მასთან ერთად არ უნდა დავიცვა ჩემი მოსკოვი!“.** მას უამრავი თანამზრახველი გამოუჩნდა.

და მართლაც, ცოტა ხანში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე დიდი თეატრის ფილიალში გრანდიოზული კონცერტი გაიმართა, ხოლო 22 ნოემბერს ოპერა „ევგენი ონეგინი“ დაიდგა.

როდესაც ამის შესახებ სანგრებში ჩაწოლილმა თუ ტყეში გასულმა პარტიზანებმა რადიოთი თუ თავიანთი მეთაურებისაგან შეიტყვეს, ძალას ძალა მიემატა და ყველას გამარჯვების იმედი ჩაესახა.

მოსკოვთან ახლოს მისულმა გერმანელმა ოფიცერმა **ალბერტ ნეიენმენმა,** რომელმაც შორიდან თვალი ▶






**სტალინმა ჯარებს მავზოლეუმის ტრიბუნიდან მიმართა: «ამხანაგებო, წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო! თქვენ შემოგყურებთ სრულიად მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს, მოსპოს გერმანელ დამპყრობელთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელი დამპყრობლების უღელქვეშ მოექცნენ. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებლის მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების: ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახეები! დაე, გფარავდეთ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!»**

# „მოსკოვის დაცემა, არა იმიტომ, რომ უკან დასახევი არ გვაქვს, საერთოდ მიუღებელია, — ჯიუტად ამტკიცებდა სტალინი, — მოსკოვის დაცემა ნიშნავს, ფრთები შეისხას იაპონიის მილიტარიზმმა და მეორე ფრონტი გაგვიხსნას აღმოსავლეთში. ეს კი მეტისმეტად სახიფათო და დამღუპველია. ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ ორ ფრონტზე, რესურსი არ გვეყოფა. გაცილებით ადვილია, დავიცვათ მოსკოვი, ვიდრე ვიბრძოლოთ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოჰკრა კრემლის კურანტებს, 1941 წლის 5 ნოემბერს დედას წერილი მისწერა:

*** „ძვირფასო დედა: ახლა მოვდივარ ჩვენი დივიზიის შტაბიდან, სადაც მოიტანეს ბრძანება მოსკოვზე უკანასკნელი შეტევის დაწყების შესახებ. მე ვნახე უშველებელი ზარბაზნები, რომლებიც საღამოს ცეცხლს დაუშენენ კრემლს. მე ის დივიზიებიც ვნახე, რომლებიც პირველი შევლენ წითელ მოედანზე და მოინახულებენ ლენინის საფლავს. ეს ომის დამთავრებაა, დედაჩემო. მოსკოვი ჩვენია, რუსეთი ჩვენია, ჩვენია ევროპა. ხვალ წერილს მოსკოვიდან მოგწერ და აღგიწერ, როგორია ეს წყეული აზიური ქალაქი“.**

მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

6 ნოემბერს მოსკოვის მეტროპოლიტენის ყველაზე ღრმა სადგურის — „მაიაკოვსკაიას“ დარბაზში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავის აღსანიშნავად მიტინგი გაიმართა. როგორც წესი, სიტყვით იოსებ სტალინი გამოვიდა. მან მტკიცე რწმენა გამოთქვა მტერზე გამარჯვების: **„გერმანელ დამპყრობლებს გადაუწყვეტიათ, აწარმოონ გამანადგურებელი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რა გაეწყობა, რაკი გერმანელებს გამანადგურებელი ომი სურთ, ისინი მიიღებენ ამ ომს“.**

7 ნოემბერს დილით გაიმართა სამხედრო აღლუმი, რომელიც უმკაცრესი საიდუმლოების ქვეშ მზადდებოდა. აღლუმის შესახებ არ იცოდნენ თვით მისმა მონაწილეებმაც კი.

მოსკოვის ჯარების სარდალმა **არტემიევმა,** რომელმაც შეიტყო აღლუმის ჩატარების შესახებ, აღელვებულმა ჰკითხა სტალინს: „თუ მოსკოვის საჰაერო სივრცეში მტრის თვითმფრინავები შემოიჭრება და დაიბომბება წითელი მოედანი?..“ სტალინმა უპასუხა: „მტრის ვერც ერთი თვითმფრინავი მოსკოვის სივრცეს ვერ დაარღვევს და, თუ მაინც მოხდა და ტრიბუნა დაბომბა, დაზარალებულები იქაურობას სასწრაფოდ მოაცილეთ, ხოლო აღლუმი არ შეაჩეროთ“.

სტალინმა ჯარებს მავზოლეუმის ტრიბუნიდან მიმართა:

„ამხანაგებო, წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო! თქვენ შემოგყურებთ სრულიად მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს, მოსპოს გერმანელ დამპყრობელთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელი დამპყრობლების უღელქვეშ მოექცნენ. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებლის მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების: ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახეები! დაე, გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!

გერმანელ დამპყრობთა სრულად გასანადგურებლად!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“

1941 წლის 22 ივნისიდან 1941 წლის ბოლომდე 49-ჯერ სცადეს გერმანელებმა მოსკოვის დაბომბვა, რომელშიც მონაწილეობდა 3700 ბომბდამშენი. მოსკოვის საჰაერო სივრცე მხოლოდ 142-მა თვითმფრინავმა გადალახა, ხოლო მოსკოვისათვის საჰაერო ბრძოლებს მტრის 478 თვითმფრინავი შეეწირა.

მოსკოვისათვის ბრძოლის მთავარ ლოზუნგად გადაიქცა პოლიტხელ **ვასილ კლოჩკოს** სიტყვები: **„რუსეთი დიდია, მაგრამ უკან დასახევი ადგილი არ გვაქვს, ჩვენს უკან მოსკოვია“.**

ლეგენდარული 316-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც გენერალ-მაიორი ივანე პანფილოვი სარდლობდა, სამუდამოდ ჩაიწერა მოსკოვის ისტორიაში. პანფილოვის შენაერთებმა გაანადგურეს გერმანელთა საუკეთესო მე-2 სატანკო და 29-ე მოტორიზებული დივიზიები, ასევე, მე-11 და 110-ე ქვეითთა დივიზიები ჰიტლერის რჩეული არმიიდან.

სტალინის რეზერვის შესახებ ბევრმა მაღალი რანგის პარტიულმა თუ სამხედრო ხელმძღვანელმა არ იცოდა და, რა თქმა უნდა, არ იცოდა, გერმანიის სამხედრო დაზვერვამ.



**1941 წლის 22 ივნისიდან 1941 წლის ბოლომდე 49-ჯერ სცადეს გერმანელებმა მოსკოვის დაბომბვა, რომელშიც მონაწილეობდა 3700 ბომბდამშენი. მოსკოვის საჰაერო სივრცე მხოლოდ 142-მა თვითმფრინავმა გადალახა, ხოლო მოსკოვისთვის საჰაერო ბრძოლებს მტრის 478 თვითმფრინავი შეეწირა**



სწორედ ახალ-ახალი დივიზიებისა და არმიების გამოჩენა აგდებდა შოკში ჰიტლერს, რომელმაც მთლიანად დაკარგა მოსკოვისთვის ბრძოლის სტრატეგიაც და ტაქტიკაც და ის მხოლოდ ისტერიკულად გაჰკიოდა, რომ მოატყუეს.

როდესაც, ჰიტლერის თაყვანისმცემლები აანალიზებენ მოსკოვის ბრძოლებს, თუ რატომ ვერ შეძლო ჰიტლერმა მოსკოვის აღება, მთავარი მოწინააღმდეგე მას თურმე მოსკოვში გენერალი „ტალახი“ დახვდა, რომელმაც ხელი შეუშალა სამხედრო ტექნიკას ოპერაციების შესრულებაში.

**საკითხავია, რა გზებით მოდიოდნენ მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილი მოსკოვის მისადგომებამდე ვერმახტის ტანკები და რატომ აღმოჩნდა ასე გაუვალი მოასფალტებული მოსკოვის ქუჩები, სადაც მათ დახვდათ გენერალი „ტალახი“ ანდა იმ 3 700 თვითმფრინავსაც ტალახმა შეუშალა ხელი, რომლებმაც მოსკოვში ვერ შეაღწიეს?**

ყოველივე ამის გასაბათილებლად მხოლოდ ერთი კურიოზული წერილის ასლიც საკმარისია, რომელიც მარშალ **ჟუკოვმა** მთავარსარდალ სტალინს გაუგზავნა:

„14 დეკემბერი, 1941 წელი.

ამხანაგ სტალინს!

ტყვედჩავარდნილი ფელდმარშალ **გუდერიანის** არმიის ნაწილები, ყინვით შეწუხებულები, თხოვნით მოგვმართავენ, დავრთოთ ნება, ჩაიცვან სააღლუმო ტანსაცმელი, რომელიც მათ აქვთ წამოღებული 7 ნოემბერს საზეიმო გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე ჩასაცმელად. ჟუკოვი“.

როგორც ამ მოკლე წერილიდანაც ჩანს, აქ გენერალი „ზამთარი“ და გენერალი „ტალახი“ არაფერ შუაშია. აქ ნათლად იკვეთება ის სუსტი მხარე, რომელიც ვერმახტს გააჩნდა სტალინისა და სტალინური რუსეთის შეფასების მხრივ, რომ მას 1941 წლის 7 ნოემბრამდე მოუღებდა ბოლოს.

მოსკოვის დაცვის ეპოპეა სამხედრო ხელოვნების ნათელი მაგალითია. სწორედ აქ გამოჩნდა სტალინის ის სამხედრო ეშმაკობა მოწინააღმდეგის მოტყუებისა, რომელსაც ძნელად თუ მოეძებნება ანალოგი მსოფლიოს კლასიკური ომების ისტორიაში.



ივან პანფილოვი





**1941 წლის 16 ოქტომბერს სტალინმა განაცხადა: „არავითარი ჩემი ევაკუაცია. ვრჩები მოსკოვში გამარჯვებამდე“. სტალინი უშუალოდ ჩაერთო მოსკოვის დაცვაში. 16 ოქტომბერს, საღამოს, ის გაემართა წინა ხაზზე მებრძოლ ა. ბელობოროდოვის დივიზიაში, რათა ჯარისკაცებთან ერთად გასცნობოდა საბრძოლო პოზოციებს, გასაუბრებოდა და გაემხნევებინა მეომრები. მივიდა სოფელ ლენინოში, მოინახულა დაჭრილები და მათგან მოისმინა, რომ ისინი მოსკოვისთვის სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებდნენ. მოსკოვის დიდი თეატრის ცნობილი ტენორი ლემეშევი, როდესაც სხვა მსახიობებთან ერთად კუიბიშევში გასამგზავრებლად ვაგონში ადიოდა, უცბად თავის ამხანაგებს მოსწყდა და ქუჩაში ყვირილით გამოვარდა: „რატომ უნდა წავიდე მე კუიბიშევში, როდესაც სტალინი მოსკოვშია და რატომ მასთან ერთად არ უნდა დავიცვა ჩემი მოსკოვი!“. მას უამრავი თანამზრახველი გამოუჩნდა. და მართლაც, ცოტა ხანში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე დიდი თეატრის ფილიალში გრანდიოზული კონცერტი გაიმართა, ხოლო 22 ნოემბერს ოპერა „ევგენი ონეგინი“ დაიდგა.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მეცნიერება კლიმატის ცვლილებების შესახებ — ეს, საერთოდ, არ არის მეცნიერება“, — მიაჩნია „ანტიგრეტატუნბერგს“. „ის თავისუფალი ბაზრისა და კლიმატური რეალიზმის ნიჭიერი მომხრეა“, — აღნიშნავს THE WASHINGTON POST-ის ჟურნალისტი ჯეიმს ტეილორი.**

# გერმანიაში «ანტიგრეტატუნბერგი» გაჩნდა

**გერმანიაში პოპულარობას იხვეჭს 19 წლის გერმანელი გოგონა ნაომი ზაიბტი, რომელსაც „ანტიგრეტატუნბერგს“ უწოდებენ. გოგონა ამხელს მეცნიერებს, რომლებიც მეცნიერებას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ, აგრეთვე, ამბობს, რომ მეცნიერება კლიმატური ცვლილებების შესახებ სულაც არ არის მეცნიერება.**

ზაიბტი აკრიტიკებს პანიკის შექმნას კლიმატის ცვლილებების გარშემო და ამტკიცებს, რომ ამ მოძრაობის ბირთვში ჩადებულია „საზიზღარი ანტიჰუმანური იდეოლოგია“, — იუწყება გამოცემა „ცარგრადი“ გამოცემა The Washington Post-ზე დაყრდნობით.

**ნაომი ზაიბტი კლიმატურ ცვლილებებზე მადრიდში გამართული გაეროს კონფერენციის ჩარჩოში მოწყობილი ფორუმ HEARTLAND INSTITUTE-ს ვარსკვლავად იქცა. ამასთანავე, 2020 წლის იანვარში გახდა სახე კომპანიისა, რომლის მიზანიც არის, ეჭვი შეიტანოს მეცნიერთა უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილ თვალსაზრისში კლიმატური ცვლილებების ანთროპოგენური ბუნების შესახებ.**

„მეცნიერება კლიმატის ცვლილებების შესახებ — ეს არ არის მეცნიერება“, — მიაჩნია „ანტიგრეტატუნბერგს“. „ის თავისუფალი ბაზრისა და კლიმატური რეალიზმის ნიჭიერი მომხრეა“, — აღნიშნავს The Washington Post-ის ჟურნალისტი ჯეიმს ტეილორი.

თვითონ ზაიბტის თქმით, ის აქტივისტი გახდა რამდენიმე წლის წინათ, როცა სკოლაში სკეპტიციზმი გამოხატა ქვეყნის ლიბერალური მიგრაციული პოლიტიკის მიმართ და შეეჯახა მასწავლებლებისა და თანატოლების სასტიკ რეაქციას.

შეგახსენებთ, 2019 წლის ბოლოს სოციალურ ქსელებში პოპულარობა მოიხვეჭა შვედმა გოგონამ **იზაბელა ნილსონ იარვანდიმ,** რომელსაც მასმედიამ „ანტიგრეტა“ შეარქვა. გოგონამ გადაწყვიტა, „ტრადიციული ფასეულობების“ მხრიდან დაპირისპირებოდა ფემინისტებს, გლობალისტებსა და ლიბერალურ პოლიტიკოსებს.

17 წლის შვედი გოგონა გრეტა ტუნბერგი ცნობილი შეიქნა მას შემდეგ, რაც მარტომ დაიწყო პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია პარასკევობით. ამისთვის ის სკოლას აცდენდა. ასე გამოხატა გრეტამ აღშფოთება ქვეყანაში ტყის ხანძრების დიდი რაოდენობის გამო.


ნაომი ზაიბტი


გრეტა ტუნბერგი

**ნაომი ზაიბტი კლიმატურ ცვლილებებზე მადრიდში გამართული გაეროს კონფერენციის ჩარჩოში მოწყობილი ფორუმ Heartland Institute-ს ვარსკვლავად იქცა. ამასთანავე, 2020 წლის იანვარში გახდა სახე კომპანიისა, რომლის მიზანიც არის, ეჭვი შეიტანოს მეცნიერთა უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილ თვალსაზრისში კლიმატური ცვლილებების ანთროპოგენური ბუნების შესახებ**

ამას გარდა, ის ხელისუფლების წინაშე გამოვიდა მოთხოვნით, დაეცვათ პარიზის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც აუცილებელია, სასწრაფოდ შემცირდეს სასათბურე აირების გამოყოფა. შემდეგ მისმა პროტესტმა ყოველკვირეული ხასიათი მიიღო. ბევრს მოეწონა ტუნბერგის პიკეტები და ბევრმა მიბაძა მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ტუნბერგი დააჯილდოვეს პრემიით „სიცოცხლის უზრუნველყოფისთვის“, რომელიც თავისებურ დამატებად ითვლება ნობელის პრემიის ნომინაციებისთვის. ამას გარდა, ჟურნალმა Time-მ ტუნბერგი „წლის ადამიანად“ დაასახელა.

ამა წლის იანვარში ტუნბერგმა განაცხადა, რომ აპირებს თავისი სახელის, როგორც სავაჭრო მარკის, რეგისტრაციას.

**VZ.RU-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



# უკრაინულმა გამოცემამ მაიდანზე მოწყობილი დახვრეტის დეტალები გამოამზეურა




**„2014 წლის 20 თებერვალს კიევის მაიდანზე ატეხილ სროლაში პირველები უკრაინის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები დაიღუპნენ, — წერს უკრაინული გამოცემა „სტრანა“.**

გამოცემას ხელში ჩაუვარდა გამოძიების მასალები 2014 წლის 18-დან 20 თებერვლამდე მოკლული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების სიასთან ერთად.

**„ამ მასალებში მითითებულია სამართალდამცველების დაღუპვის დრო და ჩანს, რომ 20 თებერვალს პირველი 3 მილიციონერი დაიღუპა დილის 8:10-დან 8:20 საათის მონაკვეთში. პირველი „ევრომაიდნელები“ კი ამ დღეს მოკლეს მოგვიანებით — 9 საათის შემდეგ“,** — წერს გამოცემა.

ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ ეს ინფორმაცია ემთხვევა გამოძიების მონაცემებს, რომელთა თანახმადაც საპროტესტო აქციის მონაწილეებმა პირველებმა გაუხსნეს ცეცხლი „ბერკუტის“ თანამშრომლებს, რათა მომხდარიყო მასობრივი სისხლისღვრის პროვოცირება და ჩაეშალათ 2014 წლის 19 თებერვლის დაზავების შეთანხმება ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. გამოცემამ გამოაქვეყნა ასლები ოფიციალური დოკუმენტებისა, რომლებიც უარყოფს უკრაინის ხელისუფლების ვერსიას იმის შესახებ, რომ ტრაგედია კიევში პროვოცირებული იყო ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების მიერ.



უფრო ადრე უკრაინელებმა გამოხატეს გულისწყრომა სტუდია „კვარტალ-95“-ის მიერ გამოქვეყნებული ოთხტაეპიანი ლექსის გამო, რომელიც ეძღვნება ევრომაიდნის წლისთავს.

ალსანიშნავია, რომ გამოკითხული უკრაინელების მხოლოდ 45,5% ეთანხმება მოსაზრებას, რომ 6 წლის წინათ უკრაინაში მოხდა „ღირსების რევოლუცია“, როგორც იმ მოვლენებს უწოდებს ოფიციალური პროპაგანდა, რესპონდენტების 23%-მა კი მას სახელმწიფო გადატრიალება უწოდა.

**VZ.RU-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**«ამ მასალებში მითითებულია სამართალდამცველების დაღუპვის დრო და ჩანს, რომ 20 თებერვალს პირველი 3 მილიციონერი დაიღუპა დილის 8:10-დან 8:20 საათის მონაკვეთში. პირველი «ევრომაიდნელები» კი ამ დღეს მოკლეს მოგვიანებით — 9 საათის შემდეგ»**



გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს გარდაუვალი იყო იმიტომ, რომ თურქეთის მხარე ძალიან უცნაურ მეთოდებს იყენებს, — თქვა მუხინმა. ის თავის სამხედრო ფორმას აცმევს „ბოევიკ“-ტერორისტებს. შემდეგ კი მათ ლიკვიდაციას თურქი ჯარისკაცების ლიკვიდაციად ასაღებს. ამ ვითარებაში მართლა გაურკვეველია — თუ ისინი თურქი ჯარისკაცები არიან, მაშინ რა უნდათ „ბოევიკებს“ შორის? ადამიანები, რომლებიც აფელირებულნი არიან ტერორისტებთან, ავტომატურად ხდებიან ტერორისტები. მნიშვნელობა არ აქვს, რომ ისინი სამხედრო სამსახურში იმყოფებიან თურქეთში“.**

# თურქეთი გააფრთხილეს: «რუსეთის შანტაჟის მცდელობას ანკარისთვის ძალიან სამწუხარო შედეგები მოჰყვება!»

**ამა წლის 28 თებერვლის ღამეს თურქეთის არმიამ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა სირიის პროვინცია იდლიბში. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 36 სამხედრო. ეს მოხდა მაშინ, როცა სირიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა „ბოევიკების“ წინააღმდეგ ავიადარტყმა განახორციელეს.**





ალექსეი მუხინი

„სირიის პროვინცია იდლიბში ვითარების გამწვავებამ წარმოაჩინა, რომ თურქეთი უცნაურ მეთოდებს იყენებს“, — მიაჩნია პოლიტოლოგ **ალექსეი მუხინს.** ეს მან 28 თებერვალს განაცხადა სირიის სამთავრობო ძალების მოქმედების გამო თურქეთის დაჩივლების კომენტირებისას.

**„ეს გარდაუვალი იყო იმიტომ, რომ თურქეთის მხარე ძალიან უცნაურ მეთოდებს იყენებს, — თქვა მუხინმა. ის თავის სამხედრო ფორმას აცმევს „ბოევიკ“-ტერორისტებს. შემდეგ კი მათ ლიკვიდაციას თურქი ჯარისკაცების ლიკვიდაციად ასაღებს. ამ ვითარებაში მართლა გაურკვეველია — თუ ისინი თურქი ჯარისკაცები არიან, მაშინ რა უნდათ „ბოევიკებს“ შორის? ადამიანები, რომლებიც აფელირებულნი არიან ტერორისტებთან, ავტომატურად ხდებიან ტერორისტები. მნიშვნელობა არ აქვს, რომ ისინი სამხედრო სამსახურში იმყოფებიან თურქეთში“.**

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, თურქი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც 27 თებერვალს იდლიბში სირიის სამთავრობო არმიის თავდასხმისას დაიხოცნენ, ტერორისტთა რიგებში იმყოფებოდნენ.

მუხინმა, აგრეთვე, შეაფასა თურქეთის სიტყვები პრეზიდენტ **მესუთ ჰაკისა**, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის, კვლავ შეებრძოლოს რუსეთს. „რუსეთზე ზემოქმედების მცდელობას ანკარისთვის ძალიან სამწუხარო შედეგები მოჰყვება!“ — განაცხადა პოლიტოლოგმა.

**„ერთი მხრივ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თურქეთი ცდილობს, რაღაც მორალურ ზემოქმედებას რუსეთზე. მე ამ მოსაზრებას ვემხრობი, მაგრამ მესუთ ჰაკის ნათქვამის სერიოზულად აღქმა არ ღირს. სერიოზულად რომ მივიღოთ, ამას თურქეთისთვის ძალიან სამწუხარო შედეგები მოჰყვება. თურქეთი იმედოვნებს, რომ ნატოს წევრობის ბილეთი უშველის, ის თამაშობს, მაგრამ უკვე შორს შეტოპა. ასეთ განცხადებაზე რუსეთის რეაქცია თავშეკავებული უნდა იყოს, ოღონდ მკაცრი, თუმცა თურქეთისთვის შედეგები ნებისმიერ შემთხვევაში სამწუხარო იქნება“.**

„სირიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სარდლობა სირიის ცაში უსაფრთხო ფრენის გარანტიას ვერ მისცემს თურქეთის ავიაციას“, — განაცხადა სირიაში დაპირისპირებული მხარეების შერიგების რუსული ცენტრის ხელმძღვანელმა, კონტრადმირალმა **ოლეგ ჟურავლიოვმა.**

ცენტრის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სირიის მთავრობა იძულებული იყო, გამოეცხადებინა საჰაერო სივრცის დახურვის შესახებ პროვინცია იდლიბის თავზე.

„ამ პირობებში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების სარდლობა თურქეთის ავიაციას ვერ მისცემს უსაფრთხო ფრენის გარანტიას სირიის საჰაერო სივრცეში“, — აღნიშნა კონტრადმირალმა.

**«ერთი მხრივ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თურქეთი ცდილობს რაღაც მორალურ ზემოქმედებას რუსეთზე. მე ამ მოსაზრებას ვემხრობი, მაგრამ მესუთ ჰაკის ნათქვამის სერიოზულად აღქმა არ ღირს. სერიოზულად რომ მივიღოთ, ამას თურქეთისთვის ძალიან სამწუხარო შედეგები მოჰყვება. თურქეთი იმედოვნებს, რომ ნატოს წევრობის ბილეთი უშველის, ის თამაშობს, მაგრამ უკვე შორს შეტოპა. ასეთ განცხადებაზე რუსეთის რეაქცია თავშეკავებული უნდა იყოს, ოღონდ მკაცრი, თუმცა თურქეთისთვის შედეგები ნებისმიერ შემთხვევაში სამწუხარო იქნება»**

თურქეთის პრეზიდენტთან არსებული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომიტეტის წევრმა, თურქეთის პრეზიდენტ **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** მრჩეველმა განაცხადა, რომ თურქეთი 16-ჯერ ეომა რუსეთს და მზად არის, კიდევ ერთხელ ეომოს.

ამას გარდა, მრჩეველმა აღნიშნა, რომ რუსეთში 25 მლნ მუსლიმანი ცხოვრობს და „ისინი რუსეთს შიგნიდან გახლეჩენ“.

ისე, **ბატონ ჰაკის კარგი იქნებოდა, ისიც გაეხსენებინა, როგორ და რით დასრულდა ის ომები და „რუსეთის შიგნიდან გახლეჩვის“ მცდელობები მათთვის, ვინც ეს ომები წამოიწყო.**

საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ მასალების მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ანკარაში თავს დაესხნენ Sputnik-თურქეთის 3 თანამშრომელს




**საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „როსია სეგოდნიასა“ და ტელეარხ PT-ის მთავარმა რედაქტორმა მარგარიტა სიმონიანმა განაცხადა, რომ ანკარაში Sputnik-თურქეთის 3 თანამშრომლის ბინებში აგრესიულად განწყობილი ადამიანები შეიჭრნენ.**

„ანკარაში ჩვენი 3 თანამშრომლის ბინებში შეიჭრნენ დაუდგენელი ვინაობის ადამიანები, იმუქრებოდნენ, უყვიროდნენ ჩვენს თანამშრომლებს, რომ სამშობლოს მოღალატეები არიან, რადგან რუსებისთვის მუშაობენ“, — დაწერა სოციალურ ქსელში **მარგარიტა სიმონიანმა.**

„ორგანიზებულ ჯგუფებში, რომლებიც თავს დაესხნენ ჩვენი 3 თანამშრომლის ბინებს ანკარაში, დაახლოებით 10-მდე ადამიანი იყო თითოეულში. ისინი ყვიროდნენ: „თურქეთი თურქებისთვის!“, „მოღალატეები!“ და „რუსი ჯაშუშები“, — განაცხადა საერთაშორისო სააგენტო „როსია სეგოდნიასა“ და ტელეარხ PT-ის მთავარმა რედაქტორმა.

Sputnik-თურქეთის მონაცემებით, ინციდენტი მოხდა 29 თებერვალს ღამის 10-დან 11 საათამდე პერიოდში. თავდამსხმელები პოლიციის მოსვლამდე მიიმალნენ, მხოლოდ ამის შემდეგ მიმართეს Sputnik-თურქეთის თანამშრომლებმა ჯანდაცვის ორგანოებს.

სიმონიანმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ გასაკვირია, როგორ შეიტყვეს თავდამსხმელებმა მისი „არც ისე საჯარო თანამშრომლების“ მისამართები.

28 თებერვალს თურქულ სოცქსელებში გაჩნდა მუქარები რუსი დიპლომატების მიმართ. ამავე დღეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თათბირი გამართა რუსეთის უშიშროების საბჭოს წევრებთან. შეკრების მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ თურქეთის ხელისუფლება ყველა აუცილებელ ზომას მიმართავს თურქეთში რუსეთის დაწესებულებებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად.

**«ორგანიზებულ ჯგუფებში, რომლებიც თავს დაესხნენ ჩვენი 3 თანამშრომლის ბინებს ანკარაში, დაახლოებით 10-მდე ადამიანი იყო თითოეულში. ისინი ყვიროდნენ: «თურქეთი თურქებისთვის», «მოღალატეები!» და «რუსი ჯაშუშები», — განაცხადა საერთაშორისო სააგენტო «როსია სეგოდნიასა» და ტელეარხ PT-ის მთავარმა რედაქტორმა**

უფრო ადრე თურქეთში რუსეთის ელჩმა **ალექსეი ერხოვმა** განაცხადა, რომ მის მიმართ მუქარა კვლავ გრძელდება. ერხოვის თქმით, მუქარის ავტორები ამბობენ, რომ რუსი სამხედროების თავის ქალებისგან ცათამბჯენებს ააგებენ. ელჩის აზრით, ისინი, ვინც ასეთ მუქარებს გზავნიან, ვერ აცნობიერებენ თავიანთი მოქმედების შესაძლო შედეგებს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

პოლიტიკური სისტემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ფორმირების ათვლის წერტილად უნდა მივიჩნიოთ 1995 წლის 24 აგვისტო, როდესაც მიიღეს დღეს მოქმედი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც, მიუხედავად შეტანილი მრავალი ცვლილებისა, რომლებიც ძირითადად მმართველობით ფორმებს შეეხებოდა, შეიქმნა პოლიტიკური თამაშის ის წესები, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის საბაზისო სტრუქტურა. ამიტომ მმართველი ელიტების ცვლილებების დაკვირვების პროცესი სრულიად სამართლიანად მოიცავს იმ პერიოდს, რომლიდანაც დაიწყო თანამედროვე პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ფორმირება.**

# რატომ ვერ მობრუნდება «ნაციონალური მოძრაობა» ხელისუფლებაში

**ელიტოლოგიაში უმთავრეს კონცეპციურ მიდგომას წარმოადგენს საზოგადოებრივი სისტემის დიქოტომიური დაყოფა, სადაც ნებისმიერი სოციალური ორგანიზმის დიფერენციაცია აგებულია ანტითეზაზე ელიტა — მასა და რომელთა ზომიერი, ბალანსირებული ურთიერთობები განაპირობებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას.**

სოციალური და პოლიტიკური პროცესების შესწავლის დინამიკამ ელიტისტები მიიყვანა „ელიტების ცირკულაციის“ თეორიულ გააზრებასთან. ისინი საზოგადოებას განიხილავდნენ, როგორც დინამიურ წონასწორობაში მყოფ სისტემას, რომელშიც ცვლილებათა პროცესი სოციალური წონასწორობის მისაღწევად ქმნიდა ციკლებს, რომელთა დინება დამოკიდებულია ელიტების ცირკულაციის ხასიათზე.

პოსტსაბჭოთა საქართველოს შემთხვევაში მმართველი ელიტების ცირკულაციის ასპექტების გამოვლენა უპრიანია **ჰეგელის** დიალექტიკური ლოგიკის მოშველიებით და მისი მეთოდოლოგიის მატერიალიზაციით მმართველი ელიტა-კონტრელიტის ურთიერთქმედებათა პრინციპებზე. თან ისე, რომ მის ფარგლებში გაანალიზდეს ელიტების ცირკულაციის პროცესი ერთი საფეხურიდან მეორე, ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის დიალექტიკური მიდგომით, როდესაც ერთი ელიტური სახელისუფლო ჯგუფის ძალაუფლების მეორეში გადასვლა ხდება დინამიურად, სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წონასწორობისა და მეტ-ნაკლები სტაბილურობის შენარჩუნებით. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ დიალექტიკა წარმოადგენს მოძღვრებას პოლარულად დაპირისპირებულთა ერთიანობის ფარგლებში საზოგადოებისა და ადამიანთა აზროვნების, ხოლო ჩვენს შემთხვევაში — პოლიტიკური სისტემის განვითარების ზოგად კანონებზე.

შესაბამისად, ანალიზის პროცესში ჩვენს მიზანს წარმოადგენს შევქმნათ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ევოლუციის საფეხურეობრივი ტრიადა თეზისის, ანტითეზისისა და სინთეზის კონცეპტუალური გამოყენებით. აღნიშნული ფილოსოფიური კატეგორიების გამოყენებით აუცილებელია კონსტრუირდეს ის თეორიული სქემა, რომელმაც მმართველი ელიტის კონტრელიტასთან ურთიერთქმედებაზე დაყრდნობით უნდა გვიჩვენოს და მოგვცეს იმ პოლიტიკური პროცესის პროგნოზირების საშუალება, რომელიც პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემის ერთი იერარქიული კიბიდან მეორე, ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის პრაქტიკულ რეალიზაციაში აისახება.

სპეციფიკური მეთოდოლოგიური კომპონენტიდან გამომდინარე, მოცემული საკითხის ანალიზის პროცესში თეზისი იქნება კონკრეტული მმართველი ელიტა და მის მიერ გადმოცემული ის იდეა, რომელიც კონკრეტულ მოკლე ისტორიულ პერიოდში წარმოადგენდა საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას. რაც შეეხება ანტითეზას, მისი ასახვა მატერიალიზდება კონტრელიტაში და ამ უკანასკნელის მიერ პროპაგანდირებულ, საზოგადოების ფართო ფენებისთვის მისაღებ იდეაში. სინთეზში კი უნდა ვიგულისხმოთ წინა სახელისუფლო ელიტის უარყოფა და მის მიერ შექმნილ „სიკეთესთან“ იმ იდეური პოსტულატის პრაქტიკული შერწყმა, რომლისადმი მოთხოვნილება გაჩენილია საზოგადოებაში და რომელიც მოაქვს ახალ მმართველ ელიტურ ჯგუფს.

მოცემული იდეის რეალიზაციისთვის ჩემს მიზანს წარმოადგენს კერძო შეცნობის გზით იმ უმთავრესი ტენდენციების გამოკვეთა და ლოგიკურ ჯაჭვში მოქცევა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა მმართველი კლასის ჩანაცვლება კონტრელიტის მიერ. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს კონკრეტულ ფაქტოლოგიაზე დაკვირვებით, მისგან აბსტრაქტულზე და პირიქით, ზოგადიდან კერძოზე განზოგადოების გზით შევქმნათ ის თეორიული მოდელი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საქართველოში ფუნქციონირებადი ელიტური ჯგუფების ცირკულაციის ლოგიკური მოძრაობის ბუნებრივი ტენდენციის დადგენა.

საქართველოში პოლიტიკური ელიტების ცირკულაციის ზოგადი მექანიზმები

**პოსტსაბჭოთა საქართველოში ხელისუფლებების ცვლილება-განახლების დინამიკაზე პრაქტიკაში დაკვირვების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური ლიდერების და მის გარშემო მობილიზებული ელიტური ჯგუფების ჩანაცვლების პროცესი არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა. ბოლო წლების ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე დაკვირვებამ გამოკვეთა ის უმთავრესი მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა კონტრელიტის მხრიდან მმართველი ელიტის ჩანაცვლების პრაქტიკას. იგი, თავის მხრივ, მოიცავდა, როგორც სამხედრო, ასევე არასამხედრო გზით („ვარდების რევოლუცია“) მმართველი ჯგუფის დამხობის და სახელმწიფო გადატრიალების პრაქტიკულ რეალიზაციას და ამის მეშვეობით კონტრელიტის აღმასვლას სახელმწიფოს უმაღლეს მმართველობით სისტემაში.** ამასთანავე, ქართული პოლიტიკური რეალობა იცნობს ხელისუფლების ჩანაცვლების ისეთ მექანიზმსაც, რომელიც გულისხმობს ძალაუფლების ხელში აღებას ლეგიტიმური მეთოდების გამოყენებით (არჩევნები). ამას მოწმობს თუნდაც პოლიტიკური ელიტების ცირკულირების უკანასკნელი მაგალითი — 2012 წლის არჩევნები.

ქართველი საზოგადოების მოკლე სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური ანალიზი

საზოგადოდ, როგორც ნებისმიერ სახელმწიფოში, საქართველოშიც პოლიტიკური ელიტების ფორმირებისა და ჩანაცვლება-განახლების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს მოქალაქეთა კულტურული და ღირებულებითი კომპონენტები, რომლებიც განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფებების მიმართ. ქართული ტრადიციული საზოგადოების სოციალური ორგანიზების სოციოლოგიური ანალიზი მას მიაკუთვნებს პატრიარქალურ და კოლექტივისტურ სოციუმთა კატეგორიას, რაც განაპირობებს მოცემული ელექტორატის ორიენტირებულობას კონკრეტულ პოლიტიკურ პერსონაზე. სწორედ მოცემული განაპირობებდა სხვადასხვა პერიოდში ქართველი ამომრჩევლის პერსონალურ ორიენტაციას განსხვავებული დღის წესრიგის მქონე პოლიტიკურ ლიდერებზე, რომლებსაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა უკავშირებდა მოცემულ ვითარებაში არსებული და ყველაზე მტკივნეული ამოცანის გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოთ მოკლედ განხილული მაგისტრალური ხაზი გრძელდება დღემდე.

საქართველოში პოლიტიკური ელიტების ცირკულაციის მოკლე ისტორია

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ფორმირების ათვლის წერტილად უნდა მივიჩნიოთ 1995 წლის 24 აგვისტო, როდესაც მიღებული იქნა დღეს მოქმედი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც მიუხედავად შეტანილი მრავალი ცვლილებებისა და რომლებიც ძირითადად მმართველობით ფორმებს შეეხებოდა, შექმნა პოლიტიკური თამაშის ის წესები, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის საბაზისო სტრუქტურა. ამიტომ მმართველი ელიტების ცვლილებების დაკვირვების პროცესი სრულიად სამართლიანად მოიცავს იმ პერიოდს, რომლიდანაც დაიწყო თანამედროვე პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ფორმირება. სწორედ მოცემულიდან გამომდინარე, აუცილებელია პოლიტიკური პროცესის ანალიზს შევუდგეთ 1995 წლიდან, როდესაც **ედუარდ შევარდნაძის** გარშემო კონსოლიდირებული პოლიტიკური კლასის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების საკვანძო თანამდებობები, ასევე საპარლამენტო ინსტიტუცია, იმ დროინდელი მმართველი პარტიის „მოქალაქეთა კავშირის“ მიერ კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებით.

პირველი ასეთი ტიპის ლიდერი გახლდათ საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამხობის და სახელმწიფო გადატრიალების გზით. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი ეთნო კონფლიქტების პარალელურად. ქვეყანაში არსებულმა სრულმა ქოსმა და სოციალურ-ეკონომიკურმა სიდუხჭირემ შევარდნაძის პოლიტიკური ფიგურა მოსახლეობის ფართო ფენებში დაუკავშირა სტაბილურობის აღქმადობას. მისი ქარიზმის პოლიტიკურ კაპიტალიზაციაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობამ, კერძოდ მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობამ. ზოგადად, პროვინციულ საზოგადოებებში „უცხოს ბაძვის“, ქვეყნის გარეთ მოღვაწე პიროვნებებზე ორიენტაცია სიახლეს არ წარმოადგენს, რაც ქართული ტრადიციული საზოგადოების გენეტიკაში მყარად არის გამჯდარი. მოცემულმა ვითარებამ თავის მხრივ საკმაო გავლენა იქონია ე.შევარდნაძის და მის გარშემო მობილიზებული ელიტური ჯგუფების ხელისუფლების უმაღლეს ვერტიკალურ სტრუქტურაში აღსაზევებლად. საბოლოოდ, პრეზიდენტ შევარდნაძის მოღვაწეობამ მინიმალურად, მაგრამ მაინც შეასრულა ის მისია, რაზეც აქცენტს აკეთებდა საქართველოს ამომრჩეველი. მან შეძლო პოლიტიკური სისტემის და ზოგადად, საზოგადოებრივი წესრიგის სტაბილიზაცია, რასაც ორი საარჩევნო ციკლი მოანდომა.

თუმცა, როგორც ნებისმიერ საზოგადოებაში ხდება, სოციალური ზრდის პროცესი ყოველთვის დაკავშირებულია ძველის დასასრულის და ახალი საზოგადოებრივ- ▶




**პრეზიდენტ შევარდნაძის მსგავსად, საქართველოს მესამე პრეზიდენტის პოლიტიკურმა მოღვაწეობამ ორ საარჩევნო ციკლზე მეტხანს ვერ გასტანა, თუმცა, მიუხედავად მმართველობითი სისტემის ავტოკრატიზაციისა, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების პროცესში ფორმირებული მკაცრი ავტორიტარიზმისა და 2008 წლის ომში განცდილი სამარცხვინო მარცხისა, მის მიერ რეალიზებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის რეფორმირება-ტრანსფორმირების პროცესმა უამრავ ნეგატივთან ერთად მცირე, მაგრამ მაინც გარკვეულ პოზიტიური ელემენტები შემოიტანა. საუბარია კორუფციის დონის შემცირებასა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალიზაციაზე**

პოლიტიკური სისტემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო წლების ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაზე დაკვირვებამ გამოკვეთა ის უმთავრესი მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა კონტრელიტის მხრიდან მმართველი ელიტის ჩანაცვლების პრაქტიკას. იგი, თავის მხრივ, მოიცავდა, როგორც სამხედრო, ასევე არასამხედრო გზით („ვარდების რევოლუცია“) მმართველი ჯგუფის დამხობისა და სახელმწიფო გადატრიალების პრაქტიკულ რეალიზაციას და ამის მეშვეობით კონტრელიტის აღმასვლას სახელმწიფოს უმაღლეს მმართველობით სისტემაში.**

◀ პოლიტიკური ციკლის დაწყებასთან, რაც ამომრჩევლის ცნობიერებაში ახალ და ძველისგან განსხვავებულ მოთხოვნილებებს აჩენს.

ასეთ ვითარებაში ოპოზიციურ პოლიტიკურ არენაზე შედარებით განახლებული იდეებით გამოდის **მიხეილ სააკაშვილი**, რომელსაც მისი წინამორბედის მსგავსად, ქარიზმის ფორმირებასა და პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებაში დიდად წაეხმარა მისი ამერიკული კარიერა. იგი ხალხში აღიქმებოდა უცხოეთში სწავლა-განათლება მიღებულ პოლიტიკოსად, რომელსაც საქართველოში უნდა მოეხდინა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია და დასავლური ცხოვრების წესის გადმონერგვა. იმ პერიოდის ქართველი ამომრჩევლის უდიდეს უმრავლესობაში დასავლური ცხოვრების წესის გადმოტანა ქართულ რეალობაში აღიქმებოდა აბსოლუტურ სიკეთედ, რისი მიღწევაც უნდა მომხდარიყო, პირველ რიგში, ქვეყანაში ტოტალურად გამეფებული კორუფციის აღმოფხვრით.

სააკაშვილის პოლიტიკური ნაბიჯების რეალიზაციის პროცესში ამომრჩეველთან უმნიშვნელოვანეს საკომუნიკაციო სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა კორუფციის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლისა და რეფორმატორის იმიჯი. ყველაფერმა ამან, თან დასავლურმა (ამერიკულმა) მხარდაჭერამ, განაპირობა მისი და მასთან აფილირებული პოლიტიკური ელიტის მიერ სახელისუფლო ძალაუფლებრივი ვერტიკალის ხელში ჩაგდება.

პრეზიდენტ შევარდნაძის მსგავსად, საქართველოს მესამე პრეზიდენტის პოლიტიკურმა მოღვაწეობამ ორ საარჩევნო ციკლზე მეტხანს ვერ გასტანა. თუმცა, მიუხედავად მმართველობითი სისტემის ავტოკრატიზაციისა, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების პროცესში ფორმირებული მკაცრი ავტორიტარიზმისა და 2008 წლის ომში განცდილი სამარცხვინო მარცხისა, მის მიერ რეალიზებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის რეფორმირება-ტრანსფორმირების პროცესმა უამრავ ნეგატივთან ერთად მცირე, მაგრამ მაინც გარკვეულ პოზიტიური ელემენტები შემოიტანა. საუბარია კორუფციის დონის შემცირებასა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალიზაციაზე.

მეორე საარჩევნო ციკლის დასასრულისთვის სოციალური ორგანიზმის სწორხაზოვანი ზრდის პროცესმა საზოგადოების წინაშე ახალი მოთხოვნილებები დააყენა, რაც უკავშირდებოდა პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციას. რაც მთავარია, საზოგადოებამ რუსეთის ფედერაციაში გამდიდრებულ და პოლიტიკურ ფიგურად გარდაქმნილ მილიარდერ ბ. ივანიშვილს დაუკავშირა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ინდუსტრიალიზაციის რელსებზე გადასვლით. ამაზე მიუთითებს წინაასარჩევნო კამპანიის პერიოდში უხვად გაცემული დაპირებები რამოდენიმე ასეული საწარმოს აშენებასთან დაკავშირებით.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად პოლიტიკური სისტემის პერსონიფიცირებისა და არაფორმალური მმართველობისა, რაზეც პოლიტიკის არაერთი ექსპერტი აკეთებს აქცენტს, დემოკრატიზაციის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პლურალიზაციის კუთხით გადადგმული ნაბიჯები აშკარად იკვეთება. ამისდა დამოუკიდებლად, დღეს არსებული ხელისუფლება მეორე საარჩევნო ვადის ბოლოსათვის განიცდის ლეგიტიმურობის კრიზისთან დაკავშირებულ პრობლემებს. დღევანდელი მმართველი ძალის დელეგიტიმაციის პროცესს განაპირობებს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის ზრდა და სოციალური ფონის გაუარესება, რამაც საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში გამოკვეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების უმთავრესი მოთხოვნილება.

საქართველოს პოლიტიკური ელიტების ცირკულაციის პროცედურებზე დიალექტიკური მეთოდოლოგიის განზოგადება საშუალებას იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთებისა: მმართველი ელიტის რეკრუტირების პირველ შემთხვევაში პოლიტიკურ ლიდერ ე. შევარდნაძის გარშემო მობილიზებული სახელისუფლო ელიტის მიერ რეტრანსლირებული სტაბილურობის იდეა (თეზისი) უარყოფილ იქნა კონტრელიტის მიერ გახმოვანებული ანტიკორუფციული და ქვეყნის ინსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებული იდეით (ანტითეზა). მ.სააკაშვილთან აფილირებულ ოპოზიციურ ელიტაზე ძალაუფლების გადადინების პროცესით საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სინთეზის კატეგორიაში გადასვლამ სტაბილურობის განცდას შეჰმატა სისტემის ინსტიტუციონალზიაცია და კორუფციის დონის საგრძნობი შემცირება. მოცემული სინთეზის ფაქტორმა განაპირობა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ევოლუციონირება და, შესაბამისად, იგი განვითარების უფრო დაბალი იერარქიული საფეხურიდან დიალექტიკური კიბის ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

რაც შეეხება დღევანდელი პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის პოლიტიკურ ანალიზს, 2012 წელი მიიჩნევა ახალი პოლიტიკური კლასის მმართველობითი ციკლის დასაწყისად, რომლის დროსაც კონტრელიტამ უარყოფის პრინციპით უკუაგდო საქართველოს წინამორბედი მმართველი ელიტა. უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფას, — მიუხედავად პოლიტიკური სისტემის განვითარებისათვის აუცილებელი ინსტიტუციონალიზაციისა (თეზისი), რომელიც განხორციელდა პოლიტიკური ავტორიტარიზმის, მოქალაქეთა უფლებების მასობრივი დარღვევის და კანონით გათვალისწინებული ადამიანთა თავისუფლებების უკანონო შეზღუდვების ხარჯზე, — ხელი შეუწყო სახელისუფლო ელიტის პოლარულად საპირისპირო პოზიციაზე მდგომი პოლიტიკური კლასის მიერ გახმოვანებულმა სისტემის ლიბერალიზაციის, პლურალიზაციისა და დემოკრატიზაციის იდეამ (ანტითეზა). სინთეზის კატეგორიაში კი მისი გადასვლის პროცედურა მოხდა დემოკრატიზაციის პროცედურის შერწყმით ინსტიტუციონალიზაციასთან.

**როგორც პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოების პოლიტიკური ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, პოლიტიკურ სისტემაში დღეს მოქმედი ვერც ერთი ოპოზიციური პოლიტიკური დაჯგუფება ვერ აკმაყოფილებს ჩემ მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების პირველ ორ პუნქტს. აღნიშნული, განსაკუთრებით შეეხება «ნაციონალურ მოძრაობას» და მასთან აფილირებულ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ «ნაციონალური მოძრაობა» და მისი ფაქტობრივი ლიდერი სააკაშვილი ქართული პოლიტიკის წარსულს წარმოადგენენ, როგორც შევარდნაძის სახელისუფლო ელიტა «ვარდების რევოლუციის» შემდგომი ქართული საზოგადოებისთვის. მათ მიერ ანტითეზის სახით დღეს წამოყენებული იდეები მხოლოდ ქართველი საზოგადოების განვითარების განვლილი სტადიაა**




თუ საქართველოში პოლიტიკური ელიტების ცვლილებების ანალიზს სპირალისებული ხაზით გავყვებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ორი საპარლამენტო საარჩევნო ვადის გასვლა აუცილებელ პირობას წარმოადგენს თითოეული მმართველი ელიტის ცირკულაციისათვის, რომლის დროსაც უარყოფა ხდება წინა ხელისუფლების, მაგრამ ყოველი მათგანის მოღვაწეობა ყოველთვის დაკავშირებული იყო პოლიტიკური სისტემაში ახალი და იმ პერიოდის ამომრჩვლისათვის უმნიშვნელოვანესი იდეის მატერიალიზაციასთან პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, ახალი მმართველობითი ციკლის დაწყება პოზიტიურ როლს თამაშობდა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის უფრო მაღალ და განვითარებულ საფეხურზე გადასასვლელად.

ისტორიულ-პოლიტიკური პერიპეტიების მოკლე ანალიზის შემდეგ, რომ მოვახდინოთ პოლიტიკური პროგნოზირებისთვის ჩამოყალიბებული თეორიული სქემის მოდელირებული განზოგადება ელიტური ცვლილება-განახლების სამომავლო, სავარაუდო ტენდენციაზე, მაშინ პუნქტობრივად უნდა ჩამოვაყალიბოთ ის საერთო მახასიათებლები, რაც განსაზღვრავდა წინა და, თუნდაც დღევანდელი პოლიტიკური ლიდერის და მასთან ასოცირებული მმართველი კლასის ხელისუფლებაში მოსვლის წინაპირობებს:

**1)** პოლიტიკურ სისტემის შიგნით განვითარებული ობიექტური პოლიტიკური პროცესები მეორე საარჩევნო ვადის ბოლოსკენ განაპირობებდნენ ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერის თვითწარმოქმნას, რომელიც მის გარშემო კონსოლიდირებულ ელიტურ ჯგუფთან ერთად პოლიტიკური ველზე გამოდიოდა საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის იმ პერიოდისათვის ყველაზე მოთხოვნადი და მისაღები იდეით.

**2)** აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური ლიდერის შემთხვევაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება და პერსონალური ავტორიტეტის ამაღლება უკავშირდებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მათ მოღვაწეობას (რუსეთი ან შეერთებული შტატები);

**3)** მთლიანობაში მათი მმართველობითი პერიოდი ორი საარჩევნო ვადით გამოირჩეოდა, რომლის განმავლობაშიც ხელისუფლების ლეგიტიმურობა თანდათან კლებულობდა კრიტიკულ ზღვრამდე;

**4)** მმართველი პოლიტიკური ელიტის დელეგიტიმაციის პროცესი სრულ აპოგეას აღწევდა მეორე საარჩევნო ციკლის დასასრულს.

ჩამოყალიბებულ თეორიულ ჩარჩოში გადმოცემული პოლიტიკურ-სოციოლოგიური ანალიზი იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა და მასთან დაკავშირებული ლიდერი სახელისუფლო ძალაუფლების მოსაპოვებლად უნდა ჯდებოდეს ზემოთ ჩამოყალიბებული ოთხი კრიტერიუმის სინქრონული კომბინაციის ფარგლებში.

**რაც შეეხება დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას: ლეგიტიმურობის თვალსაზრისით თანამედროვე პოლიტიკური ელიტა ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაშია, რომელშიც იმყოფებდნენ მისი წინამორბედი ხელისუფლებები 2003 და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ.** ჩვენს მიერ ზემოთ ფორმირებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა სტადიური განვითარების მესამე და მეოთხე პუნქტს გადის. თუმცა ელიტათა ცირკულაციის პროცესის სრულად დამთავრებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჩამოყალიბებული კრიტერიუმების პირველი და მეორე კომპონენტის არსებობა, რაც ჯერჯერობით არ შეინიშნება. საქართველოს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების დღევანდელ ეტაპზე არ მოიძებნა ისეთი ფიგურა, რომელიც დააკმაყოფილებდა პირველი ორი თეორიული კრიტერიუმისათვის საჭირო მოთხოვნებს.

**როგორც პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოების პოლიტიკური ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, პოლიტიკურ სისტემაში დღეს მოქმედი ვერც ერთი ოპოზიციური პოლიტიკური დაჯგუფება ვერ აკმაყოფილებს ჩემ მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების პირველ ორ პუნქტს. აღნიშნული, განსაკუთრებით შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“ და მასთან აფილირებულ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ფაქტობრივი ლიდერი სააკაშვილი ქართული პოლიტიკის წარსულს წარმოადგენენ, როგორც შევარდნაძის სახელისუფლო ელიტა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ქართული საზოგადოებისათვის. მათ მიერ ანტითეზის სახით დღეს წამოყენებული იდეები მხოლოდ ქართველი საზოგადოების განვითარების განვლილი სტადიაა.**

**ირაკლი უბილავა,**
პოლიტოლოგი

**თუ საქართველოში პოლიტიკური ელიტების ცვლილებების ანალიზს სპირალისებული ხაზით გავყვებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ორი საპარლამენტო საარჩევნო ვადის გასვლა აუცილებელ პირობას წარმოადგენს თითოეული მმართველი ელიტის ცირკულაციისთვის, რომლის დროსაც უარყოფა ხდება წინა ხელისუფლების, მაგრამ ყოველი მათგანის მოღვაწეობა, ყოველთვის დაკავშირებული იყო პოლიტიკურ სისტემაში ახალი და, იმ პერიოდის ამომრჩევლისთვის უმნიშვნელოვანესი იდეის მატერიალიზაციასთან პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, ახალი მმართველობითი ციკლის დაწყება პოზიტიურ როლს თამაშობდა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის უფრო მაღალ და განვითარებულ საფეხურზე გადასასვლელად**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა საქმე ისე მიდის, რომ მალე მიკირტუმა მონაგონი არ იქნება — საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ეს „ფერად-ფერადი“ ადამიანები კი ჩვენს მიწაზე ჯერ დასახლდებიან, მერე გამრავლდებიან, მოძლიერდებიან, ხელისუფლებაშიც მოვლენ და ჯაყოსავით თავზე დაგვასხდებიან. ეს არ არის ჰაერზე ნათქვამი სიტყვები. წინ გვიდევს დოკუმენტი — გაეროს „მიგრანტთა პაქტი“, რომელსაც 2018 წლის 10 დეკემბერს საქართველო შეუერთდა.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «ჩვენი ბედკრული სამშობლოს საჭირბოროტო საკითხები»

## იქ, სადაც ტყუილია, ნდობასა და ავტორიტეტზე საუბარი ზედმეტია!

**ყველა ეპოქაში ახალგაზრდობა ჭკუას ეკითხებოდა ერის კაცებს, მათ, ვინც მიაჩნდა სამაგალითოდ და მამულის სამსახურში დამაშვრალ ადამიანად. დღევანდელ ქართველ ახალგაზრდებს ჰყავთ კი ასეთი კერპი, რომლის სიტყვა და აზრი მათთვის ფასდაუდებელია? დღევანდელ პოლიტიკოსებს შორის მათ ძებნას აზრი არ აქვს, რადგან იქ, სადაც ტყუილია, ნდობასა და ავტორიტეტზე საუბარი ზედმეტია! წლების განმავლობაში ხელისუფლებებმა ცრუ დაპირებებითა და პირის გატეხვით იმდენჯერ გააწბილეს ქართველი ერი, რომელ ნდობაზე შეიძლება ილაპარაკო, მით უფრო, რომ საქართველოს რეალური ინტერესები, რომლებიც ობიექტური ფაქტორებითაა განპირობებული, უკანა პლანზეა გადაწეული.**

**ამიტომ ახალგაზრდებისადმი ჩვენი რჩევა იქნება, ისევ სახელოვანი წინაპრების ნააზრევს ჩაუღრმავდნენ და გაითავისონ. ამით არა მხოლოდ ბევრ პარალელს გაავლებენ წარსულსა და დღევანდელობას შორის, არამედ ერთგვარ გზამკვლევადაც გამოიყენებენ მათ პუბლიცისტიკას ნათელი მომავლისკენ მიმავალ გზაზე. ამის მთავარი იარაღი კი განათლება, ცოდნის შეძენაა.**

ილია თავის პუბლიცისტურ წერილებშიც, ისევე, როგორც თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ძალიან კონკრეტული არგუმენტებით საუბრობს იმაზე, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს საქართველოში განათლება; რა ფუნქცია, რა მისია უნდა ჰქონდეს განათლების პროცესს. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს საკითხი იმ პერიოდში, ამ სტატისტიკითაც ნათელია:

1897 წლის აღწერის მონაცემებით, 1 914 100 ქართველიდან წერა-კითხვის მცოდნე იყო 313 400, უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით — 2 407, საშუალო და დაუმთავრებელი საშუალო განათლებით — 31 718. მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში მხოლოდ 46 ქალი იყო უმაღლესი განათლებით *(კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIXსაუკუნეში. თბ., 1973, გვ.24-297).*

რას შეეხება ქვეყნის ეთნიკურ სურათს, **XIX საუკუნის ბოლოს ის მიზანმიმართულად იცვლებოდა. ეს აწუხებდა ყველა პატრიოტ ქართველს. 1896 წელს პირველი კურსის სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილმა, სტუდენტ ი. ჩარექიშვილთან ერთად, წერილები გაუგზავნა ილია ჭავჭავაძეს, გიორგი ზდანოვიჩსა და ნიკო ნიკოლაძეს. ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებებს პირველკურსელი სტუდენტები სთხოვდნენ, მეტი აქტიურობა გამოეჩინათ „ჩვენი ბედკრული სამშობლოს საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად“. სამშობლოს საკეთილდღეოდ „მეტი აქტიურობისაკენ“ მოწოდება ილია ჭავჭავაძეს ან ნიკო ნიკოლაძეს არ სჭირდებოდათ, მაგრამ ეს წერილები კარგად გამოხატავდა პირველკურსელი ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების გულისტკივილსა და ფიქრებს.**

**1896 წელს** ივანე ჯავახიშვილი **ნიკო ნიკოლაძეს** სწერდა: **„ამ ახლო ხანში სახელმწიფო საბჭოში განხილული იქნება სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტი შავი ზღვის სანაპიროზე რუსების დასახლების შესახებ... ამისათვის კარგი იქნება, ამ საქმეში დაგვეხმარონ ჩვენი საუკეთესო საზოგადო მოღვაწენი. მოგმართავთ თქვენ და ვიმედოვნებ, რომ კვლავინდებურად გაუწევთ სამსახურს ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს. საჩქარო საქმეა და ამიტომ სასურველია, რაც შეიძლება მალე მოგვაწოდოთ თქვენი აზრი, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ დავანახოთ მთავრობას, თუ რამდენად მავნებელი იქნება სახელმწიფოსათვის შავი ზღვის ნაპირების რუსებით დასახლება, როგორც ეკონომიკურად, აგრეთვე, პოლიტიკურად...“.**

ახლა ერთმორწმუნე კი არადა, ათასი ჯურის, გაურკვეველი წარმომავლობის, რწმენის, გენის უამრავი გადამთიელის ჩამოსახლებას ხელს უწყობს ხელისუფლება. საქართველოს კარი ფართოდ გაიღო არამხოლოდ ტურისტებისთვის, არამედ ახალი საცხოვრისის მძებნელთათვის, რომელთაც გარკვეულ მიზეზთა გამო შინ არ დაედგომებათ ან არ სურთ, დაედგომებოდეთ და აქ, ღვთითკურთხეულ ქართულ მიწაზე სურთ დამკვიდრება. ამ მხრივ საგანგაშო სიტუაციაა. და სურათი წლითიწლობით უფრო მძიმდება — ქართველები მიდიან, უცხოელები მოდიან.

რამდენიმე წელია, საქართველო მიმზიდველი ქვეყანა გახდა აზიელი და აფრიკელი მიგრანტებისთვის. ისინი ყიდულობენ ბინებს და შედეგად იღებენ ბინადრობის უფლებას. ფაქტობრივად, ჩვენი სახელმწიფო ბინადრობის უფლებას ყიდის! სულაც არ ვართ წინააღმდეგი, რომ სასწავლებლად, მკურნალობის, ინვესტიციის ჩადების ან მუშაობის მიზნით საქართველოში ჩამოსულ უცხოელებზე გარკვეული პირობებით ბინადრობის უფლება გაიცეს, სხვა ქვეყნებშიც იგივე ხდება და ამაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ ისედაც მწვავე დემოგრაფიული პრობლემების მქონე ქართველი ერი უახლოეს მომავალში საკუთარ სამშობლოში უმცირესობაში რომ არ აღმოჩნდეს, უცხოელებისთვის ბინადრობის უფლების გაცემა მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს, რადგან ჩამოსულთა უმრავლესობას უკან გაბრუნება აღარ უნდა.

**დღეს ქართველი ერი ეკითხება ხელისუფლებას: რამდენად მავნებელი იქნება ქართული სახელმწიფოსთვის სხვა ეროვნებისა და რწმენის ადამიანთა ჩამოსახლება?**

არც ისე დიდი ხნის წინათ დედაქალაქში რაიონიდან ჩამოსულებს აქაური სომხები ჩამოთრეულებს ეძახდნენ, მაგრამ თბილისელი ქართველების ყურს ეს უხერხულად არ ხვდებოდა, თუმცა იმავე პერიოდში საკმარისი იყო, ერთ ქართველ პოლიტიკოსს ეთქვა: „ეყო მიკირტუმას სოლოლაკში ცხოვრებაო“ და ლამის ჩაქოლეს, — „ეს როგორ იკადრეო!“.

ახლა საქმე ისე მიდის, რომ მალე მიკირტუმა მონაგონი არ იქნება — საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ეს ფერად-ფერადი ადამიანები კი ჩვენს მიწაზე ჯერ დასახლდებიან, მერე გამრავლდებიან, მოძლიერდებიან, ხელისუფლებაშიც მოვლენ და ჯაყოსავით თავზე დაგვასხდებიან.



**2017 წელს საზოგადოების პროტესტს შედეგად მოჰყვა ის, რომ კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი: მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა აკრძალულიაო. მაგრამ ეს ჩანაწერი ერთ თვეში ფიქციად იქცა, რადგან ორგანულ კანონში შევიდა შესწორება და ბანკებს დავალიანებაში ჩატოვებული მიწების უცხოელებზე გაყიდვის უფლება მიეცათ**



ეს არ არის ჰაერზე ნათქვამი სიტყვები. წინ გვიდევს დოკუმენტი — გაეროს „მიგრანტთა პაქტი“, რომელსაც 2018 წლის 10 დეკემბერს საქართველო შეუერთდა. ამ პაქტის თანახმად, საქართველოს მთავრობამ ქართველი ხალხის სახელით, ისე, რომ ქართველებს არაფერი გვკითხა, საკუთარ თავზე ვალდებულება აიღო, აზიისა და აფრიკის ღარიბი ქვეყნებიდან შეუზღუდავი რაოდენობით, შეუფერხებლად გადმოასახლოს აფრიკელი და აზიელი მიგრანტები. ეს ქვეყნებია ანგოლა, ნიგერია, სომალი, ავღანეთი, ერაყი, იემენი, ლიბია და ა.შ.

**რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ჩვენს სახელმწიფოს, რომ მიგრანტები შემოუშვას?** როგორც წესი, ფულის გამო ყიდიან სამშობლოს, ფულის, თანამდებობის, პირადი კეთილდღეობის გამო. საქართველოს მთავრობაც, როგორც ამბობენ, 3 მილიარდნახევარი ევროს სანაცვლოდ აპირებს ლტოლვილების შემოყვანას და იმაზე ფიქრით თავს არ იტკიებს, რა ქნას ქართველმა ხალხმა, ხელისუფლება ვიღაცას რომ უსახლებს, ხომ უნდა ჰკითხოს, თანახმაა თუ არა?

მით უფრო, რომ სტუმრად არავინ მოდის...

გაეროს „მიგრანტთა პაქტის“ **მე-4 მუხლში** წერია, რომ საზღვარზევე უნდა მიაწოდონ მიგრანტებს პირადობის მოწმობები;

**მე-6 მუხლში** წერია, რომ უნდა უზრუნველყონ ისინი ღირსეული სამუშაო ადგილებით და შეუქმნან ხელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობები;

**მე-16 მუხლი** კი ამბობს, რომ მათ სრული ინტეგრაციისთვის შესაბამისი გარემო უნდა შევუქმნათ;

**მე-19 მუხლი** კი ამბობს, რომ ავღანელებისა და აფრიკელების დიასპორები უნდა შევქმნათ და ხელი შევუწყოთ მათ.

ნათელია, რომ, თუ საქართველო აღნიშნული შეთანხმებიდან არ გამოვა და უარს არ იტყვის „მიგრანტთა პაქტით“ დაკისრებულ ვალდებულებებზე, ასეთ სიტუაციაში ძალიან რთულია საქართველოს მომავალზე საუბარი. რა თქმა უნდა, არიან საქართველოში ადამიანები, რომლებიც ყოველივე ამას აპროტესტებენ, ხმამაღლა გამოთქვამენ უკმაყოფილებას, მაგრამ მათი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მკითხველს უთუოდ ემახსოვრება წლების წინათ თურქი მესხების საქართველოში მასობრივად დაბრუნების საკითხს რამხელა საპროტესტო ტალღა მოჰყვა. მაშინ ქართველმა ერმა არ დაუშვა 300 ათასი თურქის აქ ჩამოასახლება. საუბარი იყო მესხეთში მცხოვრებ თურქებზე, რომლებიც თავის დროზე სწორედ თურქეთის საოკუპაციო რეჟიმმა თურქეთის ცენტრალური რეგიონებიდან საქართველოში გადმოასახლა. ისინი ჩვეულებრივი თურქები იყვნენ, რომლებიც მესხეთში ჩაასახლეს, მერე კი ბოლშევიკებმა გადაასახლეს. ჩვენ არც თურქეთიდან მათ ჩამოსახლებაში ვიყავით დამნაშავე და ►

**2019 წლის 25 ივნისს კანონში შეტანილი შესწორებებით კი 2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და მე-7 მუხლის მესამე პუნქტი, რომელთა თანახმად, უცხოელ მოქალაქეებსა და უცხოელების მიერ დაარსებულ ორგანიზაციებს უფლება ექლევათ, საქართველოს მთავრობას მიმართონ საინვესტიციო გეგმით და განუსაზღვრელი რაოდენობით შეისყიდონ ქართული მიწა**

**„ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული. მაგრამ ჩვენ დაუვიწყარ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა... რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გამორკვევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება, მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსულისა უკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო“.**

## მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ არც აქედან მათ გადასახლებაში.

2017 წელს საზოგადოების პროტესტს შედეგად მოჰყვა ის, რომ კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი: მიწების უცხოელებზე გაყიდვა აკრძალულია.

მაგრამ ეს ჩანაწერი ერთ თვეში ფიქციად იქცა, რადგან ორგანულ კანონში შევიდა შესწორება და ბანკებს დავალიანებაში ჩატოვებული მიწების უცხოელებზე გაყიდვის უფლება მიეცათ. 2019 წლის 25 ივნისს კანონში შეტანილი შესწორებებით კი 2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და მე-7 მუხლის მესამე პუნქტი, რომელთა თანახმად, **უცხოელ მოქალაქეებსა და უცხოელების მიერ დაარსებულ ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ, საქართველოს მთავრობას მიმართონ საინვესტიციო გეგმით და განუსაზღვრელი რაოდენობით შეისყიდონ ქართული მიწა.**

რა ხდება ამ მხრივ დღეს ევროპაში?

რამდენიმე ქვეყანაში უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვაზე დროებითი შეზღუდვები მოქმედებს. მაგალითად,

* **პოლონეთში** 12-წლიანი მორატორიუმია გამოცხადებული.

* ევროკავშირში ბოლო წლებში გაწევრებულ ქვეყნებში, როგორებიცაა **ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი** და **სლოვაკეთი,** აკრძალვის პერიოდი 7 წელს გრძელდება.

* **ისრაელში, ჩინეთსა** და **დიდ ბრიტანეთში** მიწებს უცხოეთის მოქალაქეებზე საერთოდ არ ყიდიან. ისრაელში მიწა მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაა და მის გამოყენებას სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს. ჩინეთში სახელმწიფო და კოლექტიური პოლიტიკაა, ხოლო დიდ ბრიტანეთში მთელი მიწა ფორმალურად სამეფო ოჯახის საკუთრებაა, რომელიც მიწის ნაკვეთებს უპრობლემოდ ყიდის სამეფოს მოქალაქეებზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — უცხოელებზე. მიწის ნაკვეთისთვის დანიშნულების შეცვლა კი გაერთიანებულ სამეფოში ფაქტობრივად შეუძლებელია.

ჩვენთან კი იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი თავის საინვესტიციო ვალდებულებას არ შეასრულებს, მას უფლება აქვს, ეს მიწა გაყიდოს და, ვისზეც გაყიდის, გასაგებია. რა თქმა უნდა, გლეხის საკარმიდამო ნაკვეთის გამო არც არავინ მიმართავს მთავრობას, აქ საუბარია მიწის დიდ ფართობზე და ეს პირდაპირი გზაა, ერთბაშად გაიყიდოს მთელი მიწის ფონდი თავისი ტყით, ტბით თუ წიაღისეულით.

და ვინ ვიქნებით ასეთ შემთხვევაში? — ალბათ, „ის მაწანწალა“, რომელსაც „აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის“.

„ილიას არა ერთხელ, მაგ. თუნდაც 1888 წელს, უთქვამს: „როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა“, რომელსაც, „აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ... თავისი ისტორია არ ახსოვს“. 1888 წელს, დ. ბაქრაძის ნაშრომის „ისტორია საქართველოსი“-ს






ქართველები მიდიან, უცხოელები მოდიან

**ახლა ერთმორწმუნე კი არა, ათასი ჯურის, გაურკვეველი წარმომავლობის, რწმენის, გენის უამრავი გადამთიელის ჩამოსახლებას ხელს უწყობს ხელისუფლება. საქართველოს კარი ფართოდ გაიღო არამხოლოდ ტურისტებისთვის, არამედ ახალი საცხოვრისის მძებნელთათვის, რომელთაც გარკვეულ მიზეზთა გამო შინ არ დაედგომებათ ან არ სურთ, დაედგომებოდეთ და აქ, ღვთითკურთხეულ ქართულ მიწაზე სურთ დამკვიდრება. ამ მხრივ საგანგაშო სიტუაციაა**

პროგრამის გამოქვეყნების შემდგომ, ამავე საკითხს ჩვენი მგოსანი კვლავ უბრუნდება და ამბობს: წინათაც არა ერთი იყო ისეთი ხალხი, რომელსაც თავისი ისტორია არა ჰქონია და „ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ“, მაგრამ, ილია ჭავჭავაძის აზრით, **„ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება“.** ჩვენი მგოსნის სიტყვით, „ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში“-ო. „თუ ესეთი არა, ბევრით მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ“. ამიტომაც არის, რომ ილია ამბობდა: „არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“-ო. ამგვარად, **ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული. მაგრამ ჩვენ დაუვიწყარ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა... რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გამორკვევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება, მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსულისა უკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო.** როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და გონებას არას ეუბნება. მეორემ კი, თუმც შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა... ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: **ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს“**-აო. საქართველოს ისტორიიდგან ილ. ჭავჭავაძეს შემდეგ ერისთვის თავგანწირულობა ჰხიბლავდა... მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივს სიამაყეზე და უპირატესობის შენარჩუნების ნიადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობაც უნახავს“ ***(მალხაზ მაცაბერიძე, „ივანე ჯავახიშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია (ფრაგმენტები)...“).***

ივანე ჯავახიშვილი სტუდენტობის წლებში მარტო სწავლით არ იყო დაკავებული. მას აქტიური სამოქალაქო პოზიცია ჰქონდა და მონაწილეობდა როგორც სტუდენტურ გამოსვლებში, ისე უერთდებოდა აკადემიური წრეების პროგრესული ნაწილის საპროტესტო აქციებს. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიაში, რომელიც უკვე უფრთხოდა რევოლუციურ აქტივობას უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისაგან, ყველას ადებინებდნენ ხელწერილს რაიმე პოლიტიკური საქმიანობისგან თავის შეკავების თაობაზე. ამ აკრძალვებსა და შეზღუდვებს 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდება ედო საფუძვლად. კერძოდ, უნივერსიტეტში შემსვლელს პოლიციიდან ცნობა უნდა წარედგინა „უნაკლო“ პოლიტიკური კეთილსაიმედო რეპუტაციის თაობაზე. სტუდენტური საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა იკრძალებოდა. სტუდენტობის დროს ცოლის შერთვაც კი. წესდების მოთხოვნათა დარღვევისთვის სასჯელთა მთელი სისტემა იყო გათვალისწინებული.

ასე რომ, 1895 წლის 5 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილმაც დადო ხელწერილი „მასზედ, რომ საიმპერატორო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის პერიოდში ვალდებულებას ვიღებ, არათუ არ გავხდე წევრი რომელიმე საიდუმლო საზოგადოებისა, არამედ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაშიც, უშუალო უფროსების ნებართვის გარეშე, არ შევიდე წევრად კანონით დაშვებულ საზოგადოებაში, აგრეთვე არ მივიღო მონაწილეობა რაიმე ფულადი შენატანებით. ჩემ მიერ ამ აღთქმის გატეხის შემთხვევაში ვექვემდებარები დაუყოვნებლივ გარიცხვას დაწესებულებიდან და მერთმევა ყველა უფლება ჩემ მიერ იმ ფულადი თანხების მიღებაზე, რომლებიც ნებადაურთველი მიზნისთვის შეიკრიბა“.

ფაქტია, რომ, აღნიშნული ხელწერილის დადების მიუხედავად, ივანე ჯავახიშვილი არ შემოფარგლულა მხოლოდ სწავლითა და სამეცნიერო კვლევა-ძიებით.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **გრიგოლ ნათაძე** იგონებდა ივანე ჯავახიშვილთან თავისი ურთიერთობის თაობაზე: „შევხვედრივართ ერთმანეთს საზოგადოებრივ მუშაობაში და კარგადაც გვიმუშავნია. მაგ. 1901 წელს, მაშინ, როცა მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, იმართებოდა დღესასწაული საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო. ჩვენ, სტუდენებს, სამარცხვინოდ მიგვაჩნდა ეს და რუსეთიდან წერილებს ვწერდით თავადაზნაურობას, რომ პროტესტს ვაცხადებთ ამის გამო. მერე აქ რომ ჩამოვედით, თავადაზნაურობის წინამძღოლმა დაგვიბარა, პროფ. ჯავახიშვილიც იქ იყო, მეც იქ ვიყავი, აგრეთვე, კაკი წერეთელი, ერთი ფრონტი გვქონდა მაშინ, რა თქმა უნდა, ჯავახიშვილი გარკვევით წინააღმდეგი იყო თვითმპყრობელობის (ისევე, როგორც რუსეთის იმჟამინდელი პროგრესული საზოგადოება, სტუდენტობა), რა თქმა უნდა, ნაციონალურ ნიადაგზე იდგა“. საქართველოს რუსეთთან შეერთება 1901 წლის 24-29 სექტემბერს იზეიმეს, რომელსაც რუსეთიდან ჩამოსული სტუმრებიც მრავლად დაესწრნენ. იმპერატორმა თავისი რესკრიპტით თავადაზნაურობა დააჯილდოვა, თუმცა ამ ჯილდომ დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. **გიორგი ლასხიშვილის** მოგონების თანახმად, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი, ზეიმის ერთ-ერთი ორგანიზატორი, **დავით მელიქიშვილიც,** უკმაყოფილო დარჩა „რესკრიპტით“ — მოელოდა ერობას ან უნივერსიტეტს, კიდევ რასმეს ქართველ ერისთვის, ნამდვილად კი რესკრიპტით თავად-აზნაურობას ებოძა კადეტთა კორპუსი და რაღაც გროშები. დამახასიათებელია, რომ მელიქიშვილს მაინც მტკიცედ სწამდა, მეფე აქ არაფერ შუაში იყო, ყველაფერში დამნაშავე „კეღელი“, განსაკუთრებით კი კავკასიის მთავარმართებელი, თავადი გოლიცინი იყო, „იმის ჩაგონებით არის დაწერილი ეს რესკრიპტიო“, — გაიძახოდა განრისხებული მელიქიშვილი.

ილია ჭავჭავაძე ამის გამო მწვავედ აკრიტიკებდა ქართველ თავადაზნაურობას. მწერალი **მიხეილ ჯავახიშვილი** შესწრებია ილია ჭავჭავაძისა და თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის — დავით მელიქიშვილის საუბარს, რომელშიც ასევე **ილია წინამძღვრიშვილიც** მონაწილეობდა.

„მას დროგამოშვებით ცხარე კამათის იერი ეძლეოდა. ეს ბაასი სიტყვა-სიტყვით აღარ მახსოვს, ხოლო მისი შინაარსი კარგად დამამახსოვრდა. მელიქიშვილმა ჭავჭავაძეს უსაყვედურა: თავადაზნაურთა საკრებულოს იშვიათად ეკარები, ხოლო იუბილეს მტრულად შეხვდიო.

— სასიხარულო არაფერია, — მიუგო ჭავჭავაძემ, — საქვეყნოდ თავი მოგვჭერით. თავიდანვე გითხარით, მე ჩემი გზა მაქვს-მეთქი.

— ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს, — გაიხსენა წინამძღვრიშვილმა ჭავჭავაძის გზა, რომელიც მელიქიშვილის გზას თავიდანვე გაეყარა.

— გარდა ამისა, — სთქვა ჭავჭავაძემ, — ამ იუბილემ ქართველი ხალხი ორ ბანაკად გაარღვია. თქვენ, ერთი მუჭა ჩინოსანნი, გაღმა დგეხართ, ხოლო ხალხი გამოღმა დარჩა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია... **ამ იუბილეს წყალობით ხალხი მტერ-მოყვარის გარჩევას ისწავლის და მისი ეროვნული შეგნება საბოლოოდ ჩამოყალიბდება“.**

ჩვენ როდისღა უნდა ვისწავლოთ მტერ-მოყვრის გარჩევა, როდისღა უნდა ჩამოგვიყალიბდეს ეროვნული შეგნება, რათა ჩვენი მამული, როგორც ქართული სახელმწიფო, შემოვუნახოთ თაობებს? როდემდე უნდა იყოს საქართველო „ერთ მუჭა ჩინოსანთა“ საჯილდაო ქვა?!

**იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი თავის საინვესტიციო ვალდებულებას არ შეასრულებს, მას უფლება აქვს, ეს მიწა გაყიდოს. აქ საუბარია მიწის დიდ ფართობზე და ეს პირდაპირი გზაა, ერთბაშად გაიყიდოს მთელი მიწის ფონდი თავისი ტყით, ტბით თუ წიაღისეულით.
და ვინ ვიქნებით ასეთ შემთხვევაში? — ალბათ, «ის მაწანწალა», რომელსაც «აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის»**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ინდოეთში აშშ-ის საელჩოსთან ხუთი წლის გოგონა გააუპატიურეს

**ინდოეთში აშშ-ის საელჩოს ტერიტორიაზე ხუთი წლის გოგონას გაუპატიურების ბრალდებით 25 წლის მამაკაცი დააპატიმრეს. ძალადობის ფაქტი დაადასტურეს მედიკოსებმა. ბავშვი, რომელსაც მრავალი ტრავმა აქვს მიყენებული, ჰოსპიტალიზებულია.**

აშშ-ის დიპლომატიური მისია ინდოეთში 11 ჰექტარზეა განლაგებული. საელჩოს თანამშრომლებს გარდა, აქ ცხოვრობს მომსახურე პერსონალი, მათ შორისაა გაუპატიურებული გოგონას ოჯახიც.

სამართალდამცველთა აზრით, მამაკაცმა, რომელიც ასევე ცხოვრობს აღნიშნულ ტერიტორიაზე, შეიტყუა ბავშვი თავის სახლში და იძალადა მასზე. ამის თაობაზე წერს გაზეთი „იზვესტია“ ბი-ბი-სი-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით. მამაკაცი დაპატიმრებულია, პოლიცია ტრაგედიის დეტალებს არკვევს.

**ცნობისთვის:** 2018 წლიდან ინდოეთში მოქმედებს პედოფილების სიკვდილით დასჯის კანონი.



## ნარკომანი 40 წუთის განმავლობაში ძალადობდა გოგონაზე საზოგადოებრივ ტუალეტში

**7 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის პედოფილი სიკვდილამდე ციხეში იქნება გამომწყვდეული.**

კვლავ ავსტრალია, მაგრამ ამჯერად სიდნეი. ისევ — პედოფილობა: 40 წლის ენტონი სამპიერი, რომელიც ნარკოტიკებით არის გაბრუებული, შეაღწევს ბავშვთა საცეკვაო სტუდიაში, დანის მუქარით შეათრევს გოგონას საზოგადოებრივ ტუალეტში და 40 წუთის განმავლობაში ძალადობს მასზე.

Daily Star იუწყება, რომ სამპიერი სცემდა და ზონარით აღრჩობდა მსხვერპლს. ბავშვს პირში ჩათხარა ტუალეტის ქაღალდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში გამწარებული დედა დარბოდა სტუდიაში და ეძებდა შვილს.

ბოლოს და ბოლოს, სტუდიაში მივიდნენ პოლიციელები, ტუალეტში აღმოაჩინეს ნაწამები ბავშვი და აბსოლუტურად შეურაცხადი მამაკაცი. დაკავების დროს სამპიერი ბედავდა და მისდამი პოლიციელების უხეშობას აპროტესტებდა.

მოძალადეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ იგი შეიძლება გარდაიცვალოს მაქსიმუმ 5 წლის შემდეგ, რადგან ექიმებმა მას ღვიძლის კიბო დაუდგინეს.

ამ შემთხვევამდე გაცილებით ადრე სამპიერი ერთხელ უკვე იყო გასამართლებული 60 წლის ავსტრალიელი ქალის გაუპატიურების ბრალდებით. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი არაერთ ქალს შეუჩნდა, ურეკავდა ღამ-ღამობით და უყვებოდა, თუ რის გაკეთებას უპირებდა მათთან ინტიმური კონტაქტის დროს. ეს ყველაფერი ხდებოდა ბავშვზე თავდასხმამდე რამდენიმე თვით ადრე. საზოგადოებას მიაჩნია, რომ პოლიციას ამ გარემოებისთვის ყურადღება ადრევე უნდა მიექცია და მაშინვე მოეთოკა ეს გახრწნილი კაცი.

ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ამჟამად არაფერი ემუქრება, მაგრამ მას ტუალეტებისა და აბაზანების პანიკური შიში დასჩემდა.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ტრანსგენდერი ბავშვები თანდაყოლილი სატანიზმია



**აშშ-ში გაჩაღდა ომი ტრადიციულსა და ზეტრადიციულს შორის. ეს არის კლასიკური ქალი-კაცი და მოდური „ვინც მინდა, ვიყო, ის ვიქნები“. იოლია თუ არა დღეს, იყო ახალგაზრდა აშშ-ში, როცა ჯერ კიდევ ბავშვი ვალდებული ხარ, იცოდე, ვინ უნდა იყო?**

ჯეიმს კაპლანი ბიჭია, ადრე გოგო იყო. მისი უმცროსი და **ოლივია** ბიჭად დაიბადა, მაგრამ ოთხი წლისა გოგონა გახდა.

**ოლივია კაპლანი,** ტრანსგენდერი: „ტრანსგენდერი არის დაბადების დროინდელი შენი სქესი, რომელსაც გული ვერ ეჩვევა. ჯეიმსი ძალიან დამეხმარა, დამიჭირა მხარი და მე მივხვდი, რომ მისი დახმარება არ მომაკლდებოდა“.



ჯეიმსი ამბობს, რომ ყოველთვის იყო ბიჭი და ეს პირველ კლასშივე გააცნობიერა, როცა დედას სთხოვა, ბიჭივით შეეკრიჭა მისთვის თმა. დღეს ამ ბავშვში ჩანერგილია იმპლანტი, რომელიც სქესობრივ დამწიფებას ბლოკავს: ქალური მკერდი უკვე აღარ უნდა განუვითარდეს. წინ დიდი მუშაობა ელის ძველ და ახალ ორგანოებთან, პირველად და, ფაქტობრივად, მეორად სასქესო ორგანოებთან. ეს დროც დადგება. ამჟამად კი ჯერ კიდევ გოგონად მყოფი ჯეიმსი ჰორმონული თერაპიის დაწყებამდე დარჩენილ დღეებს ითვლის. ტესტოსტერონის კურსის შემდეგ უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი ექნება.

**სარა კაპლანი,** ჯეიმსისა და ოლივიას დედა: „შენ ყოველთვის ამბობდი, რომ გსურს, მშობელი გახდე, მაგრამ ამიერიდან ხომ აღარასოდეს გეყოლება საკუთარი შვილები?“

**ჯეიმს კაპლანი:** „მართალი ხარ, მაგრამ მე უფრო ხელს მაძლევს ნაშვილები ბავშვები“.

საეჭვოა, გათვითცნობიერებული ჰქონდეს, რასაც ამბობს, მაგრამ ტრანსგენდერი ბავშვების სპეციალურ ბანაკში მათ ასწავლიან, რა პასუხი გასცენ უხერხულ შეკითხვებს:

— ნაადრევი ხომ არ არის, ჯეიმს, ორი-სამი წლისამ ტრანსგენდერად აღიქვა თავი?

**დიანა ერენსაფტი,** ტრანსგენდერი ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: „ჩვენ გვინდა, რომ ორი-სამი წლის ბავშვმა იცოდეს, ბიჭია თუ გოგონა. რატომ არ შეიძლება, რომ იგივე მოვითხოვოთ ტრანსგენდერებისგან, რათა იცოდნენ, ვინ არიან ისინი?“

კონსერვატიულად განწყობილ ექიმებს მიაჩნიათ, რომ ორი-სამი წლის ბავშვისთვის სქესის შეცვლა საშიშია სიცოცხლისთვის.

**მიშელ კრიტელა,** პედიატრების ამერიკის კოლეგიის პრეზიდენტი „ჰორმონები ბავშვებზე ძალადობაა. სქესის შეცვლის ე.წ. ექიმები ორი წლის ბავშვებს ნებას რთავენ, გადაწყვიტონ, რომელ სქესს განეკუთვნებიან. ეს სიგიჟეა. ამ ასაკის ბავშვებს ჯერ კარგად გარკვეული არ აქვთ, გოგონები არიან თუ ბიჭები. დაჟინებით, დოქტრინის დონეზე ბავშვებს თავს ახვევენ სიცრუეს იმის შესახებ, რომ ისინი შეცდომით არიან არასწორ სხეულში მოთავსებულები და რომ ბავშვის ყველა პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება სქესის შეცვლაა“.

აღნიშნული კოლეგია განცხადებას განცხადებაზე აქვეყნებს, რატომ არ შეიძლება ბავშვის სქესის შეცვლა მშობლების თანხმობის შემთხვევაშიც კი. მედიკოსებს შორის არიან სქესის შეცვლის მომხრენიც, მაგრამ, როგორც წესი, ისინი თვითონ არიან ტრანსგენდერები.



## ავსტრალიის ყველაზე საშიში პედოფილი 35 წლით ციხეში გამოკეტეს 50 ბიჭის გაუპატიურების ბრალდებით

**მელბურნში (ავსტრალია) განაჩენი გამოუტანეს 53 წლის ბორის კუნცევიცკის, რომელსაც კონტინენტის ყველაზე საშიშ პედოფილად მიიჩნევენ. ციხეში იგი 35 წელიწადს დაჰყოფს.**

ავსტრალიელმა თავი დამნაშავედ ცნო შარშან, მაისში. მას ბრალად წაუყენეს 16 წლამდე ბიჭების გაუპატიურებისა და ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადების 59 შემთხვევა. კუნცევიცკიმ აღიარა, რომ დამნაშავეა სექსუალური გახრწნილების ჩადენაშიც. პირობით ვადამდელი გათავისუფლების უფლებას პედოფილი მხოლოდ 28 წლის შემდეგ მიიღებს.

კუნცევიცკი აუპატიურებდა ბავშვებს 15 წლის განმავლობაში ფილიპინებში, ინდონეზიაში, ავსტრალიასა და სინგაპურში ცხოვრებისას. გამოცემა Straits Times აღნიშნავს, რომ მან გააუბედურა 47 ბიჭი. მაგალითად, 2002 წლის სექტემბრიდან 2003 წლის აგვისტომდე, როცა იგი სინგაპურში ცხოვრობდა, 12-14 წლის ბიჭებს აუპატიურებდა და ამ გარყვნილებას ვიდეოკამერით იღებდა.

ასეთივე დანაშაულს ჩადიოდა შემდეგაც, როცა ინდონეზიაში გადაბარგდა. ავსტრალიაში მუდმივ სექსუალურ ურთიერთობას ამყარებდა 16 წლამდე ასაკის ყმაწვილებთან.



კუნცევიცკი კოსმეტიკის მწარმოებელ ფირმა Esthe-medica-ს სინგაპურის ფილიალის დირექტორად მუშაობდა. იგი დააპატიმრეს 2017 წელს. დანაშაულის მტკიცებულებანი პოლიციამ აღმოაჩინა მის სმარტფონსა და სხვა ელექტრონულ მატარებლებზე დატანებული.

„ნაციზმი ევროპამ შვა და გამოზარდა. მხარს უჭერს დღესაც. ნაციზმი, არაერთხელ მითქვამს, ცივილიზაციის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. ის ევროპა არსად გამქრალა. აქამდე გაყუჩებული იყო მხოლოდ. ეს ერთი მხარეა. მეორე ნაწილი ევროპის, რომელიც ყოველთვის იყო და რჩება, რუსეთის მიმართ შიშით გამოირჩევა და რუსეთის დელეგიტიმაციას ესწრაფვის“.

საფრონი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საოცარი რამ ხდება: ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წელს „ტოლერანტულ“ ევროპაში ნაციზმი იწყებს აღორძინებას. ღიად, დაუფარავად, უძლები და ყველაფრის მკადრებელი ელექტრონული მედიის მილიონობით ეკრანზე სენსაციური სიუჟეტების დემონსტრაციით.**

# გაავეშულ დათვს ბაბაია თუ არ დაუძახე, «ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა»

**ესპანეთში** სახალხო კარნავალის მონაწილეთა ერთი ნაწილი, ნაცისტური არმიის უნიფორმიანი ახალგაზრდების ჯგუფი ფეხაწყობილი, ხალისიანად მიაბიჯებს შუა ქუჩაში თოფებმომარჯვებული. მათ მოჰყვებიან საკონცენტრაციო ბანაკების ზოლიან, სტილიზებულ ტანსაცმელში გამოკოხტავებული, მხიარული, მოტინგიცე ასულები, ენერგიით სავსე დიაცნი. მოდიან, მოცეკვავენ დავითის ვარსკვლავიანი თეთრი დროშებით — მხრებზე მაღლა აქნეული ფეხები, მოდურად გაჭრილი შარვლის ტოტების ფრიალი.

**ბელგიაში** (იქაც კარნავალია) შავ, ორფეხა, ჰასიდების შავი ტრაიმლებით თავდამშვენებული, ჭიანჭველებად წარმოდგენილი ებრაელების კომიკური როკვა. ნაცისტური ქვეტექსტით — ესენი ხომ ადამიანები არ არიან: მოფუსფუსე მწერები.

**პოლონეთში** ებრაელს მიმსგავსებული მუქთახორა ფუტკრის ფიტულს მიწაზე დაანარცხებენ, გულ-მუცელს გამოუღადრავენ, სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებენ და დაწვავენ. ბოლოს „აგვიხსნიან“ — იუდა იყოო.

**კიევში** ებრაელი ერის ჯალათების — **ბანდერასა** და **შუხევიჩის** პორტრეტებითა და ანთებული ჩირაღდნებით მსვლელობას მართავენ უკრაინელი ნაცისტები. მსგავსი მარშები **ბალტიისპირეთში** ყოველ 16 მარტს ეწყობა.

რის ხოლოკოსტი, რა ხოლოკოსტი!

რა გაცინებთ, უბედურებო?!

რა არის ეს — ევროპული უნიჭო ბერიკაობა თუ ნაცების მიერ მილიონობით ნაწამები, გაზის კამერებში მოწამლული, დახვრეტილი, კბილებამოგლეჯილი და ყელგამოღადრული ებრაელების ხსოვნის შეურაცხყოფა და ფეხქვეშ გათელვა?!

დაცინვა!

**უნგრეთში** ამგვარი „ღონისძიებების“ ავტორები და ორგანიზატორები აცხადებენ, რომ (მიაქციეთ ყურადღება!) დაცინვის ობიექტად ყოფნა დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია.

ევროპაში მიმდინარეობს ცნებათა ჩანაცვლების პროცესი. დღეს იქ ნაცისტებად მიიჩნევენ მათ, ვინც უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ გამოდის, მხარს უჭერს ნაცუმცირესობათა უფლებების გაფართოებას, ვინც იცავს თავისი ერის იდენტურობას და ა.შ.

თავიანთ ამ გაუკუღმართებულობას ნერგავენ ხალხში, ისე, როგორც, მაგალითად, ერთ ახალ, ოსკაროსან ფილმშია: ბოროტი საბჭოთა მებრძოლები ხოცავენ გერმანელებს, ამერიკელები კი გამარჯვებას ზეიმობენ, რადგან ომი სწორედ მათ მოიგეს.

ორივე პროპაგანდისტული კურდღელი ერთდროულად ყურებით ჰყავთ დაჭერილი.

**ვროცლავის, პრაღისა და დრეზდენის — ამ წარმოსახვითი სამკუთხედის ცენტრში, საზღვრების გადაკვეთაზე იმართება ნაცისტების ფესტივალი, ღია და დახურული ღონისძიებებით, სახელწოდებით „ფარი და მახვილი“, რომლის მონაწილეებს ასწავლიან, როგორ უნდა მიიზიდონ ახალგაზრდობა ფაშისტურ ორგანიზაციებში. ერთ-ერთი პრინციპი ე.წ. უგნური ტოლერანტობაა, „ახალი ევროპული ტოლერანტობა“. ეს ფესტივალი აღდგომის წინ იმართება, მარხვის დაწყებამდე, მიტევების დღემდე — მიუტევეთ ესესელებს!**

ფაშისტების კარნავალია! რომელიც გაავებული რუსოფობიის ფონზე მიმდინარეობს. ისტორიის გაყალბება იქამდე მიჰყავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებას აბრალებენ ორ ტოტალიტარულ სახელმწიფოს — გერმანიასა და საბჭოთა კავშირს. ვითომ არც ყოფილა 1941 წლის 22 ივნისი — საბჭოთა კავშირზე გერმანიის ვერაგული თავდასხმის სისხლიანი თარიღი.

**— რა ხდება?!**

ამ შეკითხვას უპასუხებს **იაკობ კედმი**, ისრაელის სახელმწიფო მოღვაწე და ანალიტიკოსი, რომლის საუბარი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საინტერესოა.

მაშ, მოვუსმინოთ:

— ნაციზმი ევროპამ შვა და გამოზარდა. მხარს უჭერს დღესაც. ნაციზმი, არაერთხელ მითქვამს, ცივილიზაციის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. ის ევროპა არსად გამქრალა. აქამდე გაყუჩებული იყო მხოლოდ. ეს ერთი მხარეა. მეორე ნაწილი ევროპის, რომელიც ყოველთვის იყო და რჩება, რუსეთის მიმართ შიშით გამოირჩევა და რუსეთის დელეგიტიმაციას ესწრაფვის.

ერთ, ნაკლებად ცნობილ მაგალითს დავასახელებ. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში ბრიტანელები მისი შექმნის საწინააღმდეგო სხვა მიზეზებთან ერთად პროსაბჭოთა სახელმწიფოდ მის ორიენტაციას ასახელებდნენ, რადგან ძირითადად აღმოსავლეთ ევროპიდან და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ჩამოსულებით იყო დასახლებული.

1946-1947 წლებია.

ამერიკული ისტებლიშმენტი სრულად, არმია, პენტაგონი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (რომელიც იმ დროს უკვე შექმნილი იყო) არწმუნებდნენ პრეზიდენტს, მხარი არ დაეჭირა ამ იდეისთვის.

ისინი, ვინც ომის დროს დაჩოქილი ევედრებოდნენ სტალინს, გაეძლიერებინა სამხედრო აქტივობა რაც შეიძლება მალე ფაშისტების დასამარცხებლად, ეწინააღმდეგებოდნენ ებრაელთა სახელმწიფოს შექმნას, უწინარესად, დიდი ბრიტანეთი, კულტურული ქვეყანა. იმიტომო, რომ იგი (ისრაელი) ევროპაში საბჭოთა გავლენის გამავრცელებელი გახდებაო. კიდევ კარგი, რომ აშშ-ის პრეზიდენტს თავისი ინტერესი ჰქონდა და მან ამ ყველაფერს (რჩევებსა და შეგონებებს) მიაფურთხა.

ის, რაც დღეს ხდება, ბუნებრივია. თანაც, ნაწილობრივ რუსეთის ბრალიც არის.



**როცა ქვეყნის, ერის თავმოყვარეობას ისტორიის აშკარა გაყალბებით შეეხებიან, თავდაცვის ინსტინქტი განსაკუთრებით მძაფრდება, საპასუხო რეაქცია შეურაცხყოფილი სახელმწიფოს სიძლიერის პირდაპირპროპორციულია**



ყველა გამოდის და ლაპარაკობს ესტონელებზე, რომლებიც ნაცისტებს ემსახურებოდნენ, მაგრამ ასჯერ მეტი ესტონელი იბრძოდა წითელი არმიის რიგებში. საბჭოთა კავშირის გმირი რამდენი ესტონელი დაიღუპა ომში და რამდენი გადარჩა, ამაზე არავინ ხმას არ იღებს.

რატომაა შეუძლებელი, დავუპირისპიროთ ერთი მხარე მეორეს, როგორც ეს რეალურ ისტორიაში იყო ისე?

ამიტომაა, რომ დღეს ყველას ესტონელებზე სტერეოტიპული შთაბეჭდილება ჩამოუყალიბდა ესტონელი ნაცისტების აღლუმების გავლენით.

ომი რომ დაიწყო, **ლატვიელების** არმია ჯერ კიდევ არსებობდა. ლატვიელთა ბატალიონები იბრძოდნენ წითელი არმიის რიგებში. ისინი, ვინც იბრძოდა და დაიღუპა ფაშიზმის წინააღმდეგ ომში, „ტყის ძმებზე“ — ამ გარეწრებზე ათასჯერ მეტნი არიან.

**ლიტველების** დივიზიაც იბრძოდა თავგანწირვით, ხოლო ის გარეწრები („ტყის ძმები“) მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავდნენ.

ამაზე არავინ ლაპარაკობს.

სიმართლე არის ის, რომ ევროპა იმდენად ნაციზმს კი არ ებრძოდა, რამდენადაც საკუთარ კომუნისტებს. დაუნდობლად ებრძოდნენ მათ აღმოსავლეთ ევროპაში — პოლონეთში, ლატვიაში, ესტონეთში, ლიტვაში, რუმინეთში, უნგრეთში, ყველა ქვეყანაში.

ყველანი გაქრნენ.

**— არავინ არაფერს ამბობს, სად გაქრნენ ამ ქვეყნების კომუნისტები.**

— ისინი გაანადგურეს. ხოცავდნენ კომუნისტებსა და ებრაელებს. ამიტომ იყო, რომ ომის შემდეგ პოლონეთში კომუნისტები თითქმის აღარ დარჩნენ. ისინიღა გადარჩნენ, რომლებიც „არმია ლუდოვასა“ და „არმია კრაიოვას“ რიგებში იბრძოდნენ.

**საფრანგეთის** წინააღმდეგობის მოძრაობა ვისგან შედგებოდა? — კომუნისტებისგან.

დაავიწყდათ ეს ყველაფერი!

**იტალიაში პარტიზანული რაზმები კომუნისტებისგან შედგებოდა, იუგოსლავიაშიც. ტიტოს რაზმებში ძირითადად კომუნისტები იბრძოდნენ, ალბანეთში კომუნისტები იბრძოდნენ, საბერძნეთშიც. მათ ინგლისელები გაუსწორდნენ ადგილობრივი კოლაბორაციონისტების მხარდაჭერით, რომლებიც ომის შემდეგ რაღაც ხერხებით გაამართლეს. ამაზეც არავინ ლაპარაკობს სიმართლეს.**

უთხარით ხალხს, ვინ იბრძოდა ნამდვილად.

რას ამბობენ ახლა ისინი, ვინც განსჯის **ბორის ჯონსონის, ტრამპის,** იაპონიის პრემიერმინისტრის შესაძლო ჩასვლას მოსკოვში გამარჯვების აღლუმზე? როგორ შეგიძლიათ, მხარი დაუჭიროთო ქვეყანას, რომელიც ყველას ებრძვისო? ის, რაც თვითონ შექმნეს, რუსეთს გადააბრალეს: რუსეთმა შექმნა „ალ ქაიდა“, რუსეთმა შექმნა „ისლამური სახელმწიფო“, რუსეთმა შექმნა „ძმები მუსლიმები“, რუსეთმა დაიწყო ათი წლის წინათ სამოქალაქო ომი სირიაში. ეს ბოდვა აქსიომად აქციეს, დაიჯერეს და სხვებსაც აჯერებენ.

**— ჩასაფრებული ადამიანები იტყვიან: კედმიმ აღიარა, რომ ეს ყველაფერი რუსეთმა შექმნა. მათ ჭკუა არ ეყოფათ, გაიხსენონ, ვინ ქმნიდა ამ ტერორისტულ ორგანიზაციებს.**

— მე არ ვლაპარაკობ ჭკუანაკლულებისთვის. უსარგებლოა მათთან საუბარი. მე ვლაპარაკობ მათთვის, ვისაც ჭკუის ნატამალი მაინც შერჩა. საჭიროა სიმართლის თქმა ბოლომდე და სრულად.

უნდა ვუთხრათ, მაგალითად, ლატვიელებს — თქვენ გაგათავისუფლეს თქვენმა თანამემამულეებმა და არა იმ ნაძირალებმა — „ტყის ძმებმა“. მგონი, რუსეთსაც გამოადგება ის, რაც ერთხელ **ბენ გურიონმა** (ისრაელის პირველი მთავრობის პრემიერმინისტრი) განაცხადა: **„მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვიან გაეროში ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ. მნიშვნელოვანია ის, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ, ებრაელები, ჩვენს ქვეყანაში“.**

* * *

**ისტორიულ სიმართლეს სრულად დღეს, ალბათ, არც ერთი ქვეყანა არ ამბობს. საყველპურო დებულება — „ისტორია იტყვის სიმართლეს“ — უთუოდ ამის გასამართლებლად არის დიდი ხნის წინათ მოგონილი.**

გამარჯვებულმა ქვეყნებმა ნიურნბერგამდე მოილაპარაკეს, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობისას არ იქნება ნახსენები ორი თემა — მიუნხენის შეთქმულება და მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი. რამდენიმე სხვა თემაც აკრძალეს. შეთანხმდნენ, რომ, თუ ბრალდებულთაგან რომელიმე ამ თემას შეეხებოდა, მაშინვე გამოურთავდნენ მიკროფონს.

პოლიტიკური ინტერესი ამას კარნახობდა.

როცა **გერინგმა** დაიწყო ლაპარაკი რასიზმზე ამერიკულ საზოგადოებასა და არმიაში, სეგრეგაციაზე, ზედამხედველმა შეაჩერა და უთხრა, რომ სასამართლოს დარბაზშივე გაუხეთქავდა თავს.

**ყოველი ქვეყანა თავის ისტორიას საკუთარი თვალით უყურებს. მეტიც, მსოფლიო მოვლენების ეროვნული ვერსია ყოველ ქვეყანას თავისი აქვს.**

გერმანელებისთვის, მაგალითად, 8 მაისი ნაციზმისგან გათავისუფლების დღეა.

ბალტიისპირელებს, ალბათ, აქვთ თავიანთი ვერსია, რომელსაც არ ასაჯაროებენ, რატომ ამოწყდნენ ებრაელები მათ ტერიტორიაზე ფაშისტური ოკუპაციის წლებში.

ლვოვის „პოგრომის“ ვერსია უკრაინელ ნაცისტებს, რა თქმა უნდა, საკუთარი უნდა ჰქონდეთ.

განსხვავებული ვერსიები არსებობს საბჭოთა ჯარის ნაწილების აღმოსავლეთ ევროპიდან გამოყვანაზე მაშინ, როცა აშშ-ს თავისი საჯარისო კონტინგენტის გაყვანაზე არც უფიქრია. შეფასებები — რადიკალურად განსხვავებული: იყო ეს მხოლოდ შეცდომა თუ კატასტროფული დანაშაული.

**როცა ქვეყნის, ერის თავმოყვარეობას ისტორიის აშკარა გაყალბებით შეეხებიან, თავდაცვის ინსტინქტი განსაკუთრებით მძაფრდება, საპასუხო რეაქცია შეურაცხყოფილი სახელმწიფოს სიძლიერის პირდაპირპროპორციულია.**

**ნუ გააბრაზებთ დათვს...**

**არმაზ სანებლიძე**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დუშანი ორი წლის იყო, ფანქარი პირველად რომ აიღო ხელში, ხოლო, როცა 8 წელი შეუსრულდა, მისმა მენეჯერებმა 2 გამოფენა მოაწყვეს და მსოფლიოს აჩვენეს ბავშვის განსაცვიფრებელი ხელოვნება, მისი ნამუშევრები საოცარი სიზუსტითა და დეტალიზაციით გამოირჩევა. დუშანს ძალიან უყვარს ველური ბუნება და ანატომიური სიზუსტით ხატავს ცხოველებსა და ფრინველებს, მწერებსა და მცენარეებს.**

# მცირეწლოვანი ვუნდერკინდები, რომლებიც მილიონებს გამოიმუშავებენ

აი, რა ხდება, როდესაც მშობლები დროულად ამჩნევენ შვილის ნიჭს და ყველაფერს აკეთებენ მის გასავითარებლად და არა სასკოლო პროგრამის დასაზუთხავად. ბავშვის შემოქმედებითი უნარების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. აუცილებლად ატარეთ შვილი სხვადასხვა წრესა თუ სექციაში. შესაძლოა, თქვენს ბავშვსაც ისეთივე ნიჭი აღმოაჩნდეს, როგორიც ამ ვუნდერკინდებს.





## 5 წლის ნიკა სტრელეცკაია დნიპროდან (დნეპროპეტროვსკიდან)

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ დედამ, მხატვარმა, რამდენიმე წუთით მარტო დატოვა თავისი ტილო, საღებავები და 9 თვის ბავშვი. „საღებავები იატაკზე ეყარა, ბავშვი კი მათ ტილოზე უსვამდა. შეიძლება ითქვას, რომ ხატვისთვის დაიბადა“. ნორჩი მხატვარი თავისი სიამოვნებისთვის ხატავს და ფულზე არც კი ფიქრობს, თუმცა მისი ნახატები რამდენიმე ათასად არის შეფასებული.

გოგონას აბსტრაქტული ნახატების შესაძენად ფერწერის მოყვარულები რიგში დგებიან.





## 11 წლის ქსეო ჩუ ვიეტნამიდან

ბიჭი 4 წლის იყო, როცა ფუნჯს პირველად მოჰკიდა ხელი. ახლა კი მის ანგარიშზე უკვე არის პერსონალური გამოფენა ნიუიორკში. ნორჩი მხატვარი, ძირითადად, ქველმოქმედებისთვის ხატავს. ის თანხას აძლევს თანატოლებს სასწავლებლად. ბიჭმა უკვე გაყიდა 2 ნახატი. თითოეული 80 ათას დოლარად.





## კირონ უილიამსი ინგლისიდან

კირონი ბავშვობიდან დადიოდა ხატვის კურსებზე. 5 წლის იყო, ხატვა რომ დაიწყო. პირველი ნახატები კი 11 წლისამ გაყიდა დახურულ აუქციონზე. 20 წთ-ში მან 2,2 მლნ დოლარი გამოიმუშავა. ბიჭმა მშობლებს ახალი სახლი უყიდა. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, რადგან ამჟამად მის ნახატებს კოლექციონერები იძენენ.





## დუშან კრტოლიცი სერბეთიდან

დუშანი ორი წლის იყო, ფანქარი პირველად რომ აიღო ხელში, ხოლო, როცა 8 წელი შეუსრულდა, მისმა მენეჯერებმა 2 გამოფენა მოაწყვეს და მსოფლიოს აჩვენეს ბავშვის განსაცვიფრებელი ხელოვნება, მისი ნამუშევრები საოცარი სიზუსტითა და დეტალიზაციით გამოირჩევა. დუშანს ძალიან უყვარს ველური ბუნება და ანატომიური სიზუსტით ხატავს ცხოველებსა და ფრინველებს, მწერებსა და მცენარეებს. ამისთვის ის იყენებს ჩვეულებრივ შავ კალამს. 2 წლის წინათ მას ფრინველების ენციკლოპედიისთვის ილუსტრაციების შექმნაც კი მიანდეს. აღსანიშნავია, რომ ბიჭი ჯერ იმახსოვრებს და მერე ხატავს.





## აელიტა ანდრე ავსტრალიიდან

აელიტა ორი წლის იყო, როცა პირველი გამოფენა მოუწყვეს, 5 წლის გოგონას ნახატებს კი კოლექციონერები იტაცებდნენ. აელიტას ნახატებიდან ჯერჯერობით ყველაზე ძვირად გაიყიდა ტილო 30 ათას დოლარად. სულ კი აელიტას ნამუშევრები, რომლებიც გაიყიდა, მლნ დოლარად იყო შეფასებული. გოგონა აბსტრაქტული ხელოვნების ფენომენად ითვლება.





## სინ იაო ცენი ტაივანიდან

ამჟამად სინ იაო ცენი 30-ზე ცოტა მეტი წლისაა, მაგრამ ნახატები, რომლებსაც ის მოზარდობისას ქმნიდა, განსაცვიფრებელია. მას აქვს ზეთის საღებავებით ხატვის საოცარი „მცურავი“ ტექნიკა, ისეთი, რომ მისი ქმნილებები ძალიან ჰგავს აკვარელით შესრულებულს.

აკვარელით ხატვა კი სინ იაო ცენმა 10 წლისამ დაიწყო.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



2012 წელს შაკილმა სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. შაკილს გიგანტური სიმაღლის შესაბამისი ფეხი აქვს — 23-ე ზომა (სხვა სტანდარტით — 56-ე). ის გადაღებულია 36 ფილმსა და სერიალში. შაკილის დედა ბაპტისტია, მამა — მუსლიმი. თვითონ შაკილმა კი თქვა: „მე ვარ მუსლიმანი, ებრაელი, ბუდისტი, მე ვარ ადამიანი“.

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დიდი მამიკო» — შაკილ ო'ნილი საკალათბურთო მოედანზე და მის გარეთ

**შაკილ ო'ნილის სახელი, კარგა ხანია, შევიდა კალათბურთის ისტორიაში. ამერიკელმა კალათბურთელმა, მეტსახელად „დიდმა მამიკომ“, ამჟამად ტელეკომენტატორმა, რეპერმა და მსახიობმა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში 1400-ზე მეტი მატჩი ითამაშა.**

## ბავშვობა და სიჭაბუკე

შაკილ ო'ნილი 1972 წლის 6 მარტს დაიბადა ნიუ-ორკში (ნიუ-ჯერსის შტატი, აშშ). მომავალი სპორტსმენის მამა **ტონი ო'ნილი** 1972 წელს დააპატიმრეს ნარკოტიკების შენახვის გამო. მოიხადა სასჯელი, მაგრამ ციხიდან გამოსვლის შემდეგ უარი განაცხადა მამის მოვალეობებზე. შაკილი მამინაცვალმა **ფილიპ ჰარისონმა** გაზარდა. ფილიპი სამხედრო იყო და ხშირად უწევდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. რამდენიმე წლის განმავლობაში ოჯახი ტეხასში ცხოვრობდა, სადაც შაკილმა მიიღო საშუალო განათლება, ტეხასშივე დაიწყო მისი სპორტული კარიერა. შაკილი სკოლის გუნდში გამოდიოდა და 2-ჯერ მოიპოვა ტეხასის ჩემპიონის ტიტული, შემდეგ ლუიზიანის შტატის უნივერსიტეტში ჩააბარა.

## შაკილი კალათბურთში

შაკილ ო'ნილის სიმაღლე და წონა განცვიფრებას იწვევს: 216 სმ და 147 კგ. მაგრამ ტიტულების მოსაპოვებლად ეს, რა თქმა უნდა, არ კმარა. ცენტრალურ თავდამსხმელებს შორის მას არ უკავია პირველი ადგილი — საუკეთესოს ტიტული ეკუთვნის **უილტონ ჩემბერლენს** — ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ოთხგზის ჩემპიონს. თუმცა, ო'ნილს ეკუთვნის რეკორდი — ზუსტი სროლის ყველაზე მაღალი პროცენტი 9 სეზონის განმავლობაში. პროფესიონალურ დონეზე ო'ნილის პირველი გუნდი „ორლანდო მეჯიკი“ იყო. იმხანად შაკილი 20 წლის გახლდათ.

პირველ სეზონში 216 სმ სიმაღლის ყმაწვილს ლიგის საუკეთესო ახალბედის ტიტული ერგო და ის მაყურებელმა დაიმახსოვრა, როგორც გიგანტი, რომელმაც ფარი დაამსხვრია. ო'ნილმა მესამე სეზონში „ორლანდო მეჯიკი“ ასოციაციის გათამაშების ფინალში გაიყვანა, მაგრამ დამარცხდა.

შემდეგ შაკილი „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში“ გადავიდა 121 მლნ დოლარად. პირველი სამი წლის განმავლობაში გუნდთან ერთად ვერ შეძლო ტიტულის მოპოვება, მაგრამ მისი და „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ცხოვრებაში გამოჩნდა მწვრთნელი **ფილ ჯექსონი.** 1992 წელს ფილ ჯექსონის ძალისხმევით გუნდი გარდაიქმნა. მატჩებში ო'ნილი ლიდერის როლს თამაშობდა და წარმატებით ურთიერთმოქმედებდა **კობი ბრაიანტთან,** თუმცა მოედნის გარეთ მათ ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი. „ლოს-ანჯელესთან“ ერთად შაკილმა 3-ჯერ მოიპოვა NBA-ს ჩემპიონის ტიტული. 2004 წელს გუნდმა ფინალში ითამაშა, მაგრამ დამარცხდა „დეტროიტთან“. ო'ნილი „მაიამი ჰიტში“ გადავიდა, „შავი მამბა“ — კობი ბრაიანტი კი დარჩა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში“ და მალე ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოედანზე. „საშობაო ბრძოლა“ — ასე უწოდეს ამერიკელმა გულშემატკივრებმა ო'ნილისა და ბრაიანტის შეხვედრას პარკეტზე 2004 წლის ბოლოს. ეს იყო გააფთრებული ბრძოლა, რომელშიც „ლეიკერსი“ დამარცხდა მინიმალური სხვაობით. 2 წლის შემდეგ კი გუნდმა, რომელშიც თამაშობდა შაკილ ო'ნილი, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონობა მოიპოვა. კობი კი „ლოს-ანჯელეს ლეიკერს“ ეხმარებოდა გამარჯვებების მოპოვებაში. ვინ იცის, კიდევ რა სიმაღლეებს მიაღწევდა ეს ორი კალათბურთელი, ერთმანეთთან საერთო ენა რომ გამოენახათ.



შაკილ ო'ნილი და კობი ბრაიანტი

საჯარიმო სროლები ბევრი კალათბურთელის აქილევსის ქუსლია, მაგრამ, ამ მხრივ, შაკილმა რეკორდი დაამყარა. ერთ მატჩში მან 11 საჯარიმო ისროლა და... ვერც ერთი ვერ ჩააგდო. აცდენებს შაკილი ასე ხსნის: „უშეცდომო ადამიანი არ არსებობს!“ 2008 წელს ო'ნილი „ფინიქს სანსში“ გადავიდა და სნაიპერთა სიაში მეხუთე ადგილი დაიკავა. ამაზე მაღლა ის ვერ ავიდა საჯარიმო ტყორცნების ხშირად აცილების გამო.





შაკილ ო'ნილი და შონი ნელსონი

2009-2010 წლებში შაკილი უკვე „კლივლენდ კავალიერსის“ წევრი იყო. სწორედ მაშინ მიიღონ ტრავმა, რომელიც კარიერის დასრულების მიზეზი შეიქნა. თუმცა დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ შაკილმა 2011 წელს განაცხადა, მანამდე კი 1,4-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა „ბოსტონ სელტიკსთან“, მაგრამ ტრავმის გამო 40 თამაში გამოტოვა. 2011 წლის ივნისში შაკილმა საბოლოოდ დატოვა პროფესიონალური საკალათბურთო მოედანი.

შაკილმა კალათბურთში წლების განმავლობაში გამომუშავებული ფული ჩადო ისეთ კომპანიებში, როგორიც არის PepsiCo. სულ კი დაახლოებით 290 მლნ გამოიმუშავა. 1990-იანი წლებში მადლიერმა შვილმა მშობლებს რამდენიმემილიონიანი სახლი და ავტომობილი უყიდა. კალათბურთელმა ინვესტიციები ჩადო მეგაკომპანიებში, აგრეთვე, გააფორმა ხელშეკრულებები სარეკლამო კომპანიებთან. ერთხელ თქვა: „დავიღალე ფულზე ლაპარაკის მოსმენით. მინდა, ვითამაშო კალათბურთი, ჩავიცვა „რიბოკი“, დავლიო „პეპსი“. ამ ფრაზით შაკილმა ორ კომპანიას მილიონობით მოგება მოუტანა.

## პირადი ცხოვრება

საყოველთაო პოპულარობას შაკილი საკალათბურთო მოედანზე მოპოვებულ გამარჯვებებს უნდა უმადლოდეს, მაგრამ არა მხოლოდ. ის ყურადღებას იპყრობდა არასტანდარტული გამოხდომებით მოედნის გარეთ და სახალისო სატელევიზიო შოუებში მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს შაკილმა სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. შაკილს გიგანტური სიმაღლის შესაბამისი ფეხი აქვს — 23-ე ზომა (სხვა სტანდარტით — 56-ე). ის გადაღებულია 36 ფილმსა და სერიალში. შაკილის დედა ბაპტისტია, მამა — მუსლიმი. თვითონ შაკილმა კი თქვა: „მე ვარ მუსლიმანი, ებრაელი, ბუდისტი, მე ვარ ადამიანი“.

2002 წელს შაკილ ო'ნილი დაქორწინდა **შონი ნელსონზე.** შაკილს 4 შვილი ჰყავს და ერთი ქორწინების გარეშე ქალიშვილი **არნეტა იარბორგისგან**, რომელთანაც მას რომანი ჰქონდა ქორწინებამდე. დღეს შაკილი განქორწინებულია.

დღეს ის დიდ ყურადღებას უთმობს კინემატოგრაფს. 2017 წელს გამოვიდა სამი ფილმი შაკილის მონაწილეობით, 2018 წელს — კომედია „ბიძია დრიუ“.




ბილ გეიტსთან ერთად

**შაკილ ო'ნილის მიღწევები:**

* მსოფლიო ჩემპიონი — 1994 წ.
* საერთაშორისო საკალათბურთო ასიციაციის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე — 1995 წ.
* ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — 1996 წ.
* ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი — 2000, 2001, 2002, 2006 წლებში.
* ნაციონალური საკალათბურთო ასიაციაციის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე — 2000 წ.
* NBA-ს ყველა ვარსკვლავის მატჩის 15-გზის მონაწილე.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# აშშ დაუზავდა «თალიბანს» და განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანს ჯარს ავღანეთიდან




**აშშ-ის სპეცწარმომადგენელმა ავღანეთის საკითხებში — ზალმაი ჰალილზადმა და მოძრაობა „თალიბანის" მეთაურის მოადგილემ, ამ ორგანიზაციის ყატარის პოლიტიკური ოფისის ხელმძღვანელმა — მულა აბდულა განი ბარადარმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას.**

ცერემონია გაიმართა 29 თებერვალს დოჰაში. სამშვიდობო დოკუმენტის გაფორმების შემდეგ **ჰალილზადმა** და **ბარადარმა** ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** განაცხადა, რომ ავღანეთიდან ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების გამოსვლა დაუყოვნებლივ დაიწყება.

ტრამპმა მიულოცა თავის ავღანელ კოლეგა **აშრაფ განის**, აგრეთვე, ავღანელ ხალხს სამშვიდობო შეთანხმების გაფორმება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ორგანიზაცია „თალიბანს" შორის.

**„ჩვენ ახლახან ხელი მივაწერეთ შეთანხმებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევამციროთ აშშ-ის სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში დაახლოებით 8 ათასი კაცით"**, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

თუ როდის დაიწყება ამერიკელი სამხედროების გამოყვანის პროცესი ავღანეთიდან, ტრამპმა აღნიშნა: „დღესვე, ეს დაიწყება დაუყოვნებლივ".

ცერემონიაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **მაიკ პომპეომ** თქვა, რომ „თალიბანმა" უნდა შეასრულოს დაპირება ტერორისტულ დაჯგუფება „ალ-ქაიდასთან" ურთიერთობის განწყვეტის შესახებ. მან, აგრეთვე, მოუწოდა „თალიბანს", მხარი დაუჭიროს ბრძოლას ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან".

ევროკავშირის დიპლომატიის ხელმძღვანელ **ჟოზეფ ბორელის** თქმით, ხელმოწერილი შეთანხმება მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია სამშვიდობო პროცესისა, რომლის „საფუძველშიც დევს შიდაავღანური მოლაპარაკებები". მან ავღანელებს მოუწოდა, ხელიდან არ გაუშვან „მშვიდობისკენ სვლის" შესაძლებლობა.

ნეტა კროუფორდი, პროექტ „ომის ფასის" დირექტორი ბრაუნის უნივერსიტეტში, მიუთითებს, რომ ავღანეთში ომი 2 ტრილიონი დოლარი დაჯდა.

კონფლიქტის წლებში ავღანეთში აშშ-ის შეიარაღებული ძალების დანაკარგმა 2300 კაცი შეადგინა, დაახლოებით 20 660 ჯარისკაცი და ოფიცერი კი დაიჭრა.

**ცერემონიაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ აღნიშნა, რომ „თალიბანმა" უნდა შეასრულოს დაპირება ტერორისტულ დაჯგუფება „ალ-ქაიდასთან" ურთიერთობის განწყვეტის შესახებ. მან, აგრეთვე, მოუწოდა „თალიბანს", მხარი დაუჭიროს ბრძოლას ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან"**



# თურქული პარტია «ვატანი» აფხაზეთის აღიარების ლობირებას განაგრძობს

**„პარტია „ვატანი" („სამშობლო") განაგრძობს აფხაზეთის აღიარების ლობირებას, — განაცხადა პარტიის თავმჯდომარე დოგუ პერენჩეკმა სტამბოლში, პარტიის ოფისში გამართულ შეხვედრაზე თურქეთის რესპუბლიკაში ე.წ. აფხაზეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობასა და აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებთან შეხვედრაზე.**

„შეხვედრის მსვლელობისას დოგუ პერენჩეკმა ილაპარაკა აფხაზეთის რესპუბლიკის აღიარების ლობირების გაგრძელებაზე, ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებსა და გამართულ შეხვედრებზე თურქული პარტიების ლიდერებთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენლებთან და თურქეთის სახელმწიფო ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მომუშავე პირებთან", — წერს აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეხვედრის შედეგებზე.

„აფხაზმა დეპუტატმა **ასტამურ ლოგუამ** მზადყოფნა გამოთქვა, რომ მომავალშიც დაუჭერს მხარს მუშაობას, მიმართულს აფხაზეთის რესპუბლიკას, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გაღრმავებისკენ", — ნათქვამია აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მანამდე ქალაქ ბურსის ულდუგის უნივერსიტეტში გაიმართა აფხაზეთის წარმომადგენლობისა და დეპუტატების შეხვედრა უნივერსიტეტის პრორექტორთან, პროფესორ **ფერიდუნ იილმაზთან.** იმსჯელეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობაზე, კერძოდ, სტუდენტების გაცვლაზე და მათ მიერ პრაქტიკის გავლაზე, სწავლების გამოცდილების გაზიარებაზე პედაგოგებს შორის, აგრეთვე, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე.

ბურსაში, აგრეთვე, გაიმართა შეხვედრა პარტია „ვატანის" წარმომადგენლებთან — პარტიის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე **სიულუკ ჰუსეინ ერმანსა** და პარტიის ბურსის განყოფილების თავმჯდომარე **ჰაჯი დექთაშ აიკუტთან.** შეხვედრის ერთ-ერთი საკითხი იყო აფხაზეთის პოზიტიური იმიჯის წარმოჩენა მასმედიის საშუალებით.

„ვატანი" — ეს არის თურქეთის მემარცხენე-ნაციონალისტური პარტია, რომელიც 2015 წლის 15 თებერვალს დააფუძნეს. მასში გაერთიანებულები არიან სოციალისტები, რევოლუციონერები და თურქი ნაციონალისტები. მის წინამორბედ ორგანიზაციად ითვლება მუშათა პარტია, რომელმაც 2015 წელს სახელი შეიცვალა და ეწოდა „სამშობლოს პარტია".

**eadaily.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# გაძვირდა: ხილი 25%-ით, რძის ნაწარმი 19%-ით, ხორცი 15%-ით

**„საქსტატის" მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში ხილი 25%-ით გაძვირდა, რძის ნაწარმი — 19%-ით, ხორცი კი — 15%-ით.**

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა თებერვლის ინფლაციის მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც წლიური ინფლაციის დონემ 6,4 % შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასებმა მოიმატა 12,7 პროცენტით. კერძოდ, ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (25,1 პროცენტით), რძე, ყველი და კვერცხი (19,2 პროცენტით), ხორცი და ხორცის პროდუქტები (15,1 პროცენტით), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (11,2 პროცენტით), ბოსტნეული და ბაღჩეული (11,1 პროცენტით), თევზეული (10,3 პროცენტით), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (8,7 პროცენტით), ზეთი და ცხიმი (7,4 პროცენტით), პური და პურპროდუქტები (5,6 პროცენტით), ყავა, ჩაი და კაკაო (5 პროცენტით).**

ამასთანავე, სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების ჯგუფში მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 8,7 პროცენტით. ფასების ზრდა აღინიშნა როგორც საზოგადოებრივ კვებაზე (9,5 პროცენტით), ისე ღამის გასათევით მომსახურებაზეც (1,3 პროცენტით).



# ტრამპმა გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთეულის ლიდერებს ნიუ-იორკში შეხვედრა შესთავაზა

**ამერიკის შეერთებული შტატები იმედოვნებს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრის (რუსეთი, ჩინეთი, აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი) შეხვედრა ნიუ-იორკში გაიმართება, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა.**

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა ქვეყნის ლიდერს სურს, „იმსჯელოს შეიარაღების კონტროლზე". „ეს სურს რუსეთსაც, ვფიქრობ, მათი მხრიდან ბრძნული გადაწყვეტილებაა ამის მიღწევა. ჩვენი მხრიდანაც. და ამაზე ჩვენ ნიუ-იორკში ვიმსჯელებთ", — განაცხადა აშშ-ის ლიდერმა.

აშშ-ის ლიდერის ინიციატივამ უკვე მოიპოვა მხარდაჭერა საფრანგეთსა და ჩინეთში, ბრიტანეთში კი თქვეს, რომ უფრო დეტალურ წინადადებებს ელოდებიან. კრემლმა განაცხადა, რომ სამიტის დეტალებზე წერილს გაგზავნიან. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით კი, გაეროს უშიშროების საბჭოს 5 ქვეყნის სამიტი შეიძლება სექტემბერში ნიუ-იორკში საიუბილეო სესიაზე გაიმართოს.

სამინისტროში აღნიშნეს, რომ ჯერჯერობით შეთანხმება მიღწეული არ არის.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894